ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

[esif,fsb7 @% jmnjv,thb7 @)!@ 1254 (5944) afcb5 #) stshb

24 ოქტომბრიდან!
3ფ[ფკბ სფჯ,ფ4
+
ყტკცჯყ 3ფყლტკფ
* კფ3ბ




# ბიძინა ივანიშვილი: პოლიტიკიდან მალე წავალ, მაგრამ ქვეყნიდან – არა“



გვ.3

ხაჩიძემ მომავალ პრემიერს ანეკდოტის მოყოლა მოსთხოვა



## მერაბ ქორდანია დინამოს დაბრუნებაზე ალაპარაკდა

გვ.9





გვ.2

## ბიზნესმენი ზოდელავას და ადეიშვილის დასჯას ითხოვს



გვ.5

## აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არმაზ ახვლედიანი გახდება

## ახალ პარლამენტს პირთხები შეესივნენ

გვ.2

დეპუტატებს თავზე აწვიმთ

## ნანა დევდარიანი: ივანიშვილი ვის უტოვებს ამ ხელისუფლებას წელიწადნახევრის შემდეგ?



გვ.4



## მერაბიშვილი ამტკიცებს, რომ ბიუჯეტი სავსეა

პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი, პერმიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ვანო მერაბიშვილი არ ეთანხმება „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების განცხადებებს იმასთან დაკავშირებით, რომ ბიუჯეტში საკმარისი თანხა არ არის. როგორც მერაბიშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, 2 ოქტომბრის მონაცემებით, საქართველოს სახელმწიფო ანგარიშებზე 2 მლრდ ლარზე მეტია.

მისივე თქმით, აღნიშნული თანხის ნაწილი სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის და ორგანიზაციის ანგარიშზე ირიცხება და ბიუჯეტში მისი მობილიზება ახალი პრემიერ-მინისტრის ერთი ბრძანებითაა შესაძლებელი.

„შეიძლება ზოგიერთი პოლიტიკოსი იტყუებოდეს, ზოგი – არა, მაგრამ ერთი რამ ვიცი, რომ ციფრები არასდროს იტყუებიან“, – აღნიშნა მერაბიშვილმა და ამ ანგარიშების ამსახველი დოკუმენტაცია წარმოადგინა.

გუშინ ფინანსთა მინისტრობის კანდიდატმა ნოდარ ხადურმა განაცხადა, რომ ბიუჯეტის ანგარიშზე დღეს დაახლოებით, 200 მლნ ლარია, რომელიც შეიძლება კიდევ შემცირდეს, რადგან ხელფასების გაცემა მიმდინარეობს.

„არანაირი 2 მლრდ არ არსებობს და არის მხოლოდ 200 მლნ ლარი, რომელიც ხარჯებს ხმარდება. ძველი მთავრობა ამბობს, რომ თითქოს, ბიუჯეტი გადაჭარბებით არის შესრულებული, რაც მორიგი ტყუილია, რადგან წლიური გეგმა ცხრა თვის მანძილზე მხოლოდ 75%-ით არის შესრულებული“, – განაცხადა ხადურმა.

ნიუსპრესი

## პრეზიდენტმა ცოტნე გამსახურდია შეიწყალა

გვ.2

22 ოქტომბრიდან!
3ფ[ფკ სფჯ,ფცსფყ4 ერთად
3hxtekbmfhsekb
pqfght,bc4 gbhdtkbnjvb
№კფ3ფლ

ISSN 1987-9385
9 771987 938006

7 ზაზა ხატიაშვილი: აფრასიძეების საქმე რომ გამოიძიონ, სააკაშვილის ბრალეულობა გამოიკვეთება“

4 რატომ დააპატიმრეს ფოთის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე

5 ლევან ბერძენიშვილი: ვინ ჰკითხავს ნაციონალებს, როდის რას გავაკეთებთ“

6 ზაზა დავითაია: 2008 წლის ომით სააკაშვილმა იხეირა“

# ახალ პარლამენტს ვირთხები შეესივნენ

## დეპუტატებს თავზე აწვიმთ

თეა მარხვაიძე

ქუთაისის პარლამენტის მშენებლობა ქვეყანას ასეულობით მილიონი ლარი დაუჯდა. ვიცე-სპიკერ მანანა კობახიძის განცხადებით, შენობის დასრულებას და ეზოს კეთილმოწყობას ათეულობით მილიონი ლარი დასჭირდება.

ამ შენობამ სამი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ბევრს სერიოზული პრობლემები შეუქმნა. დეპუტატების განცხადებით, შენობაში მუშაობა ფაქტიურად შეუძლებელია. მოგეხსენებათ, რომ აქ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს. კანონმდებლებს ხმაურის ატანა და მტვრის ყლაპვა უწევდათ. გუშინ დეპუტატებს უკვე თავზე აწვიმდათ.

23 ოქტომბრის ღამეს ქუთაისში გაწვიმდა. წვიმა პარლამენტში დაახლოებით ათ ადგილას ჩავიდა. შენობაში გუშინ მთელი დღის განმავლობაში ტილოებით ხალხი დარბოდა და წყალს წმენდდა.

თითქოს მარტო წვიმა არ კმაროდაო, პარლამენტის შენობაში ვირთხებიც აღმოაჩინეს. ეს აღმოჩენა ჟურნალისტებს ეკუთვნით. მათ რამდენიმე ადგილას ნახეს პატიოსნად მოსეირნე მღრღნელები.

ქუთაისში ამ პარლამენტის შენობაზე ისედაც უამრავი ანეკდოტი დადის. გუშინდელს მერე კი მთლად გადაირია სავარდო და სამაისო ქალაქი. აქაურები მოუთმენლად ელოდებიან, როდის გავრცელდება „ბიკენტიას საქაბაბეში“ გადაღებული კომპრომატები. ჩვენთან ხომ ტერაქტებს რესტორნებში გეგმავენ.

ისე, მართლა ჯობია, რესტორანში დაიგეგმოს. ახალ პარლამენტში. შესაძლოა, კი დაგეგმო ტერაქტი, მაგრამ ვერ განახორციელო, რადგან კარის ჩაკეტვის საფრთხე არსებობს. 2 დღის წინ მინისტრობის კანდიდატი ჩაიკეტა.

ჟურნალისტი როლანდ ხოჯანაშვილი გუშინ იხვეწებოდა, არიქა, ქუთაისის პარლამენტს „პლაშჩი“ გადააფარეთ, თორემ ისედაც წყალწაღებულები მთლად წყალმა წაიღოო.

21 ოქტომბერს კი პრეზიდენტი ამაყად უმზერდა ახალ პარლამენტს. ჟურნალისტებს უთხრა, არავის ეგონა, რომ მოვასწრებდით, მაგრამ ჯადოქრები ვართო.

ჯადოქრებს დეპუტატმა თინა ხიდაშელმა შველა ფეისბუქის მეშვეობით სთხოვა.

– თავზე გვაწვიმს. მანამდე მტვერმა დაგვახრჩო. ოთახი არ გვაქვს, რომ დაჯდე და რამე დაწერო, ასე, დერეფანში წვიმის ქვეშ ვართ, ჯადოქრებმა გვიშველეთ, – იხვეწებოდა გუშინ თინა ხიდაშელი.

ახალ პარლამენტზე აუგს ხმამაღლა არ ამბობენ ნაციონალები. გულში კი ნატრობენ, ნეტავი მალე დაგვაბრუნონ თბილისშიო.

ცოტა ხნის წინ ნაციონალმა გია ბარამიძემ საინტერესო განცხადება გააკეთა. მან თქვა, რომ თუ ქუთაისში ვერ ივლიან დეპუტატები, პარლამენტის თბილისში გადატანას დაუჭერენ მხარს.

აკაკი ბობოხიძე, დავით დარჩიაშვილი და დავით ბაქრაძე თბილისში პარლამენტის დაბრუნებას ეწინააღმდეგებიან. თუმცა უმცირესობაში ბევრი სხვანაირად ფიქრობს. უმრავლესობაზე საერთოდ აღარ არის საუბარი.

და კიდევ, ქუთაისში გუშინ დღის მეორე ნახევარშიც გაწვიმდა. წვიმა ისევ ჩავიდა პარლამენტის შენობაში.

შუშის სახურავზე კი ალპინისტები დადიოდნენ და სპეციალური წებოთი „არემონტებდნენ“ სახურავს.

# ბიზნესმენი ზოდელავას და ადეიშვილის დასჯას ითხოვს

გულიკო ბალაძე



ამ დღეებში საზოგადოებამ ნახა, მიხეილ სააკაშვილი როგორ გვმოძღვრავდა დუბაიდან და არავითარი პასუხისმგებლობის გრძნობა მას არ აწუხებდა იმ სისხლის სამართლის საქმეების (ბიზნესმენთა შევიწროება, დატერორება თუ უკანონოდ მსჯავრის დადება) გამო, რაც მისი პრეზიდენტობის პერიოდში შეითხზა ამა თუ იმ პირის მიმართ. მათ შორისაა ბიზნესმენთა შევიწროების, დატერორებისა და უკანონოდ მსჯავრის დადების ფაქტები.

„უფლებადამცველთა გაერთიანება“ ყოფილ მთავარ პროკურორ მურთაზ ზოდელავას ბიზნესმენებზე რეკეტის განხორციელებაში სდებს ბრალს.

ბიზნესმენ ვაჟა გორელის საქმე ერთ-ერთია იმ უამრავ საქმეთაგან, როდესაც პროკურატურამ სრულიად უდანაშაულო ადამიანი მისცა პასუხისგებაში.

ყოფილ მთავარ პროკურორს მურთაზ ზოდელავას პირადი დაინტერესების შედეგად ვაჟა გორელი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარემ ნიკოლოზ მჟავანაძემ და ბიზნესმენმა ვაჟა გორელმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, ბიზნესმენს ჩინეთის აგრობანკიდან სამი მილიონ ექვსასი ათასი დოლარი უნდა მიეღო, რათა მას უკრაინაში შეესყიდა ქვანახშირი და შემდგომ მიეწოდებინა ჩინელი პარტნიორებისათვის.

ყოველივე ცნობილი გახდა პროკურატურისთვის. იფიქრეს რა, რომ გორელს უკვე მიღებული ჰქონდა ეს თანხა, გადაწყვიტეს მისი დაპატიმრება უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის ბრალდებით და თანხის წართმევა.

გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ გორელს აღნიშნული თანხა ჩინეთიდან არ ჰქონდა მიღებული და მას მხოლოდ დოკუმენტალური აკრედიტივის ანუ ქვანახშირის რელური მიწოდების შემდგომ მიიღებდა.

ამასთან მის ქმედებაში არ იყო დანაშაულის ნიშნები, მაგრამ რადგან საქმის გამოძიება დაწყებული იყო, გადაწყდა, რაღაც საბაბით გორელი მაინც მიცემული ყოფილიყო პასუხისგებაში და პიროვნებას, რომელსაც იარაღის შენახვისა და ტარების უფლება გააჩნდა, გამოძიებამ ბრალი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვაში დასდო. რაც ქართული მართლმსაჯულების ისტორიაშიც კი უპრეცედენტო შემთხვევაა. არადა, ჩხრეკის ოქმით და გორელის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით, გამოძიებას სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა არავითარ შემთხვევაში არ უნდა წაეყენებინა.

ბიზნესმენ გორელის განცხადებით, მის დაპატიმრებაში პირადად მთავარ პროკურორს მურთაზ ზოდელავას მიუძღვის წვლილი, ვინაიდან გამომძიებლები მისი დაკითხვის მომენტში პირადად ზოდელავასთან გადიოდნენ კონსულტაციებს და მას უთანხმებდნენ ყოველივეს. ხოლო მას ეუბნებოდნენ, რომ სამი მილიონ ექვსასი ათასი დოლარის მიღებას ხელისუფლებასთან შეუთანხმებულად არ აპატიებდნენ. აბსურდული ბრალდების წაყენების შემდეგ, იგი დანაშაულს არ აღიარებდა და პროკურატურის მიერ შემოთავაზებულ საპროცესოზედ უარს ამბობდა.

გამოძიებამ გორელს ან საპროცესო შეთანხმებაზე დათანხმება ან მისი ოჯახის ფიზიკური განადგურებით დაემუქრა. რის გამოც გორელი საპროცესო შეთანხმებას დათანხმდა და ოჯახიც უმალ რუსეთში გადაიყვანა უსაფრთხოების გამო.

„უფლებადამცველთა გაერთიანება“ ვაჟა გორელის საქმის გადახედვასა და მურთაზ ზოდელავასა და პროკურატურის იმ მუშაკების დასჯას ითხოვს, ვინც აღნიშნულ უკანონობაში წვლილი შეიტანა.

**ვაჟა გორელი:**

– დღეს სამართლის პოვნის საშუალება მოგვეცა. არსებული მთავრობის წინაშე შიშის გრძნობა გაქრა. მხოლოდ მურთაზ ზოდელავას კი არა ადეიშვილსაც ვადანაშაულებ იმიტომ, რომ დაკითხვებს პატარა ბიჭები აწარმოებდნენ და შეკითხვები რომ ამოეწურებოდათ, გარბოდნენ ზემდგომთან, კონსულტაციები რომ მიეღოთ.

უშუალოდ რაში გამოიხატებოდა ზოდელავასა და ადეიშვილის მონაწილეობა ამ საქმეში, ვაჟა გორელი აცხადებს:

– პროკურატურა დაკითხვას აწარმოებდა ისეთ საქმეზე, რაც აბსოლუტურად კანონიერია. სავაჭრო ოპერაციაში რომ აკრედიტივს გამოგიყოფს მხარე, ეს არის აბსოლუტურად კანონიერი. ამაში რომ ვერაფერი ნახეს უკანონო, შემდეგ იარაღის უკანონო შენახვაში დამდეს ბრალი, როცა ამის ნებართვა მქონდა. მე გაფრთხილებული მყავდა ჩემი ბიჭები, როგორც კი დაინახავთ პოლიციელებს, ჯიბეები ამოიტრიალეთ, რომ არაფერი ჩაგიდონ-მეთქი.

ნიკოლოზ მჟავანაძე:

– გუშინ მიხეილ სააკაშვილი დუბაიდან აკეთებდა ჩართვას და გვეუბნებოდა, რომ საქართველოში ბიზნესის კეთების კუთხით ერთ-ერთ მოწინავე ადგილზე ვყოფილვართ მისი მართველობის პერიოდში. ბიზნესმენებს შექმნილი ჰქონდათ იდეალური პირობები, რაც არის აბსურდი.

ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, ის, რომ საკაშვილი ამ ქვეყანაში ბიზნესმენებს არ ჰქონდათ ნორმალური პირობებიც კი, ამას ადასტურებს ბიზნესმენ ვაჟა გორელის საქმე.

– პიროვნებას, რომელსაც დასაქმებული ჰყავდა ათეულობით ადამიანი თავის ბიზნესში, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით განახორციელეს რეკეტი.

ვაჟა გორელს ჩინეთის აგრობანკიდან უნდა მიეღო 3 მილიონ 600 ათასი. ამ თანხას მიიღებდა, როდესაც ოპერაცია დასრულდებოდა.

პროკურატურამ ჩათვალა, რომ ამ პიროვნებას თანხა უკვე ანგარიშზე ჰქონდა და დაიწყო გამოძიება მის მიმართ ისე, რომ წინასწარ არაფერი შეუსწავლია. დაინახეს, რომ ვაჟა გორელს ჯერ თანხა ჩარიცხული არ ჰქონდა ანგარიშზე და მის ქმედებებშიც არ იყო დანაშაულის ნიშნები, ჩათვალეს, რომ მისი „უპატივცემულობა“ არ შეიძლებოდა და რაღაც ბრალდებით მაინც უნდა დაესაჩუქრებინათ.

აქედან გამომდინარე, შეთხზეს ბრალდება მართლსაწინააღმდეგოდ იარაღის შენახვა-ტარების თაობაზე. არადა, ბატონ ვაჟა გორელს ამ იარაღის შენახვა-ტარების უფლება აქვს. აქ გვაქვს დოკუმენტი, რომელიც ამას ადასტურებს, რომ ვაჟა გორელს იარაღის შენახვა-ტარების უფლება გააჩნდა.

ეს არის ანეგდოტური სიტუაცია. მსგავსი რამ ჯერ არ გამიგია, რომ ადამიანს ბრალს სდებდნენ იმაში, რის უფლებაც მას კანონერად ჰქონდა, – განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ

ნიკოლოზ მჟავანაძე აღნიშნავს, რომ „ამ პროცესში უშუალოდ ჩართული იყო მურთაზ ზოდელავა. როდესაც ბატონ ვაჟას დაკითხვები ტარდებოდა, გამომძიებელი მუდმივ კონტაქტზე იყო ზოდელავასთან. ისინი ცდილობდნენ, რაღაც კვალზე გასულიყვნენ. ეგონათ, რომ ბატონ ვაჟა გორელს მილიონები ჰქონდა ანგარიშზე და სურდათ ამ თანხის მისთვის შეწერა. როცა ანგარიშზე არ აღმოჩნდა თანხა, ბრალდება გადააკვალიფიცირეს იარაღის შენახვა-ტარებაზე“.

„უფლებადამცველთა გაერთიანება“ მოითხოვს ჩადენილი უკანონობის გამო დაისაჯოს პროკურორი მალოძე და დაისვას მურთაზ ზოდელავას პასუხისმგებლობის საკითხი.

– ჩადენილი უკანონობის გამო დასჯილი უნდა იქნას პროკურორი მალოძე. ასევე უნდა დაიწყოს გამოძიება ამ კუთხით და დადგეს მურთაზ ზოდელავას პასუხისმგებლბის საკითხი, ვინაიდან დღეს ვაჟა გორელი პრობაციონერია. რეალურად ვერ გადის საქართველოს ფარგლებს გარეთ. მას აქვს პირობითი მსჯავრი დადებული. ის საპროცესოზე დათანხმებული იქნა მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც განხორციელდა ფსიქოლოგიური ზეწოლა.

რა სახის ზეწოლა განხორციელდა ბიზნესმენზე პროკურორების მხრიდან?

ვაჟა გორელს უთხრეს, თუკი იგი საპროცესოზე ხელს არ მოაწერდა, მის ოჯახს საფრთხე დაემუქრებოდა. დღეს მთელი მისი ოჯახი იმყოფება რუსეთში.

ბიზნესმენ ვაჟა გორელთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდა 2011 წელს. როდესაც რეალურად ხელისუფლება შეიცვალა, უკანონოდ მსჯავრდებულებს მიეცათ საშუალება სიმართლის დასადგენად, მოითხოვონ საქმეების გადასინჯვა, რომელსაც პროკურატურაში შექმნილი ჯგუფი გააკეთებს.

– თქვენ საშუალება გექნებათ კიდევ არაერთი ბიზნესმენის ნახვის ჩვენს პრესკონფერენციებზე, არაერთმა ადამიანმა მოგვმართა, – განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ.

ნიკოლოზ მჟავანაძე დარწმუნებულია, რომ სააკაშვილის პირობებში ვაჟა გორელი რომ გამოსულიყო და ეთქვა, საპროცესო შეთანხმება ძალადობით გამიფორმესო, რეალურად, რა ბრალდებაც ჰქონდა, იმას კიდევ ახალი ბრალდბა დაემატებოდა.

ვაჟა გორელს ორწელიწადნახევარი აქვს მისჯილი პირობითი სასჯელი. აქედან ნახევარზე მეტი მოხდილი აქვს.

ბიზნესმენი აცხადებს, რომ მიუხედავად იმისა, ადეიშვილი გაიქცა საქართველოდან და ზოდელავაც აღარ არის მთავარი პროკურორი, მათი ზეგავლენა ე.წ. სა,მართლადამცავ სტრუქტურებში ისევ იგრძნობა.

– ზოდელავასა და ადეიშვილის კვალი ახლაც იგრძნობა, რადგან დღესაც ვწერ განცხადებას მოხსნაზე და უარს მეუნბებიან, – აცხადებს უკანონოდ დასჯილი ბიზნესმენი.

## პრეზიდენტმა ცოტნე გამსახურდია შეიწყალა

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას შვილი ცოტნე გამსახურდია თავისუფალია.

სამწლიანი პატიმრობის შემდეგ, იგი პრეზიდენტმა პატრიარქის შუამდგომლობის საფუძველზე შეიწყალა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II მიხეილ სააკაშვილს შუამდგომლობით 28 სექტემბერს მიმართა და ცოტნე გამსახურდიას ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით მისი შეწყალება სთხოვა.

პრეზიდენტმა შუამდგომლობა გუშინ დააკმაყოფილა. ცოტნე გამსახურდიამ სასჯელაღსრულების დეპარტამენტი გვიან ღამით დატოვა, რის შემდეგაც იგი საპატრიარქოში კათოლიკოსთან მივიდა.

პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ვაჟი სამართალდამცავებმა 2009 წლის 27 ოქტომბერს დააკავეს. მას იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის 13 წელი ჰქონდა მისჯილი.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

[illegible]

www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

[illegible]

# ბიძინა ივანიშვილი: პოლიტიკიდან მალე წავალ, მაგრამ ქვეყნიდან — არა“

თეა მარხვაიძე

პრემიერმინისტრობის კანდიდატი ბიძინა ივანიშვილი გუშინ საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებს შეხვდა. გაოპოზიციონერებულმა ნაცმოძმა უმცირესობის მანტია გაჭირვებით მოირგო. უმცირესობის ლიდერად თავი ვერც ნასპიკერალმა დავით ბაქრაძემ აღიქვა.

ივანიშვილისთვის ჩამჭრელი კითხვების სურვილი პარლამენტში მოხვედრილ თითქმის ყველა ნაციონალს გაუჩნდა. კითხვის მანიით შეპყრობილები წინასწარაც კი ჩაეწერნენ, დიდი სია გამოვიდა საკმაოდ. ბაქრაძემ კოლეგებს რჩევა მისცა.

— ძვირფასო უმრავლესობის წევრებო, შეკითხვების დიდი რაოდენობის გათვალისწინებით, გთავაზობთ, კითხვები დავაჯგუფოთ, — განაცხადა დავით ბაქრაძემ.

თავისი შეცდომა ნასპიკერალმა მალევე გამოასწორა. თავი იმით გაიმართლა, რომ ბოლო 4 წლის განმავლობაში ნაცმოძს უმრავლესობით მოიხსენიებდა. ოთხწლიანი ჩვევა კი, მისი თქმით, მალე არ გადადის თურმე.

უმცირესობის და ივანიშვილის შეხვედრა თავიდან მშვიდობიანად დაიწყო. დეპუტატების კითხვებს პრემიერობის კანდიდატი მშვიდად პასუხობდა. ზურაბ ჯაფარიძე დაინტერესდა, თუ როდისთვის აპირებს ივანიშვილი პენსიის გაზრდას. ექიმის დიპლომის მატარებელი გიგი წერეთელი ტრადიციულად ჯანდაცვის სფეროთი დაინტერესდა.

გურჯაანის მაჟორიტარ დეპუტატ გიორგი ღვინიაშვილს აინტერესებდა, იქნება თუ არა ხვნა-თესვა უფასო.

კონტროლის პალატის ყოფილი შეფი ლევან ბეჟაშვილი გუშინ დევნილების ბედით დაინტერესდა. აინტერესებს, როდის გაიზრდება მათი დახმარება. დევნილები 28-ლარიან დახმარებას იღებენ. ბეჟაშვილს აქამდე არასდროს არ გახსენებია, რომ მათი დახმარება მცირე იყო. მაგრამ ოპოზიციაში ყოფნა ისეთი ოხერია, ეგრევე გონებას გაგინათებს კაცს.

ყვარლის მაჟორიტარი დეპუტატი მარიკა ვერულაშვილი დასეტყვილი კახეთის გამო წუხდა. აინტერესებდა, როდის დაურიგებდა ივანიშვილი დასეტყვილ გლეხებს დაპირებულ დახმარებას.

აკაკი მინაშვილს, როგორც ჩანს, რუსეთში უნდა ქართული პროდუქციის გატანა. ის ივანიშვილს ჩაეძია, როდის აპირებთ რუსეთის მხრიდან დაწესებული ემბარგოს მოხსნასო. მინაშვილს ისიც აინტერესებდა, რას შესთავაზებდა ქართული მხარე ამის სანაცვლოდ რუსეთს.

ივანიშვილის თქმით, ემბარგო აუცილებლად მოიხსნება. ოღონდ არ იცის, როდის იქნება ეს.

— ამის შესაძლებლობა არსებობს. კონკრეტული დროის დაფიქსირება არ შემიძლია. ამ თემაზე ჯერ არავისთან გვიწარმოებია მოლაპარაკებები, — განაცხადა პრემიერობის კანდიდატმა.

ამასთან, დაინტერესდა, რატომ არ მოითხოვეს ნაციონალებმა ემბარგოს მოხსნა, როცა ვმო-ში (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია) რუსეთის გაწევრიანებას დაუჭირეს მხარი.

დეპუტატ გია თედორაძეს აინტერესებს, როდისთვის გაიაფდება დენი და გაზი. რა მაგის პასუხია და ნეტა თუ ჰკითხა რამე უგულავას, დენს ნაგავს რომ აბამდა. ისე, მისი კითხვა უადგილო არ იყო. მეოცნებეები გვპირდებოდნენ, რომ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დენსა და გაზს გააიაფებდნენ.

ეს დანაპირები ივანიშვილმა გუშინ კიდევ ერთხელ გაიმეორა. ზუსტი დრო არ დაუსახელებია. თქვა, რომ ტარიფები მალე დაიწევს.

— დენზეც და გაზზეც ხელოვნურად არის ტარიფები გაზრდილი. ამას აკეთებდნენ ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები. ტარიფები ძალიან მალე დაიწევს, — ამბობს ივანიშვილი.

ნაციონალებს კი დაჰპირდა, მალე გაგაგებინებთ, ვისი წყალობით იზრდებოდა გადასახადებიო.

მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილე დავით საყვარელიძე ქურდების ამბით დაინტერესდა. ნაცმოძი, მოგეხსენებათ, ამაყობს, რომ საქართველოდან ქურდები განდევნეს. არჩევნების წინ გვითხრეს, რომ თუ მათ ხმას არ მივცემდით, ქურდები დაბრუნდებოდნენ. ხალხმა მათ ხმა არ მისცა. ჰოდა, საყვარელიძე დაინტერესდა, დაბრუნდებიან თუ არა ქურდები.

პრემიერობის კანდიდატმა საყვარელიძე დაამშვიდა, რომ ისინი ქურდული სამყაროს წინააღმდეგ იბრძოლებდნენ. ივანიშვილი პირობას დებს, რომ კრიმინალებთან იქნება ბრძოლა, ოღონდ არა იმ მახინჯი მეთოდებით, რასაც ნაცმოძი იყენებდა.

— ყველაფერი კარგად იქნება მაფიოზები და ქურდები არ დაბრუნდებიან, — თქვა უმცირესობის სტუმარმა.

გიორგი კარბელაშვილს კი ის აინტერესებს, ჯერაც გაუპრემიერებელი ივანიშვილი როდის წავა პოლიტიკიდან. ეს კითხვა სხვა ნაციონალებსაც აწუხებთ. მის წასვლაზე მეოცნებენი გუშინ მთავარმა მეოცნებემ დააიმედა. უთხრა, რომ მალე წავა პოლიტიკიდან, მაგრამ საქართველოში დარჩება და სამოქალაქო საზოგადოების ფრონტზე იაქტიურებს.

ტრადიციულად ორიგინალური იყო გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი გოგა ხაჩიძე. მან ივანიშვილის მიერ მოყოლილი 2 ანეკდოტი გაიხსენა. მერე კი პრემიერობის კანდიდატს გადაეკიდა, მესამე ანეკდოტსაც მოგვიყევითო. ივანიშვილმა ხაჩიძეს უთხრა, რომ ანეკდოტებს მეგობრების წრეში ჰყვება. ნამინისტრალს კი ანეკდოტის ნაცვლად კითხვა დაუსვა.

— მართლა დასეირნობდით გარემოს დაცვის სამინისტროს დერეფანში, როცა მინისტრი იყავით. ამის დამადასტურებელი ფოტოებიც ყოფილა, — ჩაეძია პრემიერობის კანდიდატი ანეკდოტების კოლექციონერ ხაჩიძეს.

ნამინისტრალი ცოტა დაიბნა. მერე კი თქვა, რომ გარემოს დაცვის სამინისტროს დერეფანში ველოსიპედით სეირნობა შეუძლებელია. ეს ისეთი მოწყენილი სახით თქვა, აშკარად ენატრება ის დრო.

მოგვიანებით სოციალურ ქსელებში გაჩნდა ფოტოები, სადაც ხაჩიძე ველოსიპედს დაატარებს სამინისტროს დერეფანში. რაც შეეხება ანეკდოტებს, თუ ასე მოსწონს ხაჩიძეს იუმორი, რას მიდიოდა პარლამენტში. გასულიყო ბირჟაზე გინდა თბილისში და გინდა ხაშურში, ისეთ ანეკდოტებს მოისმენდა, 033 გაუჭირდებოდა მისი მობრუნება.

უმცირესობისა და პრემიერობის კანდიდატის შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. თავის პასუხებში ივანიშვილმა ნაციონალების ნამოქმედარი არაერთხელ გააკრიტიკა.

ამან ძალიან გააბრაზა პარლამენტის უხუცესი წევრი გოგი





## ხაჩიძემ მომავალ პრემიერს ანეკდოტის მოყოლა მოსთხოვა

ოჩიაური. მას პრემიერობის კანდიდატთან კამათი მოუხდა. ოჩიაურმა ივანიშვილი საქართველოს მიღწევების დისკრედიტაციისა და წინასაარჩევნო პათოსით საუბრისთვის გააკრიტიკა.

— საქართველოს პროგრესი აღიარებულია ცივილიზებული მსოფლიოს ყველა ინსტიტუციაში.

სამაგალითო მიღწევების ქვეყნად გვთვლიან პოსტსაბჭოთა სივრცეში. ასეთი გამოსვლით კი თქვენ კონსტრუქციული თანამშრომლობის წინააღმდეგ განაწყობთ თქვენს გუნდსაც და ოპონენტებსაც. საქართველოზე უნდა იფიქროთ, ნუ აძლევთ თქვენს თავს მიღწევების დისკრედიტაციის უფლებას, — უხეშად უთხრა ოჩიაურმა ივანიშვილს.

მხცოვანი დეპუტატი პრემიერობის კანდიდატს უპასუხოდ არ დაუტოვებია.

— ის, რასაც უმცირესობა დისკრედიტაციად მიიჩნევს, სინამდვილეში რეალობაა. ფასადურ დაპირებებს არ გავიმეორებ და ვიქნები ყოველთვის რეალისტი. რაღაც ტყუილებით მსოფლიო ინსტიტუტები შეცდომაში შეიყვანეს და მიიღეს რაღაც რეიტინგები. როგორ შეიძლება ადამიანის უფლებებზე ისაუბრო იმ ყველაფრის შემდეგ, რაც თითოეულ ოჯახში ხდებოდა. ჩვენ უარს ვამბობთ სიცრუისა და ძალადობის მანქანაზე, ჩვენ ვიქნებით რეალისტები და საზოგადოებას მივაწოდებთ რეალურ ინფორმაციას და არა — ფასადურს. მადლობა ღმერთს, რომ საზოგადოება და ოპოზიცია



განსხვავებული აზრისაა. ვიქნები ყოველთვის ობიექტური. თქვენი თანაგუნდელები კი, რომლებიც იდეოლოგიას და დემაგოგიას ერთმანეთში ურევენ, ვეღარ გაყიდიან. სიცრუეს აღარ ექნება გასავალი, — აღნიშნა ივანიშვილმა.

როგორც მოსალოდნელი იყო, კითხვის გარეშე არ დარჩენილა ნუგზარ წიკლაური, რომელმაც წინა მოწვევის პარლამენტში ბევრი ისაუბრა ივანიშვილზე. მას დამსახურებულად შეარქვეს ქვეყნის მთავარი ბიძინოლოგი.

გუშინ მან განაცხადა, რომ ივანიშვილი ცვალებადი ფსიქიკის ადამიანია, რომელსაც არ შეიძლება ქვეყანა ანდო.

— დღეში რამდენჯერ იცვლით პოზიციას? ჯერ ამბობდით, რომ პირველი ვიზიტით აშშ-ში გაემგზავრებოდით და მერე აღმოჩნდა, რომ ევროპაში; გადასახადები ელვისებურად დაიწევდა და საპროცენტო განაკვეთი 1-3% -ის ფარგლებში იქნებოდა, ხოლო ახლა თურმე ასე არ ყოფილა; ვერც ერთ დაპირების შესრულების თარიღს ვერ ასახელებთ.

საქართველო თქვენი გასართობი არ არის. თქვენ არ მოგეცემათ იმის საშუალება, რომ ქვეყანა რუსეთისკენ წაიყვანოთ, საიდანაც თავად 9 წლის წინ ჩამოხვედით. საქართველო რუსეთი არ გახდება. გქონდეთ იმედი, რომ ქართული ელიტა არნახულ შეკავშირებას მოახერხებს იმისთვის, რომ თქვენი ამ ტიპის გეგმები არ განგახორციელებინოთ, — განაცხადა წიკლაურმა.

მის განცხადებას უმცირესობის წევრები, ბუჩქებში მიმალული ბულბულებივით სულგანაბულები უსმენდნენ. დადუმდა თუ არა ნუგზარი ომახიანი ტაში დასცხეს. აი, ისეთი, კარგ დროში მიხეილ სააკაშვილს რომ უკრავდნენ ხოლმე.

ივანიშვილმა წიკლაურის განცხადებას დემაგოგია უწოდა და აღნიშნა, რომ თუ ასეთი მიდგომა არ შეიცვლება, უმცირესობის დემაგოგიას გასავალი აღარ ექნება.

— იმ ფასადურმა რეფორმებმა, რითაც ეს ხელისუფლება ტრაბახობს, ძალიან ხშირად შეცდომაში შეიყვანა მსოფლიო ინსტიტუტები და რაღაც რეიტინგებიც მიიღეს. ჩვენ მოვახერხებთ, რომ საზოგადოება სიცრუიდან ამოვიდეს, და ყოველთვის რეალისტები ვიქნებით, — განაცხადა ივანიშვილმა.

გუშინ ივანიშვილს აკაკი ბობოხიძეც აუშარდა. გადაეკიდა, გინდა თუ არა მიშას სააკაშვილით მოხსენიებას თავი დაანებეო.

— მოგიწოდებთ, მიხეილ სააკაშვილი მოიხსენიოთ როგორც საქართველოს პრეზიდენტი. ჩვენ როდესაც თქვენ დღეს დარბაზში შემობრძანდით, ფეხზე წამოვდექით. თქვენი წევრები კი მიხეილ სააკაშვილის პარლამენტში მოსვლის დროს ასე არ მოქცეულან. მიხეილ სააკაშვილი არ არის მხოლოდ ჩვენი ლიდერი, ის ჩვენი ყველას პრეზიდენტია, — განაცხადა აკაკი ბობოხიძემ.

მისი თქმით, უმცირესობა „ქართულ ოცნებას“ წარმატებებს უსურვებს, თუმცა აქვე ბიძინა ივანიშვილი გააკრიტიკა იმის გამო, რომ ის ვერც ერთი პროგრამის განხორციელების კონტექსტში კონკრეტულ ვადებს ვერ ასახელებს.

— ბატონო ბიძინა, თქვენ წარმატებით გაქვს დამთავრებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საარჩევნო კამპანიის პერიოდში თქვით, რომ მყისიერად აშენდებოდა ქვეყანაში ათასობით საწარმო. ელემენტარული არითმეტიკის ცოდნაა, რომ ათასობით მინიმუმ ნიშნავს ორი ათასს. მართალია კონკრეტულ ვადებს ვერ ასახელებთ, თუმცა გისურვებთ წარმატებებს. დიდი უმაღლესი არითმეტიკა არ სჭირდება არც იმას, რომ ბიუჯეტის ზრდას მოჰყვება პენსიების ზრდა. უმრავლესობა ცდილობს უმცირესობის გარკვეულ წევრებზე ზემოქმედება მოახდინოს და ფრაქციიდან გადაიბიროს, რათა „ქართულ ოცნებას“ საკანონმდებლო ორგანოში 100 კაცი ჰყავდეს. ბატონო ბიძინა, ყველა ნორმალურ საკითხზე თქვენ 100 კაცი კი არა, 150 კაცი გეყოლებათ. ასე რომ, ნუ ნერვიულობთ, — „დაამშვიდა“ ბობოხიძემ ივანიშვილს.

ძალიან თბილი გამოსვლა ჰქონდა გია ბარამიძეს. ის ღიმილით უსმენდა ივანიშვილის პასუხებს. მერე თქვა, იმიტომ ვიღიმებოდი, დავინახე, ივანიშვილი გულწრფელად ლაპარაკობდაო.

— კოლეგებს ვეუბნებოდი, რომ ეს ადამიანი რასაც ლაპარაკობს, გულწრფელად ლაპარაკობს.

თქვენ, თქვენს გუნდს აქედან არიგებდით ჭკუას, რასაც კლასიკური გაგებით, პოლიტიკოსი შინაურ წრეში გააკეთებდა. ეს ყველაფერი კი მართლაც სიმპათიით განაწყობს ადამიანს თქვენ მიმართ. თქვენ იმის უნარიც გაქვთ, რომ თუ რამე არასწორია, შეცვალოთ პოზიცია. პოზიციის შეცვლის მაგალითებიც რომ მოვიყვანოთ, ეს ნიშნის მოგებით კი არ არის და არც იმის ნიშანია, რომ ეს ცუდია. თუ ადამიანმა დაინახა, რომ რაღაცა არასწორი თქვა და შეცვალა თავისი აზრი, ეს ნორმალურია და ეს ხელოვნება თქვენ ათვისებული გაქვთ, — მიმართა ბიძინა ივანიშვილს ბარამიძემ.

მან ივანიშვილს ის განცხადებაც მოუწონა, რომ კანონის დაცვით მოხდება ყველაფრის გამოძიება.

— ჩვენც ეს გვინდა. ჩვენ არ გვაქვს იმის ილუზია, რომ არის ხელისუფლება დედამიწაზე, რომელიც შეცდომას არ უშვებს, რომ რაღაც დანაშაული არ შეიძლება მოხდეს. ყოველი დამნაშავე, რომელიც იყო ჩვენს ხელისუფლებაში, შინაურულად ვიტყვი — ჩვენი მტერია, იმიტომ, რომ ჩვენს დისკრედიტაციას ახდენდა. ჩვენ ვართ დაინტერესებული თუკი ვინმე გამომჟღავნდება, რომ დანაშაული ჩაიდინა, პასუხი აგოს და ამაში ჩვენ აუცილებლად ვითანამშრომლებთ. საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არ არის იდეალური სიტუაცია და ასეთი ქვეყანა არც არსებობს. ჩვენ გასაკვირად მიგვაჩნია თქვენი ის განცხადება, რასაც ბრძანებთ, რომ წელიწადნახევარში წახვალთ მაგრამ, რომ იტყვიან, კაცია და ბუნება და ეს თქვენი საქმეა. თქვენ რომ წაბრძანდებით, თქვენი გუნდი, რომ წავა, როცა იქნება ეს 4, 8, 16 წელიწადში, ღმერთმა ქვეყნის საკეთილდღეოდ დიდხანს გაკეთებინოთ საქმე, არც მაშინ იქნება ადამიანის უფლებების კუთხით იდეალური სიტუაცია, — განაცხადა ბარამიძემ.

უმცირესობის წევრის, გოკა გაბაშვილის განცხადებით, საქართველო ალბათ მსოფლიოში პირველი ქვეყანაა, სადაც პრემიერმინისტრობის კანდიდატი ამბობს, რომ ბიუჯეტს არ იცნობს და ქვეყანაში ჯანდაცვის და სოფლის მეურნეობის სისტემას თავისი ჯიბიდან დააფინანსებს.

— ის, რაც იყო სწრაფი განვითარება, მოდერნიზაცია, რეფორმები ამაზე ჩვენმა მოქალაქეებმა დროებით უარი თქვეს. მოქალაქეებს უნდათ სრულიად კონკრეტული თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რისთვისაც თქვენ აგირჩიეს. თქვენი შემდეგი ამოცანა ის კი არ არის, რომ შემდეგი თვეები კარგად გული იჯეროთ და კარგად გვლანძღოთ, როგორც დღეს; თქვენი ამოცანაა ის, რომ გააკეთოთ ის, რაც დღეს არ გააკეთეთ. გვითხრათ, როდის იქნება პენსიების ზრდა, რამდენი იქნება, რა გრაფიკით, რა ბიუჯეტით. თქვენი ამოცანაა ადამიანებს უთხრათ, როგორ და რანაირად დაუფარავთ მათ ვალებს; თქვენი ამოცანაა, როდესაც ჰპირდებოდით 1-3 პროცენტამდე კრედიტებს, როდის და რა ვადებში შეუსრულებთ; თქვენი ამოცანაა, როცა ადამიანებს ჰპირდებოდით პირველი სამი წელი უფასოდ მიწის დამუშავებას, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოყვანას და ბაზრამდე მიტანას, ეს ლენინსაც კი არ უთქვამს; თქვენი ამოცანა ახლა ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემაა და სამწუხაროდ, არცერთ ამ შეკითხვაზე პასუხი არ გაქვთ. ჩვენ ვართ მსოფლიოში პირველი ქვეყანა. ალბათ, სადაც პრემიერმინისტრობის კანდიდატი ამბობს, რომ ბიუჯეტს არ იცნობს და ქვეყანაში ჯანდაცვის სისტემას და სოფლიოს მეურნეობის სისტემას თავისი ჯიბიდან დააფინანსებს. ასეთი ქვეყანა მე არ მინახავს, სადაც მწყობრი გეგმის ნაცვლად ასეთ დაპირებებს იძლევიან, — აცხადებს გაბაშვილი.

# ნანა დევდარიანი: ივანიშვილი ვის უტოვებს ამ ხელისუფლებას წელიწადნახევრის შემდეგ?“

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ ნანა დევდარიანთან



***– ქალბატონო ნანა, გუშინ დებატები გაიმართა პრემიერობის კანდიდატ ბიძინა ივანიშვილსა და ამჟამინდელ უმცირესობას შორის. რას იტყოდით ამ ახალი ოპოზიციის შესახებ, რომელიც მხარს არ უჭერს დღევანდელი მთავრობის დამტკიცებას?***

– ნაციონალების შემადგენლობაში ვინც არიან დღეს, მათ ოპოზიციაში ყოფნის ძალიან კარგი გამოცდილება აქვთ. ოპოზიციაში ყოფნა ისეთივე რთული სკოლაა, როგორიც, იყო ხელისუფლებაში. თქვენ თუ გაიხსენებთ ამ ადამიანებს როგორ იქცეოდნენ, ისინი შევარდნაძის დროინდელი უმრავლესობის წიაღში გადავიდნენ ოპოზიციაში, ძალიან კარგად მიხვდებით, რომ ეს ჩვეული და კარგად ათვისებული სტილია. ეს ის ხალხია, რომელიც, პური ჯერ არც იყო გაძვირებული და არც იგეგმებოდა და პიარი ააგეს იმაზე, რომ შევარდნაძე პურის გაძვირებას აპირებს. ანუ ისეთ რაღაცებზეც კი ედავებოდნენ, რაშიც სიმართლის მარცვალიც კი არ იყო. ეს ძალიან კარგად აქვთ მაგათ ათვისებული. მე დღესაც ძალიან კარგად მახსოვს, ჟვანია როგორ დადიოდა, ხვდებოდა სხვადასხვა კოლექტივებს, პროფკავშირებს და სხვებს, ლეპტოპი დაჰქონდა თან და მთელი გათვლები ჰქონდა, რომ შევარდნაძეს აქვს საშუალება, პენსია გახადოს ასი დოლარი, მაგრამ ამას არ აკეთებს განზრახ. მთელი მათემატიკური გათვლები ჰქონდათ. მერე მოვიდა ეს ხელისუფლება, ჟვანია კი მალევე გარდაიცვალა, უფრო ზუსტად, მოკლეს, მაგრამ ასი დოლარი დღესაც არ არის პენსია. ამიტომ ეს ხალხი ძალიან კარგად არის მომართული, ჩასაფრებულები არიან. უმიზეზოთაც კი შეუძლიათ რაღაცაზე პიარი ააგონ. მით უმეტეს, მიზეზს რომ მისცემ, ჯერ რომ იტყვი 240 ლარი იქნება პენსიაო და ახლა რომ გამოდიხარ და იძახი, რამდენიმე წელიწადი უნდა იმას, რომ პენსია 220 ლარი გახდესო, ამაზე რომ არ გამოგეკიდონ, ამის ვარიანტი არ არსებობს. ადამიანები, რომლებიც კონსტიტუციას ისე ჭრიდნენ და კერავდნენ, როგორც გაეხარდებოდათ და კანონი მაგათთვის არ კანონობდა, რასაც უნდოდათ იმას აკეთებდნენ, ახლა ძალიან კარგად მოირგეს კონსტიტუციური და კონსტრუქციული ჩარჩო. რასაც, სხვათა შორის, დაჟინებით მოითხოვენ ამერიკელები, რომ არაფერი არ გავიდეს კონსტიტუციის ჩარჩოებიდან. ამიტომ ყველა იმ მექანიზმს და იმ ინსტრუმენტს, რაც მათ კონსტიტუციური ოპონირების ჩარჩოებში აქვთ, გამოიყენებენ არაჩვეულებრივად. მით უმეტეს, ამის გამოცდილებაც აქვთ და შეუძლიათ პიარი ააგონ იმაზე, რაც ბუნებაშიც კი არ არსებობს.

***– შეუძლიათ, რომ პრობლემები შეუქმნან ახალბედა მთავრობას?***

– როგორ არ შეუძლიათ. მოდი შევხედოთ ასე, მათ გასაგებად თქვეს, რომ რაც გეკუთვნით საპარლამენტო არჩევნებით, კი ბატონო, გითმობთ, მაგრამ ყველაფერი, რაც არ ექვემდებარება და არ არის შეხებაში საპარლამენტო არჩევნებთან, ის არის ჩვენი. ეს არის უზარმაზარი ვერტიკალი მათთვის, რომელიც ააგო სააკაშვილმა ამ წლების განმავლობაში. 9 წელიწადია ამას რუდუნებით აშენებს. დავუშვათ გამოიცვალა მინისტრი და ივანიშვილის გუნდიდან გაისმა, რომ შეიძლება ზოგიერთი მოადგილეც კი არ შევცვალოთო. მაშინ როცა, დაწყებული გუბერნატორებით, დამთავრებული სოფლის რწმუნებული და გამგებლებით, ყველა მათია და უკვე დაიწყეს მოძრაობა. იქ ჭიაბერაშვილი – კახეთში, იქ გოროზია – სამეგრელოში, გურიაშიც ასეთივე მოძრაობებია. თუ ყველა გადაწყვეტილება, რაც სამინისტროების მიერ იქნება მიღებული, ის თუ ბოლო რგოლში არ შესრულდა, ეს გადაწყვეტილებები ხომ შედეგს არ მოიტანს.

***– ბევრს საუბრობენ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობები საბოტაჟზე წავლენო...***

– საქართველოში ტრადიციასავით ჩამოყალიბდა, არც ერთი პარტია არ არის ისეთი, რომელსაც შეუძლია, რომ მთელი ხელისუფლება დააკომპლექტოს. ადამიანური რესურსი არის შეზღუდული. საპარლამენტო არჩევნებით შეიცვალა საპარლამენტო უმრავლესობა და შეიცვალა ძალიან მცირე უპირატესობით. რაც შეეხება ადგილობრივ კადრებს, ქვედა რგოლები მაქვს მხედველობაში, იქ საკრებულოებია და მთელი რიგი გადაწყვეტილებები საკრებულოების მიერ მიიღება და არ არის პირდაპირ შეხებაში იმასთან, რომ დავუშვათ, პარლამენტში ოცნებას ჰყავს უმრავლესობა. ამიტომ იყო მნიშვნელოვანი, რომ ადგილობრივ დონეზე ძლიერი ორგანიზაციები შექმნილიყო, რომელიც იქნებოდა რეალური ალტერნატივა და რომელიც შეძლებდა საკრებულოებზე ზეწოლის მოხდენას. მე ზეწოლას ანტიკონსტიტუციურს კი არ ვგულისხმობ. იგივე, როგორ შეიძლება საკრებულომ თუ იქ ადგილზე არის ძლიერი ორგანიზაცია და ის გამოხატავს საზოგადოების ნებას, იმას გაუწიოს წინააღმდეგობა. ახლა ბრძოლა იქნება მარტივ და წვრილმან გადაწყვეტილებებზეც კი. ეს ბრძოლა უნდა მიიღოს ქართულმა ოცნებამ და უნდა შეძლოს ამ ბრძოლის მოგებაც კი და ეს არის საკმაოდ რთული.

***– ფიქრობთ, რომ გაუჭირდებათ?***

– საკმაოდ რთულია, მაშინ როდესაც ისეთ ძალასთან გაქვს საქმე, რომელიც კანონით და უკანონობითაც ცდილობს თავისი გაიტანოს. ხომ ხედავთ, უკვე თავები წამოყვეს და რა დღეში არიან. სირცხვილის გრძნობა ამ ადამიანებს არ გააჩნიათ. იმედი იმისა, რომ მე შევაგონებ ან დავანახებ, რომ ასე არ შეიძლება, ეს არის გამორიცხული. მათ ძალიან კარგად იცოდნენ, ეს 9 წელიწადი რასაც აკეთებდნენ.

***– რაც შეეხება კანონს და სამართლიანობის აღდგენას, არ ფიქრობთ, რომ ბევრი ისეთი შევიდა პარლამენტში ნაციონალური მოძრაობიდან, ვისაც პასუხი აქვს საგები სამართლის წინაშე?***

– როგორ არა, ეს ასეა. დღეს, ახლა ბევრს ლაპარაკობენ რევანშზე ხან ერთი მხრიდან, ხან მეორე მხრიდან, მაგრამ ახლა ისეთი ვითარება შეიქმნა, ერთი მხრივ არ შეიძლება ეს ანგარიშსწორებაში გადაიზარდოს, მაგრამ მეორე მხრივ, თუ ამომრჩეველმა არ დაინახა შენ რისთვისაც მოგცა ხმა, იმას არ აკეთებ და ეს არ გამოგდის, მაშინ ძალიან მალე დადგება იმედგაცრუება. ამიტომ აქ არის მეთოდური და ყოველდღიური მუშაობა საჭირო. ყველა დეტალს და წვრილმანს ცალ-ცალკე უნდა ჩაუღრმავდნენ. პარლამენტში კი არა და პარლამენტს გარეთაც ბევრი ისეთი ადამიანია, რომელსაც ამ წლების განმავლობაში უამრავ უკანონობაზე აქვს ხელი მოწერილი და ადამიანებმა დაინახონ, რომ ისინი არ ისჯებიან, მშვენივრად გრძნობენ თავს და ისევ ისე აგრძელებენ ცხოვრებას, ეს ხალხს იმედებს გაუცრუებს. ძალიან რთული ამოცანის წინაშე დგას ახალი ხელისუფლება.

***– ივანიშვილმა პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა, რომ ხელისუფლებას წელიწადნახევარში დავტოვებო და ამ მოკლე დროში რამდენად შეძლებს ყველა დანაპირების შესრულებას?***

– რამდენიმე წელი დაგვჭირდება იმისთვისო, რომ პენსია გაიზარდოს და წელიწადნახევარში წავალო, ეს ადამიანი ამბობს, მაშინ უკვე იბადება ლოგიკური შეკითხვა, მისი გამოჩენა პოლიტიკურ არენაზე მხოლოდ იმას ემსახურებოდა, რომ დავუშვათ, რესპუბლიკელების და ალასანიას გუნდი შეეყვანა ხელისუფლებაში, რომლებიც თავად უმრავლესობით ვერასოდეს ვერ მოვიდოდნენ. ყოველ შემთხვევაში, ამ პერიოდში. ვის უტოვებს ამ ხელისუფლებას წელიწადნახევრის შემდეგ? საკმაოდ არარეალურად მეჩვენება, რომ ის ამოცანები, რაც მათ მიერ იყო დასახული, წელიწადნახევარში შესრულდება. ფიზიკურად არ ეყოფა ამას წელიწადნახევარი. მთელი რიგი გადაწყვეტილებებია ისეთი, რომელიც გრძელვადიანი პროგრამით შეიძლება რომ დაიძლიოს. მე არა მგონია, რომ პასუხისმგებლობის მქონე ლიდერი ამას დღეს უნდა ამბობდეს. ხომ ყველამ კარგად ვიცით, რომ ხალხმა ხმა მისცა ივანიშვილს და არა რომელიმე მისი კოალიციის წევრს, ან პარტიის ლიდერს, ეს ცხადია.

***– ქალბატონო ნანა, ასევე მინდა რომ სახალხო დამცველის შესახებ გკითხოთ, როგორც ყოფილ სახალხო დამცველს, დიდი განსჯა მიდის თუ ვინ უნდა იყოს სახალხო დამცველი. წამოყენებულია ოთხი კანდიდატურა, როგორია თქვენი შეხედულება ამ საკითხთან დაკავშირებით?***

– მე ძალიან გული მწყდება იმაზე, რომ დღესაც ადამიანები ისევე ლაპარაკობენ, როგორც სააკაშვილი ლაპარაკობდა. პირველად საქართველოს ისტორიაში, ჩვენ უნდა ავირჩიოთ სახალხო დამცველი. რას ჰქვია პირველად საქართველოს ისტორიაში? არ შეიძლება ყველაფრის გადახაზვა, რაც იყო მანამდე და მე მარტო ჩემს თავზე არ ვამბობ, რაღაცები კეთდებოდა და არცთუ ცოტა კეთდებოდა. მარტო მე რამდენიმე სარჩელი პრეზიდენტს მოვუგე საკონსტიტუციო სასამართლოში. ახლა წავიდეს რომელიმე და პრეზიდენტს მოუგოს სარჩელი ამ სასამართლოს პირობებში თუ მაგრები არიან. არის კარგი კანდიდატურები, არის კანდიდატურები, რომლებიც პირდაპირ გეუბნებიან, რომ მერე რა, რომ არავინ არ მიცნობს, მაინც უნდა ამირჩიოთ, იმიტომ, რომ კარგი ვარ. რას ჰქვია, კაცო, სახალხო დამცველს ქვეყანა უნდა იცნობდეს. სახალხო დამცველთან ადამიანი ხშირად იმიტომ მიდის, რომ პირადად ენდობა. არ მივა ისე უფლებადარღვეული ადამიანი თუ არ იცის, ის რისი გამკეთებელია და როგორ მოიქცევა. კარგი კანდიდატურებია დიმა ლორთქიფანიძე, გელა ნიკოლეიშვილი, ლია მუხაშავრია, არჩევანი არის. მე უბრალოდ არ მომწონს აპელირება, მაგალითად, დიმა ლორთქიფანიძეს რომ დაუწყეს იმაზე, რომ თქვენ უმცირესობების უფლებებს არ დაიცავთო. ქვეყანაში, სადაც ყველა უმრავლესობის და უმცირესობის წარმომადგენელი დაუცველია, აქცენტის გაკეთება მარტო სექსუალურ უმცირესობებზე, ეს არ ვიცი რა არის. გრანტის მიმცემებს თუ უგორებენ კოჭს არ ვიცი... ეს არ არის ნამდვილად ნომერი პირველი პრობლემა. სხვათა შორის, ადამიანის უფლებათა დარღვევები არ არის ჯგუფური ხასიათის ძალიან ხშირად. ასეთი შეიძლება იყოს დოკუმენტის მიღება, თუ ის რომელიმე ჯგუფს ულახავს უფლებებს, თორემ ძირითადად უფლებათა დარღვევები არის ინდივიდუალური. ვინც არ უნდა მოვიდეს, რომელ ჯგუფსაც არ უნდა წარმოადგენდეს, კონკრეტულად მის დარღვევებზე უნდა იზრუნოს სახალხო დამცველმა და არა რომელიღაცა მითიური ჯგუფების. აი, ეს სამი კანდიდატურა, რომელიც მე ჩამოვთვალე, არის აბსოლუტურად მისაღები. მე, მაგალითად, ჩემი ასარჩევი რომ იყოს, ერთპიროვნულად ავირჩევდი დიმა ლორთქიფანიძეს, იმიტომ, რომ ბოლო წლებში ეს იყო ერთადერთი ადამიანი პარლამენტში, რომელიც მუდმივად იმ პრობლემებზე ლაპარაკობდა და ძალიან სერიოზულად უპირისპირდებოდა ამის გამო მმართველ გუნდს, რომელიც ახლა, სექტემბერში გამჟღავნდა.

# რატომ დააპატიმრეს ფოთის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე

შორენა კოწოწაშვილი

სააკაშვილის ძალადობრივი მმართველობის დასრულების შემდგომ საზოგადოების ძალიან დიდ ნაწილს იმედი გაუჩნდა, რომ რევოლუციური ხელისუფლების მიერ დამკვიდრებული უსამართლობა ერთხელ და სამუდამოდ დასრულდება და კოტე კუბლაშვილის უსამართლო სასამართლო თუ არა, სამართლიანი სამართლებრივი სასამართლოს მშენებლობის პირობადადებული „ქართული ოცნება“ საბრალდებო სკამზე დასვამს ყველა იმ პირს, რომელთა პირადი ინტერესებიდან გამომდინარე არაერთი უდანაშაულო ადამიანი მოხვდა ციხეში.

დაუსჯელობის სინდრომი და განსაკუთრებული აღვირახსნილობა ახალაიების კლანს უკავშირდება. როლანდ ახალაიას სახელს უკავშირდება ფოთის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის და ამჟამად ფოთის საკრებულოს წევრის მოგელი ტყებუჩავას დაპატიმრება, ფაქტობრივად, აბსურდული ბრალდებით. როლანდ ახალაიას მიერ დაპატიმრებულ და კუბლაშვილის „ობიექტური“ მოსამართლეების მიერ გასამართლებულ ტყებუჩავას საქმეში, არც მეტი, არც ნაკლები, თავად სააკაშვილის ხელისუფლების ექსპერტიზის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც დღეს უკვე „ქართული ოცნების“ წევრის – მოგელი ტყებუჩავას უდანაშაულობაზე მიუთითებს.

რაც შეეხება კონკრეტულ საქმეს, რის გამოც ფოთის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე და დღეს ამავე საკრებულოს წევრი მოგელი ტყებუჩავა იქნა დაპატიმრებული, ეს უცხოურ ინვესტიციებს უკავშირდება და ინვესტიციებიდან გამომდინარე ბიუჯეტისთვის მიყენებულ ზარალს.

მოგელი ტყებუჩავა სისხლის სამართლის პასუხისგებაში 2006 წლის 20 იანვარს მიცემულ იქნა 2000 წლის 5 მაისს ენერგეტიკის სამინისტროსა და კომპანია „ფინკომიტს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის თანახმადაც, ფოთში 108 მგვტ სიმძლავრის თბოელექტროსადგური უნდა შესულიყო რეალიზაციაში. აღნიშნულ კონტრაქტს ხელს ფოთის იმჟამინდელ მერ გია დარჯანიასთან ერთად ხელს აწერდა თვითმმართველი ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე ტყებუჩავაც.

ხსენებული კონტრაქტის მიხედვით, ფოთის მერია კისრულობდა ხარჯების დაფარვას 150.000 დოლარის ოდენობით შესაბამისი ანგარიშფაქტურის წარმოდგენისთანავე პროექტის მოკვლევითი სამუშაოების, ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის და ელექტროენერგიის წარმოების და მარკეტინგის შესაძლებლობებთან დაკავშირებით ჩატარებული სამუშაოების ასანაზღაურებლად. კონტრაქტი დამტკიცდა ფოთის საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე. როგორც ევროსასამართლოში გაგზავნილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, კონტრაქტი კვლავ ძალაშია და რაიმე საჩივარს, რომელიმე მხრიდან, ადგილი არ ჰქონია.

მართალია, მხარეებს ხელშეკრულებასთან დაკავშირებით დღემდე პრეტენზიები არ გამოუთქვამთ, მაგრამ ფოთის იმჟამინდელი საკრებულოს თავმჯდომარე მოგელი ტყებუჩავა, როგორც აღვნიშნეთ, 2006 წლის იანვარში სამეგრელო-ზემო სვანეთის რაიონულმა პროკურატურამ დააპატიმრა და ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი და 332-ე მუხლის მესამე ნაწილით წაუყენა, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას და უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს.

ტყებუჩავას ინტერესების დამცველ ადვოკატ დავით კვაჭანტირაძის ინფორმაციით, ბრალდებამ ტყებუჩავა დაადანაშაულა უფლებამოსილების გადამეტებაში, რაც გამოიხატა კონტრაქტის ხელმოწერაში საკრებულოს მხრიდან შესაბამისი უფლებამოსილების არქონის გამო და იმაში, რომ მისი ხელმოწერით მერიის სახსრებიდან 150 ათასი დოლარი გადაერიცხა „ფინკომიტს“, მაშინ, როდესაც კომპანიას კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებული არ ჰქონდა; და რომ ამ ქმედებამ სახელმწიფოს კანონიერ ინტერესებს მიაყენა მატერიალური ზარალი, რადგან ტექნიკური მოკვლევითი სამუშაოები უცხოური კომპანიის მიერ არ იყო დასრულებული.



მოგელი ტყებუჩავა აცხადებს, რომ ის სრულიად უდანაშაულოა და უკანონოდ იქნა დაპატიმრებული, რაც თავის მხრივ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაშიც აისახება. ტყებუჩავა არ გამორიცხავს, რომ საქართველოს ხელისუფლებას მოუწიოს პასუხისგება სასამართლოს წინაშე იტალიურ მხარესთან ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის. რაც შეეხება იმ მაღალჩინოსანს, თუ ვისი პასუხისმგებლობა იკვეთება იტალიური ინვესტიციის დაბლოკვასთან და პროექტის ხელის შეშლაში, როგორც ტყებუჩავა აცხადებს, სხვა პირებთან ერთად ნიკა გილაურის გვარიც ფიგურირებს.

და მაინც, რა მოხდა იტალიურ კომპანიას „ფინკომიტთან“ მიმართებაში, ვინ შეაფერხა იტალიური ინვესტიცია, რატომ მოხვდა ნაციონალების „შავ სიაში“ და რას ითხოვს ფოთის მოქმედი საკრებულოს და „ქართული ოცნების“ წევრი სტრაბურგის სასამართლოსგან? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს მოგელი ტყებუჩავასთან.

***– ბატონო მოგელი, თქვენ საუბარში ახსენეთ, რომ დაგირეკათ როლანდ ახალაიამ და პროკურატურაში მისვლა გთხოვათ. როგორ მოხვდით ახალაიას დასაპატიმრებელთა სიაში და რამდენად კანონიერია თქვენთვის, როგორც თვითმმართველი ორგანოს იმჟამინდელი სპიკერისთვის, აღნიშნული ბრალდების წაყენება?***

– თავიდანვე მინდა გითხრათ, რომ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარეს, როგორც ასეთი, თანამდებობის პირს არ შეეძლო ჩაედინა სამოხელეო სისხლის სამართლის დანაშაული, როგორიცაა უფლებამოსილების გადამეტება. ასეთს სს კოდექსი არ იცნობს. იმიტომ, რომ საკრებულოს თავმჯდომარე იყო სპიკერი და არა პასუხისმგებელი, ხელმძღვანელი პირი. ვერ ვიტყვი, რომ კონკრეტულად როლანდ ახალიას ინტერესი იყო ჩემ მიმართ, ეს საერთო ინტერესები იყო. მხედველობაში მაქვს სააკაშვილის ხელისუფლების ინტერესები – საზოგადოებისთვის ენახვებინათ, რომ აი, საკრებულოს თავმჯდომარეც დააპატიმრეს, ისევე, როგორც ექიმი და ა.შ. როგორც იცით, დავით მირცხულავას ენერგეტიკის მინისტრობის დროს, იტალიის ერთ-ერთ კომპანიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერისთვის დამაპატიმრეს. ქართული მხრიდან ამ ხელშეკრულებას ოთხი პიროვნება აწერდა, მათ

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არმაზ ახვლედიანი გახდება

ნათია ხურცილავა



**ბევრი ჭორ-მართლის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ აჭარის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობას პრემიერმინისტრობის კანდიდატი ბიძინა ივანიშვილი არმაზ ახვლედიანს სთავაზობს.**

აღნიშნულ პოსტზე ბევრი კანდიდატი განიხილებოდა, კონსულტაციები გაიმართა ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრში, სადაც აჭარიდან დეპუტატებიც იყვნენ ჩამოსულები. მაშინ, კონსულტაციებიდან გამოსულმა მურმან დუმბაძემ და გიორგი მასალკინმა ჟურნალისტებს განუცხადეს, რომ ისინი ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმდნენ, რომ მათ უნდა წარუდგინონ კანდიდატურა აღნიშნულ პოსტზე და შემდეგ გადაწყვეტილება კონსენსუსის გზით უნდა იქნეს მიღებული.

მურმან დუმბაძე, ბათუმის მაჟორიტარი კანდიდატი აცხადებდა, რომ აჭარის მთავრობის თავმჯდომარე „ქართული ოცნების" წევრი უნდა იყოსო.

როგორც ცნობილია, არმაზ ახვლედიანი არ არის „ქართული ოცნების" წევრი, თუმცა ის აქტიური მხარდამჭერია ოცნების და წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკურ შეფასებებსაც აკეთებდა.

როგორც ჩანს, არმაზ ახვლედიანის კანდიდატურა აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიერ იქნა განხილული და შემდეგ წარდგენილი ივანიშვილისთვის. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ახვლედიანის კანდიდატურა კონსენსუსის შედეგია.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარის პოსტი პრემიერმინისტრობის კანდიდატმა ბიძინა ივანიშვილმა არმაზ ახვლედიანს უკვე შესთავაზა. ეს ინფორმაცია თავად არმაზ ახვლედიანმაც დაადასტურა.

ახვლედიანი, როგორც ის პრესასთან საუბარში ადასტურებს, მზად არის, რომ აღნიშნული შეთავაზება მიიღოს და ივანიშვილს თანხმობა განუცხადოს.

— გუშინწინ მივიღე შემოთავაზება ბატონი ბიძინა ივანიშვილისგან ამ თანამდებობასთან დაკავშირებით. მე დავთანხმდი და საბოლოო გადაწყვეტილებას თავად ბატონი ბიძინა გამოაცხადებს. — აცხადებს არმაზ ახვლედიანი ჟურნალისტებთან საუბარში.

პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი არმაზ ახვლედიანი 42 წლისაა. ის ორი მოწვევის პარლამენტის წევრი იყო. ახვლედიანი პოლიტიკური სწავლების სკოლის დამფუძნებელი და დირექტორია.

# ლევან ბერძენიშვილი: ვინ ჰკითხავს ნაციონალებს, როდის რას გავაკეთებთ"

ნათია ხურცილავა



პრემიერმინისტრობის კანდიდატმა ბიძინა ივანიშვილმა პარლამენტში უმცირესობის წარმომადგენლების კითხვებს უპასუხა. უმცირესობამ ბიძინა ივანიშვილისგან უფრო კონკრეტული, ვადებში გაწერილი სამთავრობო პროგრამა მოითხოვა. ასევე იყო კითხვები მინისტრობის კანდიდატების მისამართით, ერთ-ერთი ასეთი კითხვა ენერგეტიკის მინისტრობის კანდიდატის კახა კალაძის მიმართ გივი თარგამაძემ დაუსვა ბიძინა ივანიშვილს.

კითხვა-პასუხის რეჟიმის დასრულების შემდეგ მინისტრობის კანდიდატებმა ჟურნალისტებთან კომენტარები გააკეთეს.

კახი კალაძის განცხადებით, „გივი თარგამაძისნაირ ადამიანებს ბიზნესში თავიანთი წილების ბედი ადარდებთ".

— მე ვიცი, რა ადარდებს თარგამაძეს, მას ადარდებს წილები, რომელიც ამ ადამიანებს ენერგოსფეროში, ნავთობის სფეროში აქვთ, ამ ადამიანებს მოუწევთ ყველაფერზე უარის თქმა და ეს არ იქნება წილების ჩანაცვლება. ზუსტად მათი, თარგამაძისნაირი ადამიანების წილები აისახება დღეს ტარიფებზე, მინდა, ბიზნესს ვუთხრა, რომ ის გათავისუფლდება სახელმწიფო წნეხისგან, თარგამაძისნაირი ადამიანები ბიზნესთან შეხებაში არ უნდა იყვნენ, ჩვენ ვიცით, რომ უშუალოდ თარგამაძე არ იყო შეხებაში ბიზნესთან, მაგრამ ძალიან კარგად ვიცით, მისი ოჯახის წევრები რას საქმიანობდნენ, ყველაფერი ვიცით და ამით აუცილებლად დაინტერესდებიან შესაბამისი ორგანოები, მათ მოუწევთ კითხვებზე პასუხის გაცემა, ეს ეხება არა მარტო თარგამაძეს, არამედ ბევრ წარმომადგენელს, რომლებიც დღეს უმცირესობაში არიან და სხდომათა დარბაზში სამშობლოს სიყვარულს გვასწავლიდნენ, — განაცხადა კალაძემ.

მინისტრობის კანდიდატი პირობას დებს, რომ ანგარიშსწორებას ადგილი არ ექნება, საუბარია სისხლის სამართლის დანაშაულზე.

კალაძის განცხადებით, ეს არ არის მუქარა, პოლიტიკურ დევნას ადგილი არ ექნება, მაგრამ ადამიანებს, რომლებსაც სისხლის სამართლის დანაშაული აქვთ ჩადენილი, კანონის წინაშე პასუხისმგებლობა აუცილებლად მოუწევთ.

— დღეს ითქვა, რომ მინისტრები თურმე ვალებით წასულან აქედან, სასაცილოა, შესაბამისი ორგანოები აუცილებლად გაარკვევენ, სად იმყოფებიან ისინი და რატომ წავიდნენ, — დასძინა კალაძემ.

პრესასთან კომენტარს აკეთებს საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი ლევან ბერძენიშვილი, რომელიც მიიჩნევს, რომ უმცირესობას არ სურს, გაიგოს და იმიტომ ვერ იგებს. ბერძენიშვილი აცხადებს, რომ „ნაციონალური მოძრაობა" ცუდ მდგომარეობაშია და ამით არის გამოწვეული მათი კითხვები.

— ვინ ჰკითხავს „ნაციონალურ მოძრაობას", როდის რას გავაკეთებთ. მით უმეტეს, მთავრობა ჯერ დამტკიცებული არ არის. რა ვადაზეა ლაპარაკი. ეს არის აკვიატება. პენსიები საარსებო მინიმუმს გაუთანაბრდება ორი წლის განმავლობაში, ნატო-ში კი შევალთ, როცა ნატო მიგვიღებს. ვერ გავიგე, რაზე ვერ მიიღეს პასუხი. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ „ნაციონალური მოძრაობა" ცუდ მდგომარეობაშია, — განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრობის კანდიდატი სოზარ სუბარი მიიჩნევს, რომ პარლამენტის ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი გიორგი ბარამიძე ედუარდ შევარდნაძის პერიოდშია ჩარჩენილი და ის ასე შორს ვერ წავა.

ამ დასკვნის საფუძველს სოზარ სუბარს ბარამიძის მიერ უმცირესობის სხდომისას გაკეთებული განცხადება აძლევს.

— დღეს მე მოვისმინე შევარდნაძის გუნდის ყოფილი წევრების და „მოქალაქეთა კავშირის" დამფუძნებლების, მათ შორის ევროინტეგრაციის ყოფილი მინისტრის განცხადება. როგორც ჩანს, გიორგი ბარამიძე შევარდნაძის პერიოდში ჩარჩა, რადგან მან საკმაოდ უცნაური განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რომ თურმე, როდესაც ადამიანი საკუთარი უფლებების დასაცავად სტრასბურგის სასამართლოში მიდის, ეს ქვეყნის ღალატი ყოფილა. თუ ასე გააგრძელა, ძალიან შორს წავა, — განუცხადა სოზარ სუბარმა.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის ზაქარია ქუცნაშვილის განცხადებით, დასრულდა დრო, როდესაც პარლამენტი პრეზიდენტის ემოციური და მოუმზადებელი იდეების „გათეთრებით" იყო დაკავებული.

როგორც ქუცნაშვილმა პრესასთან საუბარში აღნიშნა, ნებისმიერ ინიციატივას წინ უნდა უძღოდეს მისი კარგად გააზრება მთავრობის მხრიდან და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება განხორციელების პროცესი.

ქუცნაშვილი ამბობს, პარლამენტისა და პრეზიდენტის ურთიერთობისა და გადაწყვეტილებების მიღების მიდგომა შეიცვალა და ახალი რეალობის წინაშეა დღეს საპარლამენტო უმცირესობა.

— ჩვენ ყველას ძალიან კარგად გვახსოვს, რომ პრეზიდენტი პარლამენტის წინაშე წარდგებოდა სრულიად მოუმზადებელი, ემოციური იდეებით და ამის შემდეგ მთელი პარლამენტი დაკავებული იყო მისი იდეების რეალიზაცია-გათეთრებაში. საქართველოში ეს ასე აღარ მოხდება, მიდგომა შეიცვალა: ჯერ მთავრობამ უნდა გაიაზროს კონკრეტული ინიციატივა, მოხდეს მისი განხორციელების ასახვა კანონში და შემდეგ რეალიზება. საქართველოში ბევრი რამ იცვლება. იცვლება ისიც, რომ ჯერ ადგილი ექნება აზრსა და გონს და შემდგომში დაიწყება განხორციელების პროცესი, — განუცხადა ქუცნაშვილმა.

ეკონომიკის მინისტრობის კანდიდატმა ოპტიმისტური პირობა მისცა უმცირესობას, რომ „ქართული ოცნების" ყველა დანაპირები შეასრულოს.

ეკონომიკის მინისტრობის კანდიდატის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, ქვეყანას გააჩნია საკმარისი რესურსი, რომ „ქართულმა ოცნებამ" ყველა დანაპირები აასრულოს.

როგორც კვირიკაშვილი ამბობს დიდი კონკრეტულობით არც ყოფილი სახელისუფლებო გუნდის სამოქმედო გეგმა გამოირჩეოდა.

— აბსოლუტურად ბუნებრივია, რომ ადამიანმა, რომელიც ხელისუფლებაში ჯერ არ მისულა, ციფრებზე და თარიღებზე არ გასცეს კონკრეტული პასუხები. სხვათა შორის, დიდი კონკრეტულობით არც ყოფილი ხელისუფლების გეგმები გამოირჩეოდა. არსებობს საკმაო რესურსი იმისა, რომ „ქართულმა ოცნებამ" მოსახლეობისთვის მიცემული ყველა დანაპირები შეასრულოს, რომელთაგან ზოგს მეტი და ზოგსაც ნაკლები დრო სჭირდება, — აცხადებს კვირიკაშვილი.

პრემიერმინისტრობის კანდიდატი ბიძინა ივანიშვილი პირობას დებს, რომ მედიასთან ძალიან მჭიდრო ურთიერთობა ექნება.

ამის შესახებ ივანიშვილმა საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ანი მიროტაძის კითხვის კომენტირებისას განაცხადა.

— ამ კითხვას მედიის წარმომადგენლები აუცილებლად დაგისვამდნენ. როგორი იქნება მედიისა და ახალი ხელისუფლების ურთიერთობა? ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ერთი წლის განმავლობაში მედიას ხელის ეშლებოდა მუშაობაში მე და ჩემს კოლეგებს კარგად გვახსოვს, რა ხდებოდა დანარჩენი 8 წლის განმავლობაში, რომ არ ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რას გვპირდებოდა ეს გუნდი, როდესაც ხელისუფლებაში მოდიოდა. აქვე გაგახსენებთ, რომ მათი მმართველობის პერიოდში დაიხურა ძალიან ბევრი საინფორმაციო არხი, ბევრი პოპულარული გადაცემა. — ამბობს მიროტაძე.

საპასუხოდ, ივანიშვილმა ახალ ხელისუფლებას მოუწოდა, მედიასთან მაქსიმალურად გამჭვირვალე ურთიერთობა იქონიონ.

— მედია რეალურად მეოთხე ხელისუფლება გახლავთ, მათ უნდა მოახერხონ, დაიბრუნონ და მათი ფუნქცია რეალურად შეასრულონ. ახალმა ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს და თავისუფალი მედიის ფუნქციონირებას ხელი შეუწყოს. მედიის აბსოლუტური უმრავლესობა დამოუკიდებელი უნდა იყოს და ყველა მათგანი ხელისუფლებისგან შორის უნდა იყოს. იგი თავად წარმოადგენს ხელისუფლების ნაწილს, მეოთხე ხელისუფლება ჰქვია და არა ტყუილად. კრიტიკა და ოპონირება ჩემი ცხოვრების წესი იყო ყოველთვის, მე მგონი, რომ ჩემს დამოკიდებულებას აბსოლუტური უმრავლესობა იზიარებთ, რომ ჩვენ ოპონირება და ჯანსაღი კრიტიკა აუცილებად გვჭირდება. ამას მედია ყველაზე კარგად აკეთებს. მთავრობის ყველა წევრს და დეპუტატს გთხოვთ, რომ მედიასთან მაქსიმალურად გამჭვირვალე ურთიერთობა იქონიოთ. მედიას უკმაყოფილების განცდა არ უნდა ჰქონდეს, რომ ჩვენგან საჭირო ინფორმაციას ვერ იღებს, მე პირადად მედიასთან ძალიან ახლო ურთიერთობა მექნება, — განაცხადა ივანიშვილმა.

ფინანსთა მინისტრობის კანდიდატის ნოდარ ხადურის განცხადებით, ხაზინაში დღეის მდგომარეობით, მხოლოდ 200 მილიონია და რა 2 მილიარდი, როგორც ითქვა წინა მთავრობის მიერ.

— დღეის მდგომარებით. ხაზინაში არის მხოლოდ 200 მილიონი და არა ორი მილიარდი, შემიძლია, წარმოგიდგინოთ ამონაწერი. არაფერი გადაჭარბებით არ არის შესრულებული, — განაცხადა ხადურმა.

უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის ეკა ბესელიას განცხადებით, პრემიერმინისტრობის კანდიდატი ბიძინა ივანიშვილი კონკრეტულ ციფრებს იმიტომ კი არ ასახელებს, რომ არ შეუძლია. არამედ იმიტომ, რომ ამ საკითხს პასუხისმგებლობით ეკიდება.

# რატომ დააპატიმრეს ფოთის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე

დასაწყისი მე-4 გვერდზე

შორის მე და მირცხულავა. რადგან კოლეგიალური ორგანოს სპიკერი ვიყავი, ხელშეკრულება საკრებულის სხდომაზე უნდა დამტკიცებულიყო და მხოლოდ მას შემდეგ შედიოდა ის კანონიერ ძალაში.

***— ანუ ხელშეკრულებაზე ქართული მხრიდან ხელმომწერთა შორის ყველაზე დაბალი ღობე იყავით?***

— ასეა.

***— რატომ გეკითხებით იცით, მახსოვს, რომ ენერგეტიკის ექსმინისტრ დავით მირცხულავას საქმეში ეს ბრალდება არ ფიგურირებდა.***

— მესმის. აქ არავის ბრალი არ არის. ეს იყო ნამდვილად კანონიერი დოკუმენტი. ყველა ხელმოწერა იყო სრულად კანონის ჩარჩოში მოქცეული და ყველა ხელმომწერი პირი იყო სახელმწიფო მოხელე, ჩემ გარდა.

***— თქვენ, საბრალდებო დასკვნის მიხედვით, 150 ათასის ზარალი მიაყენეთ ბიუჯეტს. იქნებ დაგვიკონკრეტოთ, როგორ დადგინდა ეს ზარალი და რატომ წერს სახელმწიფო ექსპერტიზა, რომ ეს ზარალი არ დამდგარა?***

— ეს არის სრული ნონსენსი იმის გამო, რომ ეს თანხა იყო თბოსადგურის პროექტის თანადაფინანსება — საერთო ღირებულების 10%. დანარჩენი იტალიის მხარემ გადაიხადა. ფაქტია, რომ პროკურატურამ აბსოლუტურად არასწორად გაიგო ამ ხელშეკრულების არსი. ის, რაზეც ხელშეკრულება იყო გაფორმებული, ის სამუშაოები შესრულებულია.

***— მოდით, ვისაუბროთ თქვენს დაპატიმრებაზე და შემდგომ ძიების პროცესზე.***

— ამ და სხვა საქმეებზე ადრე მოკვლევა იყო ჩატარებული, საერთოდ, ფოთის ბიუჯეტთან დაკავშირებით. კონკრეტულად ამ საქმეზე გამოტანილი იყო შსს-ს დადგენილება, რომ სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები არ აღინიშნება და შესაბამისად, სს საქმე არ აღიძრა. გადის მერე 3 წელი და ამის მიუხედავად, საქმე მაინც აღძრეს უფლებამოსილების გადამეტებით. გამოძიებამ ყურადღება არც კი მიაქცია იმას, რომ მართლაც გადამეტებულია თუ არა უფლებამოსილება, ჯერ უნდა შეესწავლათ, რა იყო ჩემი უფლებამოსილება. იმ უფლებამოსილებით, რომელსაც მე თვითმმართველობის შესახებ კანონი მანიჭებდა, იქ არსად არ იყო უფლებამოსილების გადამეტება. როდესაც მოვითხოვე მიეთითებინათ, რა იყო სამართალდარღვევის ნორმა, გამოძიებამ ვერ მიმითითა. ეს საკითხი დღემდე ღიაა. ანუ დღემდე გამოძიებას არ აქვს მითითებული, რომელი ნორმით მონიჭებული უფლებამოსილება გადავამეტე. ამიტომ ვამბობ, რომ ეს სამართალში ნონსენსია, სასწაულია; მეორეც, როდესაც გამოძიება ამბობს, რომ უფლებამოსილების გადამეტებამ გამოიწვია 150 ათასის ზარალი, ამ შემთხვევაშიც ისევ კოლიზიასთან გვაქვს საქმე. რას ვგულისხმობ: უნდა შეემოწმებინათ, ეს სამუშაოები შესრულდა თუ არა. გამოძიებამ ისე წარადგინა საქმე ექსპერტიზაზე, რომ შესრულებული სამუშაო რაც იყო, ის არ წარუდგენია. პროექტი იცნობს ორ კონტრაქტს: ერთი — ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების, მეორე — მშენებლობის. ჩვენ მშენებლობის კონტრაქტი გაფორმებული არ გვქონია და ამაში ეშლება გამოძიებას. ჩვენ გვქონდა ხელშეკრულება ტექნიკური დასაბუთების შესწავლა. 115 მლნ-იანი იყო კონტრაქტი და 1 მლნ გადაიხადა იტალიურმა კომპანიამ, 150 ათასი ჩვენ. როგორ შეიძლებოდა ეს სამშენებლო ყოფილიყო. ამდენად, რაზეც კონტრაქტი იყო დადებული, ის სამუშაო შესრულდა, მაგრამ ეს შესრულებული სამუშაო განხილული იყო საკრებულოზე, დამტკიცებული და მერიის სეიფში ინახებოდა. ეს სამუშაო რომ შესრულდა, მე ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები სასამართლოზე წარვადგინე, მაგრამ არ მიიღეს. ანუ ბუღალტრულმა სასამართლო ექსპერტიზამ თქვა, თუ ეს სამუშაოები არ არის შესრულებული, ზარალია და მეც ამაში გამატარეს. ექსპერტიზას კი არ გადასცეს რეალურად შესრულებული სამუშაოები. ანუ აქ აფიორა იყო გათამაშებული. ამათ მიერ გამოტანილი დოკუმენტებით და სასამართლოს გადაწყვეტილებით, მე იტალიის საკრებულოს თავმჯდომარე გამოვდივარ. ე.ი. მე დამაკავეს იმის გამო, რომ იტალიურმა მხარემ რაღაც არ შეასრულა. ეს არის წარმოუდგენელი რამ. მერე, მე რომ მოვითხოვე, ექსპერტიზა ჩატარებულიყო, ფოთის სასამართლოს თავმჯდომარემ ჯიმი გოგუაძემ არ დააკმაყოფილა. გადაწყვეტილება ისე გამოიტანა, მხოლოდ გამოუძიებელ დადგენილებას დაეყრდნო. თან საქმეში ბრალის დამადასტურებელი არანაირი მტკიცებულება არ იყო. ჩვენ მიერ ხელახლა იქნა ჩატარებული ექსპერტიზა ისევ იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ბიუროს მიერ, სადაც წერია, რომ სამუშაო ჩატარდა უნიკალურად, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. შესრულებულია ყველა მოთხოვნის დაცვით და არანაირი ზარალი არ დამდგარა, არც შეიძლებოდა დამდგარიყო. აი, ეს სასამართლოს ექსპერტიზა არ განიხილა სააპელაციო სასამართლომ.

***— შეგიძლიათ თქვათ, რომ მოსამართლე როლანდ ახალიას დავალებით მოქმედებდა?***

— მე დიდი ეჭვი მაქვს. თუ არადა, მან აბსოლუტურად არაკანონიერი გადაწყვეტილება მიიღო. პროკურატურამ 3 წლით პატიმრობა მოითხოვა, მოსამართლემ კი — 2 წელი მომისაჯა.

# ზაზა დავითაია: 2008 წლის ომით სააკაშვილმა იხეირა“

## რატომ სჯობია სიკვდილით დასჯა უვადო პატიმრობას

თამარ ნინიძე




**ყოფილი პოლიტპატიმარი და ჟურნალისტი ზაზა დავითაია „ახალ თაობასთან“ საუბრობს სააკაშვილის ხელისუფლების მიერ პატიმრებზე განხორციელებული ძალადობის ფაქტებსა და იმ საქმეზე, რომელიც, მისი თქმით, ხელისუფლებამ მას შეუთხზა.**

***– მოდით, ჯერ იმაზე ვისაუბროთ, რატომ დაგაპატიმრეს მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში?***

– იგორ გიორგაძის მომხრეთა საქმე არის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო საქმე, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა შეთხზა უდანაშაულო ადამიანების წინააღმდეგ. რეალურად ჩვენ დაგვაბრალეს, თითქოს ვაწყობდით შეთქმულებას ხელისუფლების წინააღმდეგ და ამ შეთქმულებაზე იგეგმებოდა ხელისუფლების შეიარაღებული გზით დამხობა. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ ბუნებაში ის დღე და ის შეკრება, რომელზეც ეს შეთქმულება დაიგეგმა, არ მომხდარა. ამ შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით დააპატიმრეს ადამიანები, რომლებიც ერთმანეთს საერთოდ არ იცნობდნენ და წარმოუდგენელია ერთმანეთთან სიახლოვეში არმყოფი, ნდობაში არმყოფი პირები დასხდებოდნენ და რეჟიმის მძლავრობის პირობებში დაგეგმავდნენ არა თუ შეიარაღებულ გადატრიალებას, არამედ მიტინგის მოწყობასაც კი. ჩვენ მართლა ვიბრძოდით ამ რეჟიმის წინააღმდეგ, მართლა გვინდოდა ამ რეჟიმის დამხობა, ოღონდ კანონიერი, კონსტიტუციური გზებით. დღეს მე ამაყი ვიქნებოდი, რომ შემძლებოდა იმის თქმა, რომ ეს შეთქმულება მართლაც იყო. მე მრცხვენია იმის თქმა, რომ ეს შეთქმულება არ ყოფილა და ჩვენ დაგვიჭირეს არარსებული ფაქტის გამო. თუმცა, მეორე მხრივ, ჩვენ მიმართ წარმოებული საქმე არის ერთ-ერთი ნიმუში იმისა, თუ როგორ ატყუებდა სააკაშვილის რეჟიმი არა მხოლოდ ქართულ საზოგადოებას და როგორ ქმნიდა რუსეთისა და გარკვეული პოლიტიკური ძალებისგან მტრის ხატს, არამედ სრულიად მსოფლიოს დემოკრატიულ საზოგადოებას და ამით იღებდა გარკვეული ძალებისგან მხარდაჭერას. შეიძლება ის მტერი მართლაც არსებობს. მე სკოლის მერხიდან ვებრძოდი რუსეთის საბჭოთა იმპერიას, ვიყავი დისიდენტურ მოძრაობაშიც, ეროვნულ მოძრაობაშიც, ჩემთვის გასაგები იყო რუსეთის იმპერიული სახე. ერთ-ერთი პირველი ვიყავი ჩემს თაობაში, რომელიც ამ იმპერიულ სახეს უპირისპირდებოდა. არ ვამბობ, რომ რუსეთი არის საქართველოს ერთგული მეგობარი, მაგრამ იმ მომენტში რუსეთისგან მტრის ხატის გამოძერწვა და პრორუსული პოლიტიკოსებისგან მტრების გამოძერწვა, იყო ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯი. იმიტომ, რომ მე ჩემს თავს პრორუსული მიმართულების პოლიტიკოსად კი არ ვთვლიდი, მე ვთვლიდი, რომ ვიყავი პიროვნება, ვინც აზროვნებდა პროქართულად და პროქართული ორიენტაცია იყო სწორედ ის, რომ წინ აღვდგომოდით ხელისუფლების ავანტიურისტულ პოლიტიკას რუსეთის წინააღმდეგ, რომელმაც საქართველო მიიყვანა 2008 წლის აგვისტოს ომამდე, სადაც საჯიშე სამასი ბიჭი დაიღუპა და დაიკარგა საქართველოს ტერიტორიები, გაფორმდა ოკუპაცია-ანექსიის შედეგები და რომლითაც მხოლოდ სააკაშვილმა იხეირა. რეალურად კი წააგო ქართველმა ხალხმა, ოსმა ხალხმაც და იხეირეს მხოლოდ ავანტიურისტულმა ძალებმა. ეს იყო დაგეგმილი ამერიკის აგრესიულ პოლიტიკურ ძალებში, როგორებიც არიან მაკკეინი, ლუგარი. საქართველო იყო საცდელი ლაბორატორია. კოალიციაში, რომელსაც ანტისოროსი ერქვა, შედიოდნენ ისეთი ძალები, რომლებიც რუსეთთან სიყვარულში იყვნენ გაიგივებული, ამ კოალიციაში ასევე ვიყავით კონსერვატორ-მონარქისტული პარტია თემურ ჟორჟოლიანი, პარტია სამართლიანობა, იგორ გიორგაძის პარტია, ასევე „ოცდამეერთე საუკუნე – ენა, მამული, სარწმუნოება“, რომელსაც ცნობილი საზოგადო მოღვაწეები ელიზბარ ჯაველიძე და გურამ შარაძე ხელმძღვანელობდნენ. აქედან გამომდინარე საუბარი იმაზე, რომ ჩვენ საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის სასარგებლოდ რაღაც შეთქმულებას ვგეგმავდით, არის აბსურდი.

***– იურიდიულ მხარეზეც ვისაუბროთ, რის საფუძველზე დაგაკავეს?***

– ხელისუფლებამ ძალიან უნიჭოდ იმუშავა, ძალიან ძნელი იყო თუნდაც თორმეტი ადამიანის ერთ ოთახში დასმა და საქმის ისე შეთხზვა, რომ არ ყოფილიყო აქილევსის ქუსლი და ასეთი დეტალები ამ საქმეში ბევრი იყო. ეს საქმე სასაცილოდ რომ არ ყოფილიყო გადაქცეული, ჩვენი პროცესი დახურა, გაასაიდუმლოა მოწმეები, რომლებიც თითქოს ამ შეთქმულებას ესწრებოდნენ და ჩვენთან ერთად გეგმავდნენ ამ გადატრიალებას, თითქოს მათში მორალურმა იმპულსმა გაიღვიძა და მივიდნენ კუდთან და თქვეს, იქ შეთქმულება იგეგმება და ჩვენ არ გვინდა ამის მონაწილეები ვიყოთ.

***– თქვენ ექსპერტ მაია ნიკოლეიშვილს გულისხმობთ?***

– არა მარტო ის, თორმეტამდე ცრუ მოწმე გამოდიოდა პროცესზე, რომელთაგან რვა-ცხრა ადამიანი დაშიფრული იყო. პირველად საქართველოს ისტორიაში ხელისუფლებამ ჩვენ წინააღმდეგ გამოიყენა დაშიფრული ცრუ მოწმის ინსტიტუტი. მოწმის სახელი უცნობი უნდა დარჩენილიყო, ჩვენთვისაც, საზოგადოებისთვისაც, ხოლო ადვოკატებს ხელი მოაწერინეს, რომ ამ მოწმეების ნამდვილ გვარებს არ გაახმაურებდნენ. ეს საიდუმლო მათ ვერ შეინარჩუნეს. დაშიფრული მოწმის ინსტიტუტი საქართველოში ვერ დაინერგება იმიტომ, რომ პატარა ქვეყანაში ყველა ერთმანეთს იცნობს.

***– იარაღის მთელი არსენალი ვის სახლში იყო „ნაპოვნი“?***

– ეს იარაღი ამოიღეს იგორ გიორგაძის პარტიის წევრის კახა ქანთარიას სარდაფიდან, რომელსაც კარი არ ჰქონდა, გადატრიალების სცენარი ასეთი იყო: ჩვენ რამდენიმე მიტინგი უნდა ჩაგვეტარებინა, შემდეგ კანცელარიასთან ხალხმრავალ მიტინგზე უნდა შევკრებილიყავით. იქ, კანცელარიის დაცვიდან ჩვენ მიერ მოსყიდულ პირს უნდა გაეხსნა ცეცხლი მიტინგისთვის, რომლის საპასუხოდ შემდეგ უკვე მომიტინგეებიდანაც იქნებოდა სროლა, შევვარდებოდით კანცელარიაში, მოვახდენდით ძალოვანი მინისტრების ჯერ დაპატიმრებას, მერე ლიკვიდაციას, ვაიძულებდით სააკაშვილს გადადგომას ან ფიზიკურად გავანადგურებდით და ხელში ჩავიგდებდით ხელისუფლებას. ეს ის გეგმაა, რომლისაც რეალურად სააკაშვილს ეშინოდა, მან ის, რისიც თეორიულად ეშინოდა, პრაქტიკაში ასე განახორციელა. ჩვენ ეს გეგმა არც დაგვსიზმრებია, ამ მიმართულებით არც გვიფიქრია. ვიმეორებ, მის დამხობას ვაპირებდით, მაგრამ კანონიერი გზით.

***– გამოდის, რომ მიხეილ სააკაშვილმა გააგრძელა ის ხაზი, რომელიც ჰქონდა შევარდნაძეს, კერძოდ, იგორ გიორგაძის საფრთხობელად ქცევის გეგმა.***

– შევარდნაძე რუსეთთან და დასავლეთთან დაბალანსებულ პოლიტიკას აწარმოებდა, სააკაშვილმა დაიწყო პროამერიკული თამაში. ეს გეგმა მათ ჰქონდათ, რუსეთის მტრის ხატად ქცევის, საზოგადოებაში ცნობიერების შეცვლის, ე.წ. სახალხო იდეოლოგიის შექმნის, ქვეყნის საბოლოოდ ამერიკის ვასალად გადაქცევის. ეს გეგმა შეიძლება საქართველოსთვის კარგიც ყოფილიყო, რომ არა სააკაშვილის ავანტიურისტული ქმედებები არა ქვეყნის საკეთილდღეოდ, არამედ თავიანთი სავარძლების შენარჩუნების მიზნით. თორმეტი ადამიანი გაგვასამართლეს, ნაწილს 315-ე მუხლით მიესაჯა მცირე სასჯელები, რაც ხუთ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებდა, ქმედებაში ამ გეგმის მოყვანის ბრალდება დაუმძიმეს მაია თოფურიას, კახა ქანთარიას, თემურ ჟორჟოლიანს. მაია თოფურია გაათავისუფლეს შეწყალების საფუძველზე, ოღონდ მას ეს შეწყალება არ უთხოვია. მაია დღემდე თავს უდანაშაულოდ თვლის, სააკაშვილი დემოკრატიული ინსტიტუტების ზეწოლით იძულებული გახდა, მაია თოფურია გაეთავისუფლებინა, ამ ფორმას შეწყალება დაარქვა. ქანთარია დღემდე არის რუსთავის მეექვსე ციხეში, გურამ პაპუკაშვილი მეექვსე ციხიდან გამოვიდა ოთხნახევარი წლის შემდეგ, ქანთარიას ფეხის გამართვის საშუალება არა აქვს, იმდენად ვიწრო საკანში იმყოფება, მე ჯერ რუსთავის მეექვსე ციხეში ვიყავი წელიწადნახევარი, მერე კი ზონაში რუსთავის მეჩვიდმეტე დაწესებულებაში გადამიყვანეს, სადაც სიარულის და ჰაერის ჩასუნთქვის საშუალება მქონდა, თუმცა იქვე ცემენტის ქარხანა იყო და იმის მტვერსაც ვსუნთქავდი.

***– თქვენ რეალურად ხედავდით, რა მდგომარეობაში იყვნენ პატიმრები. ყოველდღიურად რა ფორმის სისასტიკის მოწმე იყავით იქ?***

– პოლიტპატიმრებზე ძალადობა ნაკლებად იყო, ჩვენ რომ დაგვიჭირეს, მაშინ დაიწყო რეჟიმმა თავისი სადისტური სახის გამოვლინება, მაგრამ იმ პერიოდში ეს ფიზიკურად არ გვეხებოდა. თუმცა გვქონდა შეხლა-შემოხლა ადმინისტრაციის მიერ ინსპირირებულ კონფლიქტებში. იქ სხვა პატიმრებთან დაკავშირებით იყო უსამართლობის აღლუმი. ყველა პატიმარი ექვემდებარება ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას. იმისთვის, რომ პატიმრები მორჩილებაში ჰყავდეს, ადმინისტრაცია მიმართავს ათას არალეგალურ საერთაშორისო კონვენციებით აკრძალულ საშუალებას. აქ არის ცნობილი პრინციპი: მიზანი ამართლებს საშუალებას, ადამიანი რომ მოიყვანონ მართულ მდგომარეობაში, ამისთვის ადამიანს ართმევენ ღირსებას, აშანტაჟებენ მის ოჯახს, თრგუნავენ ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად. ყველანაირ სურვილს უკარგავენ, რომ ადამიანს შინაგანი პროტესტის გამოხატვა შეეძლოს. ადამიანი წლობით იყო ბალიშის გარეშე, იმის შიშით, რომ მოეთხოვა და ამის გამო არ ეცემათ. ციხის კადრები, რომელიც საზოგადოებამ იხილა, სისასტიკის ასი პროცენტიდან მხოლოდ ერთი-ორი პროცენტია. იქ ყოფნის მანძილზე მოვისმინე ისეთი ისტორიები, რომლითაც დღემდე შეძრწუნებული ვარ. წამების ფორმები ოცდამეერთე საუკუნეში თუ ასეთი მრავალფეროვანი იქნებოდა, ჩემს ფანტაზიას ვერ წარმოედგინა. ყველანაირი საშუალებით აწამებენ ადამიანებს. პატიმარი, რომელიც მძიმედ იყო ავად და წამლებს ითხოვდა, მას ამ წამლებს არ აძლევდნენ და უყურებდნენ, როგორ დღითიდღე მძიმდებოდა მისი მდგომარეობა და ამით სიამოვნებას იღებდნენ. ამაზე საზოგადოება ვერ საუბრობდა იმის შემდეგ, როცა იხილა ცოცხით, ხელჯოხითა და წყლის მილით პატიმრების გაუპატიურება, უარესი, მამაკაცის პირდაპირი გაუპატიურება ხდებოდა, დესპოტურ რეჟიმებს შუა საუკუნეებში არ მოსვლიათ თავში მსგავსი რამ. მამაკაცისთვის ღირსების წართმევა, ეს არის ამაზრზენი დანაშაული კაცობრიობის წინაშე. სიკვდილი ურჩევნია ნამდვილ მამაკაცს ამ დონის შეურაცხყოფას. ადამიანი მხოლოდ იმის გამო შეიძლება თავს არ იკლავდეს, რომ ქრისტიანია, ასეთი შეურაცხყოფის შემდეგ მამაკაცი სიკვდილს ნატრობს. ბევრი პატიმარი ამას ვერ მოყვება. ყველა ციხეში გაუპატიურებულ პატიმართა რიცხვი არის ათობით, პატიმარ ქალებზე სექსუალური ძალადობის შესახებ არ ვიცი, მათზე უფრო სხვა ფორმით ზემოქმედება ხდებოდა. მართული პატიმრების დაპირისპირება

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# საქართველოს კვალიფიციური მეან-გინეკოლოგები ესაჭიროება

**ახალმა ხელისუფლებამ მთავარ პრიორიტეტად სოციალური პრობლემების მოგვარება დაასახელა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ბევრი ისეთი პროგრამის დაფინანსებას აიღებს ბიუჯეტი საკუთარ თავზე, რომელთა დაფინანსებაზე ნაცმოძრაობის მთავრობამ თავის დროზე უარი თქვა და მოსახლეობის უკმაყოფილებაც გამოიწვია. ერთ-ერთი ასეთი უფასო მშობიარობა გახლდათ. მართალია სოციალურად დაუცველი კატეგორიისათვის დღეს მშობიარობის ხარჯები ბიუჯეტიდან ფინანსდება, მაგრამ ეგრეთ წოდებულ სოციალურად დაცულთათვისაც გვარიან ხარჯს წარმოადგენს სამშობიარო ხარჯების დაფარვა. თუ მოქკავშირისდროინდელი ქვეყნის ბიუჯეტი ახერხებდა ყველა ქალისათვის დაეფინანსებინა ეს სერვისი, რატომ არ უნდა მოეხერხებინა ნაცმოძრაობის მიერ აყვავებულ ბიუჯეტს? მაგრამ საამისო კეთილი ნება ჯანდაცვის მესვეურებს არ გააჩნდათ.**

## გახდება თუ არა მშობიარობა უფასო?

მერი ნამორაძე

გახდება თუ არა მშობიარობა უფასო სერგიენკოს უწყების ინიციატივით, რამდენიმე თვეში გამოჩნდება. თუმცა, დედათა ჯანმრთელობაზე ზრუნვა მხოლოდ სამშობიარო ხარჯების გაწევას არ გულისხმობს. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი ინდიკატორია. საქართველომ, როგორც ათასწლეულის განვითარების მიზნების მონაწილე ქვეყანამ, აიღო ვალდებულება 2015 წლისათვის შეამციროს ჩვილ და 5 წლამდე ასაკის ბავშვების სიკვდილიანობა ორი მესამედით და დედათა სიკვდილიანობა სამი მეოთხედით. საქართველოში ჯერ კიდევ მაღალია დედათა სიკვდილობის დონე, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებ ქალებში და რეპროდუქციულ – 19-34 წლის ასაკში.

გაეროს ბავშვთა ფონდის ფინანსური დახმარებით პერინატალური დახმარების შესაფასებლად საქართველოში ჩატარდა კვლევა კურაციოს საერთაშორისო კონსალტინგის და საქართველოს მეან-გინეკოლოგთა ასოციაციის მიერ. სამეანო დახმარება გაანალიზდა 30 სამშობიარო სახლსა და საავადმყოფოში. როგორც აღმოჩნდა, დედათა სიკვდილობა ფიქსირდებოდა მშობიარობის შემდგომ პერიოდში, ძირითადად მშობიარობიდან 10 დღის განმავლობაში. სიკვდილიანობის ძირითად მიზეზად სახელდება სისხლდენა, ინფექცია, ჰიპერტენზია და თრომბოემბოლია.

ბოლო რამდენიმე წელია დგას საკითხი გაიზომოს დედათა მძიმე ავადობის, ანუ სიკვდილთან ახლო მდგარი შემთხვევების მაჩვენებელი. რამაც ალტერნატიული ან დამხმარე საზომის როლი შეიძლება შეასრულოს. შესწავლის შედეგებმა აჩვენა, რომ სიკვდილიანობის ყოველ შემთხვევაზე საშუალოდ მძიმე სამეანო ავადობის 26 შემთხვევა მოდის. ეს თანაფარდობა ერთობ მაღალია განვითარებული მსოფლიოს მონაცემებთან შედარებით.

რაც შეეხება ქვეყანაში ამ კუთხით არსებულ ინფრასტრუქტურას, ზოგადად ადეკვატურ დონეზეა. დამაკმაყოფილებელია ქალთა კონსულტაციების პირობები, განსაკუთრებით პერიფერიულ დაწესებულებათა უმრავლესობაში. ძირითადი კომუნალური პირობები, როგორიცაა გამდინარე ცივი წყალი, კანალიზაცია უზრუნველყოფილია

დაწესებულებათა უმრავლესობაში. კვლევაში მონაწილე სამშობიარო სახლების უმრავლესობას შეუძლია გადაუდებელი სამეანო დახმარების გაწევა, მათ შორის საკეისრო კვეთა – 93 პროცენტს. სისხლი და სისხლის პროდუქტები 24 საათის განმავლობაში დაწესებულებათა მხოლოდ მეხუთედისთვის იყო ხელმისაწვდომი.

მედპერსონალის საშუალო ასაკი შეადგენდა 50 წელს, რაც ექსპერტთა თქმით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ერთის მხრივ ასაკოვანი პროფესიონალების შეხედულებები და პრაქტიკული უნარ-ჩვევები უფრო მეტად დაფუძნებულია გამოცდილებაზე, ვიდრე მტკიცებულებებზე. მეორს მხრივ კი ვარაუდობენ, რომ საქართველოს ჯანდაცვის სისტემა ახლო მომავალში გამოცდილ და ახალ კადრებს შორის სერიოზული დისბალანსის წინაშე დადგება.

სამედიცინო დაწესებულებებს შემთხვევათა 50 პროცენტში მეან-გინეკოლოგების, ხოლო 20 პროცენტში ნეონატოლოგების ჭარბი რაოდენობა ჰყავდათ. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ეს განაპირობებს ადამიანური რესურსების არაოპტიმალურ ჩართვას პრაქტიკულ მუშაობაში, რასაც საბოლოოდ სამედიცინი უნარ-ჩვევების დაქვეითება მოჰყვება. საქართველოში შობადობის დაბალი დონე განაპირობებს ამ თანაფარდობის დარღვევას.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ მეან-გინეკოლოგთა 10 %-ს არ ჰქონდა გადაუდებელი სამეანო შემთხვევების მართვის გამოცდილება. გამოკითხულ მეან-გინეკოლოგთა ნახევარზე მეტს არ მიეღო მონაწილეობა ახალშობილთა რეანიმაციაში, რომლის მიზეზად მშობიარობის დაბალი რიცხვი სახელდება. გინეკოლოგთა მხოლოდ 5%-ს ჰქონდა გავლილი სასწავლო კურსი გადაუდებელ სამეანო მდგომარეობათა მართვაში.

ანტენატალურ დაწესებულებში თავად ორსულთა კმაყოფილება მიღებული ხარისხით არ იყო მაღალი, ხოლო სამშობიარო დაწესებულებებში ქალთა 78% კმაყოფილი დარჩა გაწეული დახმარებით. კვლევის ორგანიზატორები ამბობენ, რომ საჭიროა ქალისადმი კეთილად განწყობილი პრინციპების წახალისება, სადაც სათანადოდ იქნება დაცული ქალის ღირსება, უფლებები და შეხედულებები.

საბჭოთა გამოცდილება ხშირად დაწუნებულია თანამედროვე საზოგადოების მიერ, მაგრამ დედათა სიკვდილობის შემთხვევათა განხილვას მაშინ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. ყოველთვის ტარდებოდა ექსპერტიზა ჯანდაცვის სამინისტროს აქტიური მონაწილეობით. მსგავსი პრაქტიკა შესუსტებულია უკანასკნელ წლებში. სიკვდილის შემდგომი გამოკვლევისა და პათანატომიური გაკვეთიც ხარისხი ასევე კრიტიკის ობიექტი ხდება.

ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ საექიმო გულგრილობაზე, რაც არ წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსით რეგულირებულ სფეროს და სისხლის სამართლის დანაშაულთა რიგს განეკუთვნება. პრაქტიკაში საექიმო გულგრილობის გამო გასამართლებულთა რიცხვი წლების მანძილზე მცირეა. თუმცა, საკმარისად არის სისხლის სამართლებრივი დევნის შემთხვევები. ამით შეიძლება აიხსნას დედათა სიკვდილიანობის შემთხვევათა ანგარიშგების სისუსტეში არსებული პრობლემები. არ არის გაწერილი პირობები, რომელიც უზრუნველყოფდა სამედიცინო მომსახურების გამწევთა კონფიდენციალობის დაცვას. მათი ვინაობა ქვეყნის ფართო საზოგადოებისათვის ხდება ცნობილი. მეან– გინეკოლოგთა ასოციაცია კი მხარს უჭერს კონფიდენციალური მოკვლევის სისტემის დანერგვას, როცა ქალის სიკვდილის შემთხვევაში არ ცხადდება საჯაროდ მკურნალი ექიმის ვინაობა, ისევე როგორც სამედიცინო დაწესებულება რჩება უცნობი საზოგადოებისა და ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალური პირებისთვის. მიიჩნევა, რომ ეს სტიმულს მისცემდა ექიმებს, ეწარმოებინათ ზუსტი და დაუმახინჯებელი ანგარიშგება.

მოკლედ, სრულყოფილი სისტემის აწყობამდე კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის, „წყლის ჩავლამდე“ კი დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ბევრი ფულის დახარჯვაა საჭირო.

# ზაზა ხატიაშვილი: აფრასიძეების საქმე რომ გამოიძიონ, სააკაშვილის ბრალეულობა გამოიკვეთება“

შორენა კოწოწაშვილი

## ინტერვიუ ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელ ზაზა ხატიაშვილთან

***– თქვენ ამბობთ, რომ ყველა მოსამართლე დამნაშავეა და პასუხი უნდა აგონო. ამ სიაში მხოლოდ სისხლის სამართლის მოსამართლეები იგულისხმეთ?***

– არა. სისხლის სამართლის საქმეებზე მომუშავე მოსამართლეების 100%-ვე დამნაშავეა. მაგრამ სამოქალაქო საქმეებზე, რომელიც ადამიანებს ართმევდნენ ქონებებს; ადმინისტრაციულის თითქმის ყველა მოსამართლე იგივე დამნაშავეები არიან. 26 მაისის საქმეზე, გახსოვთ, როცა დასისხლიანებული ხალხი მიჰყავდათ სასამართლოში, მოსამართლე იმას კი არ არკვევდა, ვინ სცემა, ნაცემ ხალხს ეუბნებოდა, ჩვენი მიშასაგან რა გინდათო. დარწმუნებული ვარ, რომ მოხდეს ეფექტური შესწავლა იმ საქმეებისა, რასაც ეს მოსამართლეები აკეთებდნენ, ვფიქრობ, სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული საქმეების მოსამართლეების თითქმის 100%-ს მოუწევთ პასუხისგებაში მიცემა.

***– როგორ უნდა განხორციელდეს ამ მოსამართლეების პასუხისგებაში მიცემა, როცა ისინი 10 წლის ვადით არიან არჩეულები და თან უზენაეს სასამართლოს სათავეში ისევ კოტე კუბლაშვილის ხელმძღვანელობს...***

– სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში იმუნიტეტი არ ვრცელდება არავისზე. ეს არის გამორიცხული. როდესაც ჩვენ შეგვიძლია კონკრეტული სასამართლო გადაწყვეტილების გამო გავასამართლოთ, ეს ძალიან იოლია.

***– უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილიც შეიძლება გავასამართლოთ?***

– რა თქმა უნდა. გაგახსენებთ უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლეების ნინო გვენეტაძის და მერაბ ტურავას განცხადებას: როდესაც ჩვენ ვუთხარით კოტე კუბლაშვილს, რომ ეს ადამიანი უდანაშაულოა, მან გვითხრაო, მე ვიცი, რომ ეს ადამიანი უდანაშაულოა, მაგრამ პროკურატურის ბიჭებს ხომ ვერ ვაწყენინებთ. ამიტომ გამამტყუნებელი განაჩენი უნდა დავადგინოთო. როდესაც ორი ყველაზე ცნობადი მოსამართლე საქართველოს უახლეს ისტორიაში უპირისპირდება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და მას ამხელს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, როგორ, ეს ფაქტი გამოძიებული არ უნდა იქნეს?! ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში ეს საქმე ხომ დაახლოებით 5 წლის წინ შევიდა, როგორ შეიძლება გამოუძიებელი დარჩეს ეს ფაქტი. მთავარია პოლიტიკური ნება. ნურავის შეეშინდება იმის, რომ რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაცია ხმას ამოიღებს. ეს საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოში არიან, იყვნენ თანამონაწილენი, როცა სააკაშვილის რეჟიმს ტაშს უკრავდნენ იმ უბედურებებზე, რაც ქვეყანაში ხდებოდა.



***– ანუ უშედეგო იქნება სააკაშვილის გუნდმა ბიძინა ივანიშვილის კოალიციის წევრები პოლიტიკურ დევნა-შევიწროვებაში დაადანაშაულონ, თუკი გარკვეული ლიდერი ნაციონალების მიმართ სისხლის სამართლის საქმეები აღიძვრება?***

– რასაც ნაციონალები აკეთებდნენ – ადამიანებს ხოცავდნენ, უბრალოდ, ერთი ორი საქმის გამოძიება რომ ბოლომდე მივიყვანოთ, პირველ პირებზე გავდივართ. აფრასიძეების საქმე რომ გამოიძიონ, სააკაშვილის ბრალეულობა გამოიკვეთება. სააკაშვილმა პირდაპირ ეთერში განაცხადა, მე გავეცი ამ ადამიანების დახოცვის ბრძანებაო. თუ გამამტყუნებელი განაჩენი დადგება იმ პირების მიმართ, ვინც ეს ჩაიდინა და აღიარებენ დანაშაულს, პრეზიდენტის დანაშაულიც გამოიკვეთება. სააკაშვილი ამბობს, რომ ორგანიზატორი თავად იყო ამ სპეცოპერაციის. ამ ადამიანების ჩახოცვის გამო სპეცოპერაციის ორგანიზატორის პასუხისმგებლობის საკითხი და მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი არ უნდა დადგეს?! კოტე კუბლაშვილს არ უნდა აგებინონ პასუხი მოსამართლეებს უკანონო გადაწყვეტილებების გამოტანას რომ აიძულებდა? ადამიანებმა უნდა მისცენ ჩვენება, რას აკეთებდა კოტე კუბლაშვილი. ერთი კვირა სჭირდება სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეების ივანე ღლონტის და ირაკლი შენგელიას დაკავებას, რომლებმაც ჟურნალისტ მეფარიშვილს გადაწყვეტილება შეუცვალეს. დამნაშავეა აგრეთვე ჯუმბერ რუსიაშვილი, რომელიც ახლა ადვოკატია. ეს სამი მოსამართლე სამაგალითოდ რომ დაისჯება და იქნება დაპატიმრებული, რომელიც ადამიანი იტყვის, გადაწყვეტილებას რომ ვცვლიდი, ჩემი ნებით შევცვალეო. რომელი ფსიქიკურად ჯანმრთელი მოსამართლე შეცვლიდა გადაწყვეტილებას თავისი ნებით და სისხლის სამართლის დანაშაულს ჩაიდენდა?! როდესაც ეს 3 მოსამართლე საპატიმროში წავა, მათ უნდა მოსთხოვო სისტემა, რა სისტემასაც ის ემსახურებოდა, როგორ იმართებოდა. მე მაქვს ინფორმაცია, რომ თითოეულ სასამართლოში გამოყოფილი იყო ერთი მოსამართლე, რომელსაც ყველა გადაწყვეტილება უნდა შეთანხმებოდა. ეს მოსამართლე ანგარიშვალდებული იყო იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადეიშვილთან. ეს ფორმულა და სქემა უნდა გაიშიფროს, გაიხსნას. ეს კომპეტენტურმა გამოძიებამ უნდა დაადგინოს. მინდა გითხრათ, რომ არჩილ კბილაშვილის ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომელიც მთავარი პროკურორის თანამდებობაზე ინიშნება. იგი უნდა იყოს ძალიან პრინციპული, მომთხოვნი და ძალიან სამართლიანი იმ ადამიანებთან მიმართებაში, ვინც შექმნა ეს ფაშისტური რეპრესირებული მანქანა პროკურატურის და სასამართლოს ხელით.

***– თქვენი აზრით, ადეიშვილმა თავს უშველა ქვეყნიდან გაქცევით?***

– ადეიშვილი თავს ვერ უშველის, თუ ახალი ხელისუფლება სწორ პოლიტიკას გაატარებს მის მიმართ და ეფექტური გამოძიება ჩატარდება, რასაც გვეუბნება კონვენციის მე-13 მუხლი. არა მგონია, რომ ეს მოსამართლეები არ ალაპარაკდნენ მათ მიმართ დაწყებული გამოძიებისას. თუ არ ალაპარაკდებიან, მაშინ მთელი სიცოცხლე ციხეში ისხდებიან, ისეთი ფალსიფიცირება აქვთ ჩადენილი. არსებობს საპროცესო შეთანხმება, რომელსაც ესენი იყენებდნენ და კონკრეტული მოსამართლეები, რომელთა მიმართაც დაიწყება იძულებითი ღონისძიებები, უნდა გამოვიდნენ და თქვან, რატომ გამოჰქონდათ უკანონო გადაწყვეტილებები. ვინ იდგა ამ უკანონო გადაწყვეტილებების უკან.

***– ანუ დღეს მოქმედი მოსამართლეები დაუმძიმებენ ზურაბ ადეიშვილს ბრალდებას?***

– რა თქმა უნდა. მე ვფიქრობ, რომ არა მხოლოდ ადეიშვილი იდგა ამ გადაწყვეტილებების უკან. ამ გადაწყვეტილებების უკან იყო სააკაშვილის რეჟიმის მთელი რეპრესირებული მანქანა. თუ მოსამართლეები არ იტყვიან სიმართლეს, მათ მიმართ ძალიან მძიმე შედეგი დადგება. იმიტომ, რომ მათ ისეთი დანაშაულობები აქვთ ჩადენილი, სასჯელთა შეკრებითობის პრინციპი რომ ავიღოთ, შეიძლება მუდმივი პატიმრობა მიესაჯოთ ანუ მოსამართლეების მხრიდან ჩადენილ ძალიან დიდ დანაშაულობებზეა საუბარი.

***– საზოგადოებას აინტერესებს, სააკაშვილის ხელისუფლების დამნაშავე მაღალჩინოსნები გასამართლდებიან თუ არა სასჯელთა შეკრებითობის პრინციპით, რომელიც თავად დაამკვიდრეს და ძალიან მაღალი სასჯელებით ათასობით ადამიანი გაუშვეს ციხეში?***

– მე, მაგალითად, შეკრებითობის პრინციპის წინააღმდეგი ვარ. ამათი გასამართლებაც ამ პრინციპით არ უნდა მოხდეს. იმიტომ, რომ ჩვენ არ უნდა ვიყოთ მაგათსავით ბინძური სულის ადამიანები. მათ ქვეყანა დაანგრიეს და სამართლებრივ კატასტროფამდე მიიყვანეს. მე ვფიქრობ, ზოგიერთი მათგანი შეიძლება ციხეშიც არ წავიდეს. მაგრამ სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა ვიცოდეთ, ვინ იყვნენ ეს პირები და კონკრეტულად, რა ჩაიდინეს.

# რკინიგზელები გაფიცვით იმუქრებიან

**რკინიგზის თანამშრომლები სამუშაო პირობების გაუმჯობესებას ითხოვენ. ამ მიზნით რკინიგზის თანამშრომლებმა აქცია გამართეს. ორი საათის განმავლობაში, თბილისში აფრიკის დასახლებაში მდებარე მახარისხებელი დეპოდან არც ერთი სატვირთო შემადგენლობა არ დაძრულა.**

საქართველოს რკინიგზა GEORGIAN RAILWAY

ლიზა მახარაშვილი

როგორც რკინიგზის თანამშრომლები აცხადებენ, ეს გამაფრთხილებელი გაფიცვაა და მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში გაფიცვა ფართო მასშტაბებს მიიღებს. გარდა ამისა, სამტრედიის დეპოში ბლოკირებული იყო სამგზავრო მატარებლების გადაადგილებაც.

თბილისის დეპოსთან რკინიგზის დაახლოებით 100-მდე თანამშრომელი შეიკრიბა, მათ შორის იყვნენ ძირითადად მემანქანეები და მათი თანაშემწეები.

რკინიგზის თანამშრომლები ძირითადად, ანაზღაურების გაზრდას და შრომის გარემო პირობების გაუმჯობესებას ითხოვენ.

როგორც რკინიგზის თანამშრომლებმა განაცხადეს, მათ არაადეკვატური ანაზღაურებით უწევთ მუშაობა. მათი თქმით, კანონით გათვალისწინებულ დროსთან შედარებით, ორმაგად მუშაობენ და განსაკუთრებით ზაფხულშია რთული მუშაობა, როდესაც მატარებლის კაბინაში ტემპერატურა აღწევს 60-65 გრადუსს.

– „ვითხოვთ პირობების გაუმჯობესებას, ვითხოვთ 8-საათიან სამუშაო გრაფიკს და რაც მთავარია, ხელფასების გაზრდას. 24 საათი ოჯახიდან გასულები ვართ და ვიღებთ მიზერულ თანხებს, მე, პირადად, მემანქანის თანაშემწე ვარ და მაქვს 640 ლარი, რაც დღევანდელი პირობებში, არაფერში არ გვყოფნის“, – განაცხადა საქართველოს რკინიგზის თანამშრომელმა მამუკა ეგავამ.

მოლაპარაკების დაწყებამდე, რკინიგზის ადმინისტრაციამ განცხადება გაავრცელა, რომელშიც თანამშრომლებს მატარებლების მოძრაობის შეფერხების თავშეკავებისკენ მოუწოდა და ხელფასების მატებას შეჰპირდა. „2011 წელს ჩვენ შევპირდით ყველა რკინიგზელს, რომ ხელფასები გადაიხედებოდა „რკინიგზაში დასაქმებულთა სახელფასო რანგირების პროგრამის“ ფარგლებში. ჩვენ შევასრულეთ ჩვენი დანაპირები და ხელფასების მატება ეტაპობრივად განხორციელდა. 30 ნოემბრიდან კი, საბოლოოდ შემდეგ რაოდენობას მიაღწევს: მემანქანე – 1250, მემანქანის თანაშემწე – 900, დიდი დატვირთვის სადგურის უფროსები – 2500, დიდი დატვირთვის სადგურის მორიგეები – 750-დან 900 ლარამდე. გაიზარდა სალიანდაგოს მუშების ხელფასიც 500 ლარამდე, ხოლო სალიანდაგოსარემონტოს მუშებს დაუწესდათ 100-ლარიანი სახელფასო დანამატი „სწრაფი რკინიგზის“ პროექტის ფარგლებში“, – ნათქვამია განცხადებაში.

როგორც რკინიგზელთა პროფკავშირების თავმჯდომარის მოადგილემ ვიტალი გიორგაძემ განაცხადა, ეს მათი მოთხოვნების არასრული დაკმაყოფილებაა და პროფკავშირი ამ შეთავაზებას, განსაკუთრებით, ვადებს ვერ დაეთანხმება:

„ისინი ამბობენ, რომ ეს მოხდება პირველი დეკემბრიდან, ჩვენი კატეგორიული მოთხოვნა კი არის, რომ ხელფასების მატება პირველი ნოემბრიდან მოხდეს. მსგავსი დაპირებები, როგორც წესი, არასოდეს სრულდებოდა ამ ხელმძღვანელობის მხრიდან.“

საქართველოს ახალგაზრდა რკინიგზის ასოციაციის დამფუძნებელი ელგუჯა ნუცუბიძე კი ამბობს, რომ გავრცელებულ განცხადებაში ადმინისტრაცია იტყუება. მისი თქმით, შეპირებული 1250-ლარიანი ხელფასის შემთხვევაშიც კი, მემანქანის ხელფასი მხოლოდ 80-100 ლარით გაიზრდება, მას შემდეგ, რაც ამ თანხას 20%-ანი საშემოსავლო გადასახადი გამოაკლდება. რაც შეეხება სადგურის უფროსებს, რომლებსაც ყველაზე მაღალი ხელფასები აქვთ, ნუცუბიძის განცხადებით, ისინი გაფიცვაში არც მონაწილეობენ.

რკინიგზელთა პროტესტს შეუერთდნენ რკინიგზელთა პროფკავშირისა და საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების წარმომადგენლები, რომლებიც გამაფრთხილებელი გაფიცვის ორგანიზატორები არიან. პროფკავშირების წარმომადგენლები ასევე მოითხოვენ იმ თანამშრომლების სამსახურებში აღდგენას, რომლებსაც რკინიგზის სამმართველოს გადაწყვეტილებით გათავისუფლდნენ სამსახურიდან.

გაფიცვის დასრულების შემდეგ, პროფკავშირების წარმომადგენლებმა განცხადება გაავრცელეს, სადაც ნათქვამია, რომ:

- სამწუხაროდ, რკინიგზის ადმინისტრაცია არაადეკვატურად შეხვდა რკინიზელთა მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს და შესაბამისად მოლაპარაკებები წარუმატებლად დასრულდა. რკინიგზის ადმინისტრაცია აცხადებს, რომ გენერალური დირექტორის – ირაკლი ეზუგბაიას გადადგომის გამო ვერ ხერხდება დირექტორთა საბჭოს შეკრება და მათ არ აქვთ უფლებამოსილება, აიღონ რაიმე სახის ფინანსური ვალდებულებები. მუშების ძირითადი მოთხოვნებია: ხელფასების მატება, მძიმე სამუშაო პირობების გაუმჯობესება და სამუშაოდან პროფკავშირული ნიშნით დათხოვნილი თანამშრომლების უპირობო აღდგენა.

გაფიცული მუშები, 24 საათის განმავლობაში დაელოდებიან ადმინისტრაციის შემდგომ ნაბიჯებს, ასევე დაგეგმილ შეხვედრას ეკონომიკის ახალ მინისტრთან – გიორგი კვირიკაშვილთან, რომელიც იმედია, გაითვალისწინებს იმ მდგომარეობას, რომელშიც რკინიგზელები და მათი ოჯახები იმყოფებიან და გამოიძებნება არსებული დავის მოლაპარაკებებით გადაჭრის გზები. ადმინისტრაციის მიერ რკინიგზელთა მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ხვალ, კანონმდებლობის სრული დაცვით, სრულმასშტაბიანი გაფიცვა დაიწყება. – ნათქვამია განცხადებაში.

# ზაზა დავითაია: 2008 წლის ომით სააკაშვილმა იხეირა“

დასაწყისი მე-6 გვერდზე

ხდებოდა იმ პატიმრების წინააღმდეგ, რომლებიც საკუთარ უფლებებს ითხოვდნენ. არის პრივილეგირებული პატიმრების კასტა, რომლებიც სხვა პატიმრებს ხელს უშლიან თავიანთი უფლებების განხორციელებაში. მიდიან და პატიმარს პირდაპირ ეუბნებიან, შენ რომ ამას ითხოვ, შემოვა სპეცრაზმი და პიროებებს დაგვიმძიმებენ და ამაში დამნაშავე შენ იქნებიო. არ ვარ ქურდული იდეოლოგიის გამზიარებელი, მაგრამ ქურდები ბევრად უფრო სამართლიანები არიან, ვიდრე ციხის ადმინისტრაცია. ციხის ბუნტი იყო ინსპირირებული. შეგნებულად გაითამაშა ადმინისტრაციამ, რომ პატიმრები ემართა, ქურდებისგან გაემიჯნა დანარჩენი პატიმრები, იქ დიდი მსხვერპლი იყო, ადამიანებს პირდაპირ საკნებში ესროდნენ, დღემდე არიან პატიმრები, რომლებსაც ტყვიები აქვთ დარჩენილი სხეულში და მკურნალობას ითხოვენ. ბევრი მათგანი ამის გამო გარდაიცვალა.

***– საზოგადოება ახალი ხელისუფლებისგან სტაბილურობას ითხოვს. ახლა ფართომასშტაბიან ამნისტიაზეა საუბარი. პირადად თქვენი დამოკიდებულება როგორია ამ ამნისტიაზე და არის იმის საფრთხე, რომ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირები არ განთავისუფლდნენ?***

– ორი-სამი წლის პატიმრობა საკმარისია ადამიანისთვის, რომ გამოსწორდეს. იმდენს ვერ მიხვდება ადამიანი ათი წლის განმავლობაში. თუ ადამიანს სამი წელი უნდა ჰქონოდა მისჯილი და ათი წელი მისცეს, ის გაბოროტდება ამ ათი წლის მანძილზე. ადამიანის პატიმრობის გონივრული ვადა უნდა დაწესდეს. მე ჰუმანისტი ვარ, მაგრამ ვაცხადებ, სჯობს აღდგეს სიკვდილით დასჯა, ვიდრე ადამიანი იყოს ციხეში უვადოდ. ადამიანს ართმევენ იმედს. სამუდამო პატიმრობა ნელი ტანჯვაა და არ შეედრება წამიერად ტყვიის გასროლას და სიკვდილს. ჯალათებისთვის, ვინც ციხეში პატიმრებს აუპატიურებდნენ, შეიძლება სამუდამო პატიმრობა გვემეტებოდეს, მაგრამ არ დაბადებულა ბოროტი ადამიანი, რომლის მიმართაც შეიძლება გაიმეტო სამუდამო პატიმრობა. ჰქონდეს პატიმარს მისჯილი ოცდაათი წელი და ყოველ ათ წელიწადში დააკვირდეს საზოგადოება ამ ადამიანის საქციელს, სავლე გარდაიქმნა პავლედ, რატომ გამოვრიცხავთ, რომ დიდი ბოროტების ჩამდენი გაიაზრებს თავის დანაშაულს. მივცეთ ამის შანსი.

***– ამ კვირაში სახალხო დამცველი უნდა დაამტკიცოს პარლამენტმა, რომელ კანდიდატურას ემხრობით და რა არის თქვენი მოტივაცია?***

– მე მხარს ვუჭერ გელა ნიკოლეიშვილს. უაღრესად კეთილშობილი ადამიანია, ალტრუისტი, თავის ხარჯებით ეხმარება ადამიანებს, რომლებსაც უჭირთ. გულისხმიერი ადამიანია და გათავისებული აქვს სხვისი ტკივილი. საკუთარ თავზე მაქვს ეს გამოცდილი, ჩემი ადვოკატი იყო, იმაზე მეტს აკეთებდა, ვიდრე მას ადვოკატის ფუნქცია ავალებდა. დარწმუნებული ვარ, არ გახდება ამპარტავანი, რაც ხშირად თანამდებობაზე დანიშნულ ადამიანს ემართება. ომბუდსმენი უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც თავის თავზე აქვს გამოცდილი პატიმრობის სიმძიმე, ის იყო პოლიტპატიმარი საბჭოთა კაგებეს ციხეში. გელა ნიკოლეიშვილი განურჩევლად ყველა პატიმრის მიმართ იყო გულისხმიერი, იყო ის მისი დაცვის ქვეშ თუ არა. მალხაზ არქანიას წამების ფაქტი როცა იყო ცნობილი და ის პირადად იყო ძალადობის მსხვერპლი, გელამ ორდერი გამოწერა და მის სანახავად ციხეში შევიდა. ასეთი ათობით შემთხვევაა.

# გრიგოლ რობაქიძის იუბილეს ხელნაწერთა ცენტრი აღნიშნავს

ეკა ირემაშვილი

28 ოქტომბერს ქართველი მწერლისა და პუბლიცისტის გრიგოლ რობაქიძის დაბადებიდან 130 წელი სრულდება, ხოლო გარდაცვალებიდან – 50 წელი. ამ თარიღებთან დაკავშირებით, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ახალ საგანმანათლებლო პროექტს იწყებს, რომელიც 25 ოქტომბერს გაიხსნება. „ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პირადი არქივები – სასწავლო-საგანმანათლებლო რესურსი სკოლისათვის“ – ასე ეწოდება კვირეულს, ხოლო თვითონ პროექტს ორგანიზატორებმა „გრიგოლ რობაქიძე – ცხოვრება აზრით და გრძნობით“ უწოდეს.

როგორც ხელნაწერთა ცენტრი იუწყება, პროგრამის შინაარსსა და განრიგში გაერთიანებულია გამოფენა – გრიგოლ რობაქიძის ავტოგრაფებით, პირადი წერილებით, რომლებიც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გრიგოლ რობაქიძის პირად საარქივო ფონდშია დაცული, ასევე წარმოდგენილი იქნება მწერლის ნაწარმოებების ძველი და ახალი გამოცემები. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაიმართება პრეზენტაცია-საუბარი, ასევე შეკრებილი საზოგადოება გაეცნობა მწერლის მიმართვას ქართველი ხალხისადმი (რადიო „თავისუფლების“ აუდიო არქივიდან – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდი, კარლო ინასარიძის არქივი). კვირეულის პროგრამაშია საჯარო ლექციების ციკლი, დისკუსია – ლიტერატურული, ლიტერატურათმცოდნეობითი და ისტორიული ექსკურსიების თანხლებით. ამავე პროექტის ფარგლებში მოეწყობა ვიქტორინა – ინტელექტუალური თამაში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები.

გრიგოლ რობაქიძე თანამედროვე ქართული და გერმანული ფსიქოლოგიური რომანის ერთ-ერთი ფუძემდებლად არის მიჩნეული. ტარტუს უნივერსიტეტში სწავლის შემდეგ, ესტონეთიდან გერმანიაში გადავიდა, სადაც ფილოსოფიის დოქტორის ხარისხით დაასრულა ლაიფციგის უნივერსიტეტი. სამშობლოში დაბრუნებული მწერალი ქართველ სიმბოლისტთა ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი გახდა. გრიგოლ რობაქიძის სახელს მიაწერენ „ცისფერყანწელთა“ დაფუძნებას. ამ ლიტერატურულმა დაჯგუფებამ, რომელშიც გაერთიანდნენ იმ დროისთვის პროგრესული სიმბოლისტი მწერლები და პოეტები, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის შემდგომ განვითარებაში. მისივე აქტიური მონაწილეობით დაარსდა საქართველოს მწერალთა კავშირი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში გრიგოლ რობაქიძე აქტიურად მონაწილეობდა დამოუკიდებელი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ლიტერატურულ ცხოვრებაში. იგი იყო პარიზის სამშვიდობო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად წარგზავნილი საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის წევრი. იმავე წელს მისი უშუალო მონაწილეობით დაფუძნდა ქართული ლეგაცია სტამბოლში. ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის შემ-



დეგ გრიგოლ რობაქიძე აქტიურად ჩაება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რისთვისაც მუდმივად განიცდიდა დევნას. იგი 30 წლის განმავლობაში იყო პოლიტიკური ემიგრანტი, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გერმანიასა და შვეიცარიაში. გრიგოლ რობაქიძე მიჩნეულია ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს მოღვაწედ. მისი უშუალო მოღვაწეობით ემიგრაციაში დაარსდა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი და იყო ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი. კავშირის თავმჯდომარე გახლდათ ევროპაში ბაგრატიონთა სამეფო სახლის მეთაური ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელი. ცნობილი ფაქტია, რომ გრიგოლ რობაქიძის პროზაზე უდიდესი გავლენა იქონია ფრიდრიხ ნიცშეს ნაშრომებმა. მის შემოქმედებას სხვადასხვა დროს უმაღლესი შეფასება მისცეს შტეფან ცვაიგმა, რომენ როლანმა, ნიკოს კაზანძაკისმა და მსოფლიო ლიტერატურის სხვა გამოჩენილმა წარმომადგენლებმა. საერთაშორისო აღიარება მოიპოვა მისმა რომანებმა „გველის პერანგი“, „დემონი და მითოსი“, „ჩაკლული სული“, „გრაალის მცველნი“, „მეგი – ქართველი ასული“. არანაკლები პოპულარობა მოიპოვა გერმანულ და სხვა ენებზე რამდენიმეგზის გამოცემულმა მისმა კრებულმა „კავკასიური ნოველები“. ქართველი მწერალი არჩეული იყო ევროპის რამდენიმე ლიტერატურული საზოგადოების წევრად. გასული საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს გადაწყვეტილი იყო მისი წარდგენა ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიაზე, რასაც ხელი შეუშალა მწერლის გარდაცვალებამ.

გრიგოლ რობაქიძე 82 წლის ასაკში ჟენევაში გარდაიცვალა და იქვე დაიკრძალა. მწერალი მოგვიანებით ქართველი ემიგრანტების ნინო და კალისტრატე სალიების თაოსნობით საფრანგეთში, ლევილის სასაფლაოზე გადაასვენეს. მისი ბინა პოლიციამ დალუქა, არქივი კი ლიკვიდაციას შვეიცარიელი მეგობრების ძალისხმევით გადაურჩა

ცნობილია გრიგოლ რობაქიძის ნატვრაც – „ჩემი ნატვრაა: როცა მე ამსოფლად აღარ ვიქნები, მოდიოდეს ვინმე ქართველი დედა ყოველ წელს მცხეთას, წიფობის, ჩემი დაბადების თვეში, სანთელს აანთებდეს და პაწა სალოცავის წინ და ლოცვით ახსენებდეს ჩემს სახელს, მეტს არასა ვთხოვ საქართველოს“. ამ ნატვრას ქართული საზოგადოება გრიგოლ რობაქიძეს ყოველ წელს უსრულებს – მის დაბადების დღეზე მცხეთაში იკრიბებიან ახალგაზრდები და ქართველი მწერლის ხსოვნის პატივსაცემად სანთლებს ანთებენ.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი გრიგოლ რობაქიძის იუბილეს და გარდაცვალების ნახევარსაუკუნოვან თარიღს საჯარო ლექციებსაც უძღვნის, რომლის განრიგიც ასეთია: 25 ოქტომბერს საჯარო ლექციას გამართავს ფილოლოგ-გერმანისტი და ისტორიკოსი, გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი ლაშა ბაქრაძე, მისი ლექციის თემაა გრიგოლ რობაქიძე ემიგრაციაში. 26 ოქტომბერს გაიმართება ლექცია თემაზე „უცნობი გრიგოლ რობაქიძე – ახალი ქართული გამოცემები“, რომელსაც წარუძღვება მწერალი, გამომცემლობა „არტანუჯის“ ლიტერატურული სერიის „უცნობი გრიგოლ რობაქიძე“ ავტორი ზვიად კვარაცხელია. საჯარო ლექციები 29 ოქტომბერს განახლდება. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივთმცოდნეობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, გრიგოლ რობაქიძის პირადი არქივის მკვლევარი ეთერ ქავთარაძე ჩაატარებს ლექციას თემაზე „პირადი არქივი – მისი მნიშვნელობა გრიგოლ რობაქიძის პიროვნებისა და შემოქმედების კვლევისათვის“. 30 ოქტომბერს წარმოდგენილი იქნება ლექცია თემაზე „გრიგოლ რობაქიძე – ცხოვრება აზრით და გრძნობით“, რომელსაც წარმოადგენს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივთმცოდნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გოჩა საითიძე. საგანმანათლებლო კვირეული 31 ოქტომბერს დასრულდება, სადაც პროფესორი, ემიგრაციის მკვლევარი რუსუდან დაუშვილი წაიკითხავს ლექციას თემაზე „გრიგოლ რობაქიძე – პოლიტიკური ფიგურა“. საგანმანათლებლო პროგრამა 25 ოქტომბერს დაიწყება და 31 ოქტომბერს დაიხურება.

28 ოქტომბერს კი გრიგოლ რობაქიძის დაბადებისა და გარდაცვალების დღეს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში, რომელიც წმიდა სამების საკათედრო ტაძარში მდებარეობს, გაიმართება ქართველი მწერლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, რომელსაც დეკანოზი პეტრე კვარაცხელია წარუძღვება.

# აჩიკო გულედანი მუსიკალურ ბენდებს ეძებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ოქტომბერს რკინიგზელთა სახლში გაიმართება. „თბილისი ნიუქამერს“ „ალთერვიჟენ ჯგუფისა“ და თბილისის მერიის ორგანიზებით ტარდება. პრესკონფერენციაზე საგანგებოდ მოსულმა ნეკა სებისკვერაძემ, რომელიც დედაქალაქის მერიას წარმოადგენს, განაცხადა:

– ამ პროექტში მისი არსებობის განმავლობაში სულ 300-მდე ჯგუფმა მიიღო მონაწილეობა, წელს 50 ჯგუფი დარეგისტრირდა, შეირჩა საუკეთესო 10, ერთი კი მსმენელმა თავად აირჩია. 26 ოქტომბერს კი ჩვენ უკვე ამ პროექტის საბოლოო სურათს ვიხილავთ და კონცერტზე მოსული მსმენელი მათ შეფასებას შეძლებს. ჩვენ ყოველთვის ხელს ვუწყობთ ახალბედა მუსიკოსების წარმოჩენას. ძალიან მახარებს ის ფაქტი, რომ დღევანდელ სამუსიკო ხელოვნებაში წარმოდგენილი მუსიკოსები და მომღერლები, სწორედ ამ კონკურსის აღმოჩენილები არიან, ამიტომაც მერიის კულტურის სამსახური ყოველთვის ამ პროექტის გვერდით იდგება.

პრესკონფერენციაზე პროექტის ორგანიზატორებმა განმარტეს, რომ თბილისი ნიუქამერს 2012 აერთიანებს სხვადასხვა მუსიკალური მიმდინარეობის მუსიკოსებს, რაც შოუს მეტად საინტერესოს და ეფექტურს ხდის. ყოველწლიურმა მუსიკალურმა პროექტმა დიდი ინტერესი გამოიწვია მუსიკოსებში, ორი კვირის განმავლობაში 50-ზე მეტი ბენდი დარეგისტრირდა პროექტის ოფიციალურ ვებგვერდზე და ატვირთა საკუთარი ტრეკები. დარეგისტრირებული ჯგუფებიდან ლაივ შოუქეისზე მოსასმენად შეირჩა 20 ბენდი – 19 არტისტი ალთერვიჟენ ჯგუფის პროდიუსერებმა აჩიკო გულედანმა, ბექა ჯაფარიძემ და ვახო ბაბუნაშვილმა აარჩიეს, ხოლო ერთი ჯგუფი ხალხის რჩეული გახდა.

– მნიშვნელოვანია ისიც, რომ წელს პირველად მოხდა მსმენელების აქტიური ჩართვა პროექტში. ორდღიანი მოსმენების შედეგად პროდიუსერებმა შეარჩიეს 9 ბენდი, ხოლო ერთის არჩევის საშუალება კვლავ მსმენელებს მიეცათ. შოუქეისის ვიდეოები ექვსი დღის განმავლობაში ტრიალებდა მუსიკალურ არხზე „ალთერვიჟენ თივი“. საბოლოო შოუსთვის შერჩეული 10 მონაწილე ინტენსიურ მოსამზადებელ პერიოდს გადიოდა ალთერვიჟენ ჯგუფის მუსიკალური პროდიუსერების დახმარებით. ყოველწლიური მუსიკალური პროექტი, თბილისი ნიუქამერს პირველად 2009 წელს ჩატარდა და ოთხი წლის განმავლობაში პროექტში მონაწილეობის სურვილი 300-ზე მეტმა მუსიკოსმა გამოთქვა მთელი ქვეყნის მასშტაბით, – განაცხადა აჩიკო გულედანმა.

პროექტის დამფუძნებლების მტკიცებით, თბილისი ნიუქამერს 2012 წარმოადგენს მნიშვნელოვან და სასარგებლო პროექტს, რომლის მიზანიც ახალბედა მუსიკოსების წარმოჩენა და პოპულარიზაციაა.

– ეს პროექტი ახალი ბენდებისა და მუსიკალური პროექტების აღმოჩენას ემსახურება. პროექტი სამი ეტაპისგან შედგება – შესარჩევი ეტაპი, რომელიც გასულ წლებში 300-მდე ბენდმა გაიარა, შოუქეისი, რომელზედაც შერჩეული ბენდები ცოცხლად ასრულებენ თავიანთ კომპოზიციებსა და ცნობილი სიმღერების ქავერებს და ფინალური შოუ-კონცერტი, სადაც გასული შემსრულებლები მრავალათასიანი პუბლიკის წინაშე გამოდიან. 2009 წლიდან მოყოლებული პროექტის ბევრი მონაწილე დღეისათვის უკვე კარგად ცნობილ შემსრულებელს წარმოადგენს. პროექტი ეხმარება ახალბედა ბენდებს იმიჯის შექმნასა და ტექნიკური უნარების გაუმჯობესებაში, ხოლო გამოცდილ მუსიკოსებს საშუალებას აძლევს პუბლიკას წარმოუდგინონ თავისი ახალი პროექტები და ნამუშევრები. 2009 წლიდან მოყოლებული პროექტი მუდამ იზრდება და იცვლება, წელს პროექტი მაყურებლების წინაშე განახლებული იმიჯითა და პროგრამით წარსდგება. კონცერტამდე პრესკონფერენციის გამართვა და ჟურნალისტებთან შეხვედრის მიზანი იყო დეტალური ინფორმაციის მიწოდება თბილისი ნიუქამერსის ფინალურ შოუსთან დაკავშირებით. ასე რომ, 26 ოქტომბერს ველოდებით ყველას, ვისაც ახალი მუსიკალური ბენდების მოსმენა სურს, – აღნიშნავს აჩიკო გულედანი.

„თბილისი ნიუქამერს 2012“-ის დასკვნითი გალაკონცერტი 26 ოქტომბერს რკინის სასახლეში გაიმართება. საათ-ნახევრიან კონცერტზე დასწრება ნებისმიერ მსურველს 5 ლარად შეეძლება.


ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით
2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის
უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




ცფ,ფყრჯ პტრდბპბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% ) () $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 LBRTGE22
fyu8 N GE28LB 0122 1802 48686 000



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs
cohfab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib
2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2
[j,bc vjyfcnthb8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC
LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB
BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`



● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის გაჩეჩა, საბნების განახლება. მოგემსახურებათ პროფესიონალი მკერავი. შემოგთავაზებთ ქსოვილების ფართო არჩევანს. ტელ: 235-15-96.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ბუნებრივი საშუალებებით უმკურნალეთ ბავშვებში ქრონიკულ სურდოს, ანგინას, შეკრულობას, დისბაქტერიოზს, ჭიებს, შიშებსა და უძილობას პედიატრ-ჰომეოპატთან კლინიკა „მედიგარდში“. მის: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 593-78-44-67.

● იყიდება ძროხების ფერმა 16 სული, 12 ნამატით, ძროხებისა და მომვლელის კაპიტალური ბინით, მთელი წელი უზრუნველყოფილი საძოვრით. გლდანის ციხიდან 6 კმ-ში. ტელ: 591-409-131 ვარლამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების

უფყნ[ფლტ,ტ,ბ

საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82 ლამარა თოდუა.

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის და რაოდენობის წიწვოვანი და ფოთლოვან და დეკორატიული მცენარეების ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. გაგიფორმებთ დეკორატიულ კუთხეებს. ტელ: 236-28-78; 599-15-67-28.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

# იუვენტუსის მეცხრე ფრე და ბარსელონას ბოლო წუთი

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მესამე ტური, სენსაციური გამოდგა. უფრო ხმაურიან სენსაციამდე კი წამები დააკლდა.

### ე ჯგუფი

**შახტარი – ჩელსი 2:1**

*1:0 ტეიშეირა (3), 2:0 ფერნანდინიო (52), 2:1 ოსკარი (88)*

**შახტარი:** პიატოვი, სრნა, კუჩერი, რაკიცკი, რატი, ჰუბშმანი, ფერნანდინიო, ტეიშეირა (ილსინიო 82), მხითარიანი, ვილიანი (დუგლასი 88), ადრიანო

**ჩელსი:** ჩეხი, ივანოვიჩი, ლუისი, ტერი, კოული, რამირესი, მიკელი, ლემპარდი (აზარი 18), ოსკარი, მატა, ტორესი (სტარიჯი 70)

ეს მატჩიც მოულოდნელ შედეგს უნდა მივაწეროთ, რადგან ლიგის შარშანდელი გამარჯვებულისგან მარცხს ძალიან ცოტა თუ მოელოდა. ანგარიში მე-3 წუთზე გაიხსნა – ტეიშეირამ ჩეხს პირველი გოლი გაუტანა.

მე-2 ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როდესაც მასპინძლებმა სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყეს, რომელიც ფერნანდინიომ დაასრულა – 2:0.

88-ე წუთზე, მასპინძელთა საჯარიმოში მარჯვენა ფლანგიდან შესული ივანოვიჩის გადაცემის შემდეგ, ოსკარმა ერთი ბურთი გაქვითა.



**ნორდსიელანდი – იუვენტუსი 1:1**

*1:0 ბეკმანი (50), 1:1 ვუჩინიჩი (81)*

**ნორდსიელანდი:** ჰანსენი, პარხურსტი, ოკორე, რუნიე, მტილიგა, ადუ, სტოკჰოლმი, ლაუდრუპი (ს. კრისტენსენი 70), ლორენტცენი (ა. კრისტენსენი 88), იონი, ბეკმანი (ნორდსტრანდი 67)

**იუვენტუსი:** ბუფონი, ლუსიო (ბენდტნერი 76), ბონუჩი, კიელინი, ისლა, ვიდალი (ჯაკერინი 83), პირლო, მარკიზიო, დე ჩელიე, მატრი (ვუჩინიჩი 69), ჯოვინკო

„იუვენტუსმა" ევროტურნირებზე ზედიზედ მეცხრე ფრე ითამაშეს, თუმცა უფრო მოულოდნელი ის იყო, რომ ტირუნელებმა ჯგუფის უიმედო აუტსაიდერად შერაცხულ „ნორსიელანდს" ვერ მოუგეს.

დანიელებმა ანგარიში 50-ე წუთზე გახსნეს, როდესაც ბეკმანმა საჯარიმო დარტყმა უბადლოდ შეასრულა და ბუფონი უშანსოდ დატოვა. დარჩენილ დროში (გოლამდეც), ტურინელებმა უამრავი სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ მხოლოდ 81-ე წუთზე, ვუჩინიჩის მიერ გატანილი გოლი ერთადერთი გამოდგა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.შახტარი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| 2.ჩელსი | 3 | 1 | 1 | 1 | 7:4 | 4 |
| 3.იუვენტუსი | 3 | 0 | 3 | 0 | 4:4 | 3 |
| 4.ნორდსიელანდი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:7 | 1 |

### ფ ჯგუფი

**ბატე – ვალენსია 0:3**

*0:1 სოლდადო (45პ), 0:2 სოლდადო (55), 0:3 სოლდადო (69)*

**ბატე:** გორბუნოვი, პოლიაკოვი, ფილიპენკო, სიმიჩი, ბორდაჩოვი, ვოლოდკო (რენანი 75), ლიხტაროვიჩი (სივაკოვი 53), ოლეხნოვიჩი, პავლოვი (მოზოლევსკი 66), გლები, როდიონოვი

**ვალენსია:** დიეგო ალვესი, პერეირა, რამი, რ. კოშტა, სისოკო, ალბელდა (ბანეგა 72), გაგო, ფეგული (ბარაგანი 82), ტ. კოსტა, გუარდადო, სოლდადო (ჟონასი 76)

მიმდინარე ჩემპიონთა ლიგის აღმოჩენას, როგორც იქნა მარცხი აგემეს, ხოლო რობერტო სოლდადო გახდა პირველი ესპანელი ფეხბურთელი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაზე ჰეთ თრიქის 2-ჯერ გაფორმება მოახერხა.

პირველ ტაიმში, სოლდადომ პენალტით გაიტანა, მეორეში კი ჯერ გუარდადოს ჩაწოდების შემდეგ ეფექტური გოლი გაიტანა, ხოლო 69-ე წუთზე, უკვე ტინო კოსტას პასით ისარგებლა და შეხვედრას წერტილი დაუსვა.

**ლილი – ბაიერნი 0:1**

*0:1 მიულერი (20პ)*

**ლილი:** ლანდრო, სიდიბე, ბერია, შეჯუ, დინე, ბალმონი, პედრეტი (როზენალი 90), მარტინი, კალუ (პაიე 56), დე მელო, რუ (მენდესი 77)

**ბაიერნი:** ნოიერი, ლამი, ბოატენგი, დანტე, დაბშტრუბერი, შვაინშტაიგერი, მარტინესი, მიულერი (ალაბა 84), კროოსი (გუსტავო 81), რიბერი (შაქირი 46), მანჯუკიჩი

ამ მატჩის შემდეგ ფრანგულმა კლუბმა პრაქტიკულად დაკარგა შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი. შეხვედრის ერთადერთი გოლი მე-20 წუთზე გავიდა, როდესაც მიულერმა ლამის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ვალენსია | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 6 |
| 2.ბატე | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| 3.ბაიერნი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 6 |
| 4.ლილი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |

### ჯ ჯგუფი

**სპარტაკი – ბენფიკა 2:1**

*1:0 კარიოკა (3), 1:1 ლიმა (33), 2:1 ჟარდელი (43ავ)*

**სპარტაკი:** რებროვი, მაკეევი, პარეხა, სუში, კომბაროვი, კარიოკა, კელსტრომი (ბრიზგალოვი 79), ხურადო, ანანიძე (კომბაროვი 57), ბილიალედინოვი (ველიტონი 73), არი

**ბენფიკა:** არტური, პერეირა, ჟარდელი, გარაი, მელგარეჟუ, პერესი, მატიჩი (იონი 89), სალვიო, ლიმა, მორენო (კარდოსო 65), სეზარი (გაიტანი 65)

როგორც იქნა ჩემპიონთა ლიგაზე „სპარტაკის" განაცხადში გამოჩნდა და 57 წუთი დაჰყო მოედანზე საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა ჯანო ანანიძემ. თანაც ჩვენებურმა ისე კარგად ითამაშა, რომ „ევროსპორტმა" მატჩის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელა. ჟურნალისტებმა 57-ე წუთზე ქართველის ცვლილება ტრავმას დააბრალეს, რადგან მოსკოველთა თავკაცის – უნაი ემერის გადაწყვეტილებას სხვა ახსნა ვერ მოუძებნეს.

თავად ემერიმ კი ეს ცვლილება ტაქტიკური თვალსაზრისით ახსნა.

– ჯანომ უმაღლესი დონის ფეხბურთი ითამაშა. ბიჭი ოდნავ გადაიღალა, რადგან ხშირი სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონია. მას შესაძლო შეცვლის შესახებ შესვენებაზევე ვუთხარი. თამაშს მხოლოდ ჩვენს თამაშზე არ ვაწყობთ, რადგან ეს მეტოქეზეცაა დამოკიდებული. „ბენფიკას" თავკაცმა შეტევა გააძლიერა და ჩვენ ყველაფერი უნდა გვეღონა იმისთვის, რომ მეორე გოლი არ მიგვეღო. ჯანოს გასვლის შემდეგ, კონტრშეტევებზე თამაში ვამჯობინეთ – განაცხადა ემერიმ.

ანგარიში კარიოკამ გახსნა, რასაც ნახევარ საათში ლიმამ უპასუხა, თუმცა ჟარდელის ავტოგოლმა „სპარტაკს" პირველი გამარჯვება მოუტანა.

**ბარსელონა – სელტიკი 2:1**

*0:1 სამარასი (18), 1:1 ინიესტა (45), 2:1 ალბა (90)*

**ბარსელონა:** ვალდესი, ადრიანო, ბარტრა, მასკერანო, ალბა, სონგი, ჩავი, ინიესტა, პედრო (ტელიო 76), მესი, სანჩესი (ვილია 80)

**სელტიკი:** ფორსტერი, ლუსტიგი, უილსონი, ამბროზე, იზაგირე, სამარასი (ფორესტი 43), ბრაუნი (კომონსი 63), ვანიამა, ლედლი, მალგრიუ (კაიალი 76), ჰუპერი

წამები დააკლდა სენსაციამდე „სელტიკს". მე-18 წუთზე, სამარასის მიერ გატანილი გოლის შემდეგ, კატალონიელები კარგა ხანი აგებდნენ და გლაზგოელთა მეკარის ბრწყინვალე თამაშის გამო, 3 ქულის მოპოვება მხოლოდ მსაჯის მიერ კონპენსირებული დროის მე-4 წუთზე მიაღწიეს.

პირველი გოლი კი პირველი ტაიმის ბოლო წუთზე გაუტანეს მეტოქეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 3 | 3 | 0 | 0 | 7:3 | 9 |
| 2.სელტიკი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| 3.სპარატკი | 3 | 1 | 0 | 2 | 6:7 | 3 |
| 4.ბენფიკა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |

### ჰ ჯგუფი

**მანჩესტერი – ბრაგა 3:2**

*0:1 ალანი (2), 0:2 ალანი (20), 1:2 ერნანდესი (25), 2:2 ევანსი (62), 3:2 ერნანდესი (75)*

**მანჩესტერი:** დე ხეა, რაფაელი, კერიკი, ევანსი, ბატნერი, კაგავა (ნანი 46), ფლეტჩერი, კლევერლი, რუნი, ერნანდესი (გიგზი 79), ვან პერსი

**ბრაგა:** ბეტო, სალინო, კოელიო, ვინიციუსი, ელდერსონი, კუსტოდიო, ვიანა, ამორიმი (ბარბოსა 80), ალანი (მოსორო 86), რუბენ მიკაელი (ზე ლუისი 88), ედერი

„ბარსელონას" მსგავსად ასპროცენტიანი შედეგი აქვს „მანჩესტერსაც", რომელსაც მოგება უფრო გაუჭირდა.

ფერგიუსონის შეგირდები უკვე მე-20 წუთისთვის 2 ბურთით ჩამორჩნენ, თუმცა მანჩესტერელებმა იმდენი მოახერხეს, რომ მეტოქე შინ უქულოდ გააბრუნეს. ალანის დუბლს ასევე დუბლით უპასუხა ერნანდესმა, ხოლო ერთი გოლი ჯონათან ევანსის ანგარიშზეა.

**გალათასარაი – კლუჟი 1:1**

*0:1 ნუნკო (19ავ), 1:1 ილმაზი (77)*

35-ე წუთზე, მელომ ვერ გამოიყენა პენალტი

**გალათასარაი:** მუსლერა, ებუე (სარიოღლუ 68), ნუნკო, კაია, რიერა, ალთინთოფი (ილმაზი 39), ინანი, მელო, ამრაბათი, ბულუთი, ელმანდერი (კოლაკი 42)

**კლუჟი:** ფელგიერასი, სეპსი (რადა 53), კადუ, პიკოლო, პინტო, ალბერტო, აგირეგარაი, გოდემეშე, კამორა, ბასტოსი (ნიკოარა 71), კაპეტანოსი (მურესანი 78)

**გაძევება:** აგირეგარაი 28

„გალათასარაი" ფავორიტად კი ითვლებოდა, მაგრამ 10-კაციან „კლუჟთან" მხოლოდ ქულას გამორჩა. არადა, აგირეგარაი უკვე 28-ე წუთზე გააძევეს და 35-ე წუთზე მასპინძელთა სასარგებლოდ პენალტიც დანიშნეს, რომელიც მელომ ვერ გამოიყენა. მანამდე „კლუჟი" ნუნკოს ავტოგოლით იგებდა, რომელიც 77-ე წუთზე გაქვითა ილმაზმა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:3 | 9 |
| 2.კლუჟი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| 3.ბრაგა | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| 4.გალათასარაი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |

# მერაბ ჟორდანია დინამოს დაბრუნებას ითხოვს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და თბილის „დინამოს" ყოფილმა პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ თბილისში ჩამოსვლის შემდეგ კლუბის ყოფილ მფლობელებთან შეხვედრა გამართა და „დინამოს" დაბრუნებაზე ალაპარაკდა.



მერაბ ჟორდანიას განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

თბილისის „დინამოს" ყოფილ და ამჟამინდელ მესვეურებს!

ხელისუფლებაში მოსული კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერის განცხადება ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის შესახებ, კერძოდ ქონებრივი დავების დაინტერესებულ პირთა უშუალო მოლაპარაკების გზით გადჭრისაკენ მოწოდება, დროული და მეტად მნიშვნელოვანია. ამ შემთხვევაში საუბარია ქართული ფეხბურთის ფლაგმანის, საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს" საკუთრების უფლებაზე. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ კლუბის პირველი მფლობელებისადმი დაბრუნების საკითხი არ არის ახალი და დღეს არ წამოჭრილა, როგორც ეს შეიძლება მავანთ ეგონოთ. საკითხი აქტუალურია 2001 წლიდან, სწორედ იმ მომენტიდან, როცა კლუბის მენეჯმენტს ძალისმიერი ფორმით მართვის უფლება ჩამოართვეს! მე ყოველთვის ვთვლიდი, რომ საფეხბურთო სადავო საკითხებს, რა სირთულისაც არ უნდა იყოს ის, უნდა აგვარებდეს ისევ საფეხბურთო ოჯახი, კომპეტენტური ორგანოების დახმარებით. სწორედ ამიტომაც მოვუწოდებ კლუბის ყოფილ და ამჟამინდელ მფლობელებს, შეხვდნენ ერთმანეთს მოლაპარაკების მაგიდასთან და საქმიან, სამართლიან და ურთიერთპატივსაცემ გარემოში გაარკვიონ კლუბის კანონიერი მფლობელის ვინაობა. თავისთავად მოლაპარაკების არასასურველი შედეგით დასრულების შემთხვევაში მხარეები უფლებას იტოვებენ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საკითხი სასამართლო დავის საგანი გახდეს.

# კაჭარავას გუნდი ხორვატიაში დაბინავდა

19-წლამდელები ხორვატიაში გაემგზავა, სადაც ელიტ-რაუნდის შესარჩევი ეტაპის მე-11 ჯგუფში იასპარეზებს ხორვატიის, აზერბაიჯანისა და ისლანდიის ნაკრებებთან ერთად.

ხვალ, ერთმანეთს საქართველო და ხორვატია დაუპირისპირდებიან. მატჩი თბილისის დროით 17:30 წუთზე დაიწყება. ამავე დღეს და ამავე დროს ითამაშებენ აზერბაიჯანი და ისლანდიაც.

შეგახსენებთ, რომ ამ საკვალიფიკაციო ეტაპზე, ჯგუფიდან ორი საუკეთესო გუნდი გადის, შემდეგ კი, კენჭისყრით ელიტრაუნდისთვის ახალი ჯგუფები დაკომპლექტდება.

საქართველოს 19-წლამდე ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა – კახა კაჭარავამ, ხორვატიაში, 18 ფეხბურთელი იახლა.

**მეკარეები:** გაბრიელ თებიძე (ჩიხურა), ბაჩო მიქავა(ლოკომოტივი)

**მცველები:** ოთარ კაკაბაძე (დინამო თბ), ნიკა სანდოხაძე (ტორპედო, ქუთაისი), ნიკა ჭანტურია (ლოკომოტივი), ლაშა დვალი (იბერია), ლევან გეგეჭკორი (მერანი)



**ნახევარმცველები:** ავთო ენდელაძე (ზუგდიდი), გიორგი აბურჯანია (დილა), გურამ სამუშია (ზესტაფონი), დავით უბილავა (ვიტ ჯორჯია), თემურ მარკოზაშვილი (ტორპედო), საბა ლობჟანიძე (დინამო თბ), ლუკას ჰუფნაგელი (უნტერჰაჰინგი, გერმანია)

**თავდამსხმელები:** ნიკა კაჭარავა (ვანდიში, შვეიცარია), გიორგი ფანცულაია (ტორპედო), ვაჟა მათიაშვილი (დინამო თბ), ბაჩანა არაბული (საბურთალო).

**26 ოქტომბერი,** 17:30, ხორვატია-საქართველო; აზერბაიჯანი-ისლანდია
**28 ოქტომბერი,** 17:30, საქართველო-აზერბაიჯანი; ხორვატია-ისლანდია
**31 ოქტომბერი,** 17:30, ისლანდია-საქართველო; აზერბაიჯანი-ხორვატია.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

სპარტაკი-ბენფიკა ........................ 2:1
ბარსელონა-სელტიკი ................... 2:1
შახტარი-ჩელსი .............................. 2:1
ნორდსიელანდი-იუვენტუსი ......... 1:1
ლილი-ბაიერნი .............................. 0:1
ბატე-ვალენსია .............................. 0:3
მანჩესტერი-ბრაგა ......................... 3:2
გალათასარაი-კლუჟი ..................... 1:1

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბარნსლი-კრ.პალასი ...................... 1:1
ბრისტოლი-ბარნლი ...................... 3:4
ვულვზი-ბოლტონი ......................... 2:2
იფსვიჩი-დერბი ............................. 1:2
კარდიფი-უოტფორდი ................... 2:1
ლესტერი-ბრაიტონი ..................... 1:0
ლიდსი-ჩარლტონი ........................ 1:1
მიდლსბრო-ჰალი .......................... 2:0
მილუოლი-ბირმინგემი ................. 3:3
პიტერბრო-ჰადერსფილდი .......... 3:1
ბლექპული-ნოტინგემი ................. 2:2

**ჩოგბურთი**

**ატპ. ბაზელი. ჰალი**

შტეპანეკი-ბეკერი ........... 6:2;6:7;3:6
ჩიუდინელი-გარსია ლოპესი 5:7;6:3;6:4
ვავრინკა-დავიდენკო ............ 6:7;6:7
ანდერსონი-ნიემინენი ............ 7:6;6:3
ტროიცკი-დიმიტროვი ........... 3:6;2:6
ბელუჩი-სოედა ................. 4:6;6:4;6:3

**ატპ. ვალენსია. ჰალი**

ფერერი-როხუსი ო. ............... 7:5;7:5
მელცერი-ბერლოკი ............... 6:3;6:3
ალმაგრო-ფერერო ................ 7:5;6:3
ცონგა-მალისე ....................... 1:6;0:6
ტიპსარევიჩი-სიმონი ............ 4:6;0:6

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# უდალცოვი რუსეთის დატოვებას არ აპირებს“

ოპოზიციონერ სერგეი უდალცოვის ადვოკატ ვიოლეტა ვოლკოვას თქმით, მისი კლიენტი არ გეგმავს ქვეყნის დატოვებას და საგამოძიებო კომიტეტში დაკითხვაზე მისვლას აპირებს.

„ინტერფაქსისათვის“ მიცემულ ინტერვიუში, ვოლოკვამ ოპოზიციონერის შესაძლო დაპატიმრებაზე ისაუბრა.

„ის არსად გამგზავრებას არ აპირებს,“-აცხადებს ვოლოკოვა.



გუშინ, გაზეთმა „კომერსანტმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ უდალცოვი, შესაძლოა, რუსეთიდან გაიქცეს, რათა მან დაპატიმრება აიცილოს თავიდან. გავრცელებული ინფორმაციით, უდალცოვის ბავშვები და მეუღლე უკვე უკრაინაში გაემგზავრნენ.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის დუმის დეპუტატის თანაშემწემ ლეონიდ რაზვოჟაევმა გამოძიებას მისცა ჩვენება იმის შესახებ, რომ მასობრივი არეულობების დაფინანსება, რომელიც მოსკოვში 6 მაისს ბოლოტნის მოედანზე მიმდინარეობდა საქართველოს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელის გივი თარგამაძის მიერ ხორციელდებოდა.

განცხადება ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვლადიმერ მარკინმა გააკეთა. მისივე თქმით, 21 ოქტომბერს რაზვპოჟაევმა თავად მიმართა საგამოძიებო კომიტეტის მთავარ საგამოძიებო სამმართველოს და გამოცხადება ითხოვა.

„მან დეტალურად აღწერა მასსა და „მემარცხენე ფრონტის“ ლიდერის სერგეი უდალცოვის, ასევე სხვა პირების მიერ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მასობრივი არეულობების ორგანიზება ასევე აღნიშნული პირების თანამონაწილეობა 6 მაისს ბოლოტნის მოედანზე მიმდინარე არეულობებში“, – განაცხადა მარკინმა და აღნიშნა, რომ როგორც რაზვოჟაევის ჩვენებიდან ირკვევა ამ არეულობების „დაფინანსება თარგამაძის მხრიდან ხდებოდა“

სერგეი უდალცოვი კატეგორიულად უარყოფს ამ ინფორმაციას.

„რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტის მიერ გავრცელებული განცხადება – ეს ან დეზინფორმაციაა ან მათ აიძულეს რაზვოჟაევი ასეთი რამ ეთქვა, შესაძლოა ძეწოლითა და წამების ქვეშ“, – აცხადებს უდალცოვი და აღნიშნავს: „სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს ინფორმაცია რეალობას არ შეესაბამება. არავითარი დაფინანსება არც 6 მაისს და არც სხვა აქციების დროს ვილაც თარგამაძის მხრიდან არ ყოფილა“, – აცხადებს უდალცოვი..

# ევროპარლამენტმა კიდევ ერთხელ დაუჭირა მხარი მაგნიტსკის სიას“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

სიის“ წევრების წინააღმდეგ. მსგავსი რეზოლუციები უკვე მიიღეს 2010 და 2011 წლებში.

„ბი-ბი-სი“-ს ცნობით, რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ სერგეი მაგნიტსკის საქმე ევროპალამენტარებს პოლიტიკურ საქმედ მიაჩნიათ. ცოტა ხნის წინ დიდი ბრიტანეთის, ნიდერლანდების, პოლონეთისა და შვედეთის პარლამენტებმა უკვე მიიღეს რეზოლუციები, სადაც საკუთარ მთავრობებს მაგნიტსკის საქმესთან დაკავშირებით რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესებისაკენ მოუწოდებენ. პორტუგალიის, ესპანეთის, საფრანგეთისა და ლატვიის პარლამენტებს აღნიშნულ რეზოლუციებთან დაკავშირებით მუშაობა უკვე დაწყებული აქვთ.

ევროკავშირის საბჭო წარმოადგენს ევროკავშირის ქვეყნების მეთაურების საბჭოს და ევროკავშირის უმაღლეს ორგანოს.

ხოლო ევროპარლამენტი ევროპის კავშირის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი. იგი წარმოადგენს ერთადერთ საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლის წევრებიც პირდაპირი საყოველთაო კენჭისყრით არიან არჩეულნი. იგი აირჩევა 5 წლის ვადით.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**



# ოპერისა და ბალეტის თეატრი ახალ სეზონს ხსნის

ეკა ირემაშვილი

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი 27 ოქტომბერს 161-ე თეატრალურ სეზონს კონსერვატორიის დიდ დარბაზში გახსნის. მრავალწლიანი ტრადიცია არც ამჯერად დაირღვევა და ოპერის თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი პირველად ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერზე“ მიიწვევს აუდიტორიას. ამჯერად მსმენელები ქართულ კლასიკურ ოპერას საკონცერტო შესრულებით მოისმენენ.

„აბესალომ და ეთერის“ მთავარ პარტიებს იმღერებენ ოპერის სოლისტები – თეიმურაზ გუგუშვილი (აბესალომი), ირინე რატიანი (ეთერი), ელდარ გეწაძე (მურმანი), მარიკა მაჩიტიძე (მარიხი), ირინე ალექსიძე (ნათელა), გია ასათიანი (აბიო მეფე), თამაზ საგინაძე (თანდარუხი), ზურაბ იაშვილი (სტუმარი), მანანა იორდანიშვილი (ნაანა), ბონდო გოგია (მსახურთუხუცესი), თეატრის გუნდი (მთავარი ქორმაისტერი – ავთანდილ ჩხენკელი, ქორმაისტერი – შალვა შაორშაძე) და სიმფონიური ორკესტრი. „აბესალომ და ეთერს“ წარუძღვება დირიჟორი დავით მუქერია.

ოთხმოქმედებიანი ოპერის ლიბრეტოს ავტორი პეტრე მირიანაშვილია და მისი პრემიერა თბილისში 1919 წლის 21 თებერვალს შედგა. ზაქარია ფალიაშვილმა თავისი შემოქმედების ცენტრალურ ოპერაზე „აბესალომ და ეთერზე“ მუშაობა 1910 წელს დაიწყო. ხალხური თქმულების „ეთერიანის“ სიუჟეტზე ნაწარმოების შექმნის იდეა კომპოზიტორს ცნობილმა პედაგოგმა და ლიტერატორმა პეტრე მირიანაშვილმა მიაწოდა, რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის „აბესალომ და ეთერის“ შექმნაში.

– პეტრე მირიანაშვილმა არა მარტო შეადგინა ლიბრეტოს ტექსტი, არამედ მხარში ედგა კომპოზიტორს იმ წლების მანძილზე, როდესაც იგი ამ ოპერაზე მუშაობდა. ოპერის ლიბრეტო ხალხური თქმულების მთლიანი სახით წარმოდგენის საინტერესო ცდაა. პირველად იგი დაიბეჭდა ჟურნალში „ფასკუნჯი“. პეტრე მირიანაშვილმა ხალხური თქმულების ტექსტის გარდა ლიბრეტოში გამოიყენა ვაჟა-ფშაველას პოემის ცალკეული სტროფები, ხალხური „ვეფხისტყაოსნისა“ და ილია ჭავჭავაძის ლექსის ფრაგმენტები. ოპერის მეორე მოქმედების ტექსტის ნაწილი ალექსანდრე წუწუნავას ეკუთვნის, ხოლო ოპერის ერთ-ერთი გმირის მარიხის კანცონეტის ტექსტი თავად პეტრე მირიანაშვილის დაწერილია.




„აბესალომ და ეთერის“ მესამე მოქმედება ოპერის პრემიერამდე რამდენიმე წლით ადრე ფილარმონიული საზოგადოების ინიციატივით დაიდგა ქართულ თეატრში, ხოლო საბოლოო სახით მოგვიანებით დასრულდა. ოპერის პირველ წარმოდგენას თავად კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი დირიჟორობდა. დარბაზი ხალხით იყო გადაჭედილი. ოპერის მოსმენით მიღებული შთაბეჭდილება იმდენად დიდი იყო, რომ კომპოზიტორს უკვე მეორე მოქმედების შემდეგ დიდი ოვაციები გაუმართეს. ცნობილია, რომ 1919 წელი განსაკუთრებული ალმავლობით გამოირჩეოდა ქართული მუსიკის ისტორიაში, რადგან იმავე სეზონში კიდევ ორი ქართული ოპერა დაიდგა. „აბესალომ და ეთერის“ პირველი ვარიანტი 5 მოქმედებისა და 6 სურათისგან შედგებოდა, რის გამოც კომპოზიტორმა გარკვეული კრიტიკული შენიშვნაც დაიმსახურა. მან გაითვალისწინა შენიშვნები და ოპერა ერთი მოქმედებით შემოკლდა. საბოლოოდ ოპერამ „აბესალომ და ეთერი“ ქართული საზოგადოების უზარმაზარი მხარდაჭერა ჰპოვა. დიდი ქართველი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი ამ ოპერის დადგმასთან დაკავშირებით წერდა: „დიდი დღესასწაულია! დღესასწაული ნამდვილი ხელოვნებისა! დღესასწაული კულტურული გამარჯვებისა! სარკმელია ევროპისკენ! გასაოცარი ლეგენდაა, სამშობლო ქვეყნის ჰანგებით მოსევდიანებული, ევროპული ოსტატობით შემუშავებული“. ცნობილი ქართველი მსახიობი მარიამ საფაროვა-აბაშიძე კომპოზიტორის მოღვაწეობის 30 წლისთავთან დაკავშირებით აცხადებდა: „აბესალომი“ უნდა განასახიერებდეს საქართველოს უკვდავ სულს, რომელშიც ტანჯვა და სიხარული ერთმანეთში გადახლართულა, ვით სიმბოლო აზრისა და მშვენიერებისა“.

ზაქარია ფალიაშვილს ოპერაზე მუშაობისას არაერთხელ უთქვამს – „მე პრეტენზიები არა მაქვს, რათა ჩემზე სთქვან ოპერა დასწერაო. ჩემი მუშაობის აზრია – მე ვიძლევი მასალას, ვკრებ და ვაყალიბებ მას, გამოვიტან საზოგადოებაში, შემდეგ, ალბათ გამოჩნდება ვინმე უფრო ნიჭიერი და ოპერას დასწერს“. ზაქარია ფალიაშვილი საკუთარ დამსახურებად ოპერაში უფრო ეროვნული და ევროპული მუსიკის თავისებურებების სინთეზს მიიჩნევდა. იგი წერდა: „მე ის (იგულისხმება „აბესალომ და ეთერი“) მიყვარს და ვეტრფი არა მარტო ისე, როგორც ჩემს პირმშოს, არა – ვიმეორებ, ისე როგორც საუკეთესო ნიმუშს ქართული ხალხური სიმღერებისას ევროპული თეორიის კანონებზედ დამყარებულს“. ოპერის საერთო კონცეფციაში ძირითადი თემა – სიყვარული წარმოსახულია როგორც დიადი, უძლეველი ძალა, რომელიც გადალახავს არა მარტო სოციალურ უთანასწორობას, არამედ თვით სიკვდილსაც. სიყვარულისა და სიკვდილის ამაღლებული პოემა კომპოზიტორმა მუსიკალური ტრაგედიის მონუმენტურ ფორმებში გადაწყვიტა, – აცხადებს ოპერისა და ბალეტის თეატრის წარმომადგენელი ზურაბ ოიკაშვილი.

ოპერისა და ბალეტის თეატრის 161-ე სეზონის გახსნაზე დასასწრები ბილეთის ფასი 5-დან 15 ლარამდეა.

# ფოლკლორის ეროვნული პრემია საუკეთესოებმა მიიღეს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა წელს უკვე მეხუთედ გასცა „ფოლკლორის ეროვნული პრემია“, რომელიც სხვადასხვა ნომინაციაში დასახელებულ რჩეულებს გადაეცათ. დაჯილდოების ცერემონიალი რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა და ეს დღე ფოლკლორის ეროვნული პრემიის ისტორიაში ერთგვარი საიუბილეო თარიღიც აღმოჩნდა – ფოლკლორის ეროვნული პრემიის მიმნიჭებელი კომისიის გადაწყვეტილებით, მეხუთედ გამოვლინდნენ „ფოლკლორის ეროვნული პრემიისა“ და „ფოლკლორის სპეციალური ეროვნული პრემიის“ ლაურეატები. წინა წლებთან პრემიის მიმნიჭებელმა კომისიამ ცვლილებები განახორციელა – სხვადასხვა ნომინაციასა და სფეროში შეირჩა ლაურეატობის რამდენიმე კანდიდატი, რომელთა ვინაობაც უშუალოდ დაჯილდოვების დროს გაცხადდა. საშემსრულებლო შემოქმედებით სფეროში გაიცა პრემია – ხალხური სიმღერის შემსრულებელი, ლოტბარი; ხალხური სიმღერის ანსამბლი; სახალხო მთქმელი; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატი; ქორეოგრაფიული ანსამბლი. სამეცნიერო კვლევით სფეროში კი გაიცა პრემია – მეცნიერი-მკვლევარი: ბოლო წლებში შექმნილი მნიშვნელოვანი სამეცნიერო გამოკვლევებისა და გამოცემებისათვის. ასევე, წარჩინებული ახალგაზრდებიდან გამოვლინდა ორი სტიპენდიანტი. მათ გადაეცათ ფულადი პრემია. ლაურეატები გამოავლინეს და პრემია გადასცეს საზოგადოებისათვის ცნობილმა ადამიანებმა, კულტურისა და ხელოვნების გამოჩენილმა მოღვაწეებმა. პროექტი განხორციელდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური დახმარებით, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ინიციატივითა და ქალაქ თბილისის მერიის მხადაჭერით.

„ფოლკლორის ეროვნული პრემიის“ წლევანდელი ლაურეატები გახდნენ: ფოლკლორისტიკაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ბოლო წლებში შექმნილი ნაშრომებისათვის ფოლკლორისტი და ენათმეცნიერი გიგი ხორნაული; ქართული ხალხური სიმღერის ტრადიციულ შემსრულებლობაში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისათვის პრემია გადაეცა მომღერალსა და ლოტბარს მესტიის რაიონის სოფელ ლატალის ფოლკლორული ანსამბლის ხელმძღვანელს ალექსანდრე გვიჩიანს; მეტალისა და ტყავის მხატვრული დამუშავებისათვის პრემია გადაეცა ხალხურ ოსტატს თეიმურაზ ჯალაღანიას; ქართული ხალხური ცეკვის ტრადიციების დაცვისა და შენარჩუნებისათვის პრემია გადაეცა ქედის რაიონის სოფელ ცხმორისის უხუცეს მეხორუმეთა ჯგუფს (ხელმძღვანელი ილია ირემაძე); ხალხურ საზომსა და თემატიკაზე შექმნილი ლექსებისათვის პრემია გადაეცა თენგიზ ავსაჯანიშვილს; ქართული ხალხური სიმღერის ტრადიციულ შემსრულებლობაში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისათვის პრემია გადაეცა ანსამბლს „მთიები“ (დამაარსებელი ედიშერ გარაყანიძე, ხელმძღვანელები ედიშერ გარაყანიძე, გიორგი გარაყანიძე); წარჩინებული ახალგაზრდებიდან კიფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მეორე სტიპენდიანტები გახდნენ ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოქტორანტი, ეთნომუსიკოლოგი ოთარ კაპანაძე და საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის სტუდენტი მარიამ კვერღელიძე.

დაჯილდოების ცერემონიალთან ერთად შედგა საქართველოს ფოლკლორული კოლექტივების კონცერტიც. როგორც ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელმძღვანელმა გიორგი უშიკიშვილმა განაცხადა:

– უკვე მეხუთედ ჩავატარეთ ფოლკლორის ეროვნული პრემიის დაჯილდოების ცერემონიალი, ყოველ წელს ერთნაირი კრიტერიუმები გვაქვს, ამიტომ ტრადიცია არც წელს დავარღვიეთ – ჩვენთვის მთავარია, ავთენტურობა, ტრადიციების დაცვა, წყაროებთან სიახლოვე და რა თქმა უნდა, ასაკი. ჩვენ ტრადიცია არ დავარღვიეთ და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწე გამოჩენილი ფოლკლორისტები დავაჯილდოვეთ.



## hჳჯცღჯჳცბ ,

**შვეულად:** 1. ბანგლადეშის დედაქალაქი; 2. გამარტივებული ნახაზი; 3. რადიოაქტიური ქიმიური ელემენტი; 5. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 6. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 9. საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა; 10. თანამედროვე ქართველი პიანისტი მამაკაცი; 11. ცხენებშებმული, მრავალადგილიანი სამგზავრო-საფოსტო ძველებური კარეტა; 14. ინგლისელი მწერალი, დრამატურგი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 16. დამჟავებული ბოსტნეული; 18. ბოროტი, ღვარძლიანი, შურიანი ადამიანი.

**თარაზულად:** 1. თოფით სასროლი ყველაზე წვრილი კალიბრის საფანტი; 4. გონებასუსტი ადამიანი; 7. საქართველოში გავრცელებული წითელ წიგნში შეტანილი ძალზე მაგარმერქნიანი ფოთლოვანი ხე; 8. უძველესი ქართული დამწერლობა; 12. ყველაზე მაღალი მწვერვალი პირინეის ნახევარკუნძულზე; 13. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 15. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; 17. ბატონი, მემამულე შუა აზიაში; 19. უძველესი ხელნაწერი; 20. დასაკეცი ჯიბის დანა; 21. ანგორული თხის მატყლი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

**ობყფ ყჯვტჳიბ უფვჯმღტ.ყტ,ეპბ hჳჯცღჯჳცტ,ბც გფცეį[ტ,ბ5**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჩამპინო; 2. აიოსი; 3. მალთაყვა; 4. ჯინჯილა; 5. შერმადინი; 9. ამქარი; 12. ლეპტოპი; 14. ორშიმო; 15. ღელე; 17. სტუკო; 18. ყრმა.

**თარაზულად:** 6. დავითი; 7. გაბრიაძე; 8. აპნისი; 10. ციცქა; 11. ნოქალაქევი; 13. მოლაღური; 16. მეტისი; 19. რიტორიკა; 20. კომერცია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჰიტი; 2. დურდო; 3. ოჰარა; 5. ბაწარა; 6. ნიჟარაძე; 9. პრეფერანსი; 10. წალენჯიხა; 11. მარასკინი; 14. თხა; 16. უოლესი; 18. ბიტი.

**თარაზულად:** 1. ჰუნდაი; 4. კაბოშონი; 7. ერმისა; 8. რეკლამა; 12. პეტრა; 13. მთვარე; 15. დევიზა; 17. პაი; 19. ღვინობისთვე; 20. ვისლა; 21. ყინული.

# პუტინის რეიტინგი რუსეთში რეკორდულად დაეცა

რუსეთის სტრატეგიულმა კვლევითმა ცენტრმა ვლადიმერ პუტინის მესამე საპრეზიდენტო ვადის დაწყების შემდეგ პოლიტიკური განწყობის კვლევა ჩაატარა . კვლევა 2012 წლის სექტემბერ-ოქტომბერს მოიცავს.

კვლევის მიხედვით, უფრო მეტი რუსი საუბრობს „რევოლუციის შესაძლებლობაზე და სურვილზე“.

მკვლევარები მივიდნენ დასკვნამდე, რომ რუსეთს ელოდება ან მასობრივი საპროტესტო აქციები, ან მნიშვნელოვანი სახელისუფლო ცვლილებები, ან სრული სტაგნაცია.

კვლევაში ნათქვამია, რომ რუსეთის ამჟამინდელი პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის რეიტინგი 2012 წლის სექტემბრისთვის 42%-მდე დაეცა, რაც რეკორდულად დაბალი მაჩვენებელი 2003 წლის შემდეგ.

კვლევის ავტორების პროგნოზით, 2013 წლისთვის რუსეთის ხელისუფლებისადმი ნდობის ნიშნული შესაძლოა, უნდობლობის ნიშნულს გაუტოლდეს.

კვლევაში მოყვანილია ის მიზეზებიც, რის გამო კარგავს რუსეთის ამჟამინდელი ხელისუფლება რეიტინგს. გამოკითულთა აზრით, პუტინის მმართველობის პერიოდში არ იქნა მიღწეული არც ერთი მნიშვნელოვანი შედეგისთვის და იყო მხოლოდ სიტყვები და დაპირებები.

კვლევის შედეგების მიხედვით, რუსეთის ხელისუფლების მიერ ამჟამინდელი კურსის გაგრძელების შემთხვევაში, რუს ხალხს ელოდება „გადაშენების საფრთხე, რომლის მახასიათებელი იქნება უმწეობის სინდრომის გაძლიერება, შრომითი უნარის დაკარგვა, ალკოჰოლიზმი, შობადობის შემცირება“.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის მონაცემებით, ვლადიმერ პუტინის რეიტინგი ბოლო 10 წლის განმავლობაში რუსეთში 20%-ით შემცირდა.

2002 წელს რუსეთის მოქალაქეთა 79%-ი თვლიდა, რომ მათზე პუტინის პოლიტიკა „კეთილგანწყობას“ ტოვებდა, 2012 წლის შემოდგომაზე კი მათი რიცხვი, ვისაც მისი პოლიტიკა „არაკეთილგანწყობილად“ მიაჩნია 8-დან 22%-მდე გაიზარდა. 9-დან 32%-მდე გაიზარდა იმ უკმაყოფილო რუსების რიცხვი, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფალის პოსტზე მის კანდიდატურას არ უჭერს მხარს.

„კომერსანტი“ რუსეთის დუმის წევრის, პოლიტოლოგ დიმიტრი ორლოვის აზრს აქვეყნებს ამ საკითხთან დაკავშირებით. „რუსეთში შეწყვიტა არსებობს მითმა პუტინზე-როდესაც მოსახლეობა მიიჩნევდა, რომ პუტინი გახლავთ გმირი, რომელსაც ქვეყნის პრობლემებიდან გამოყვანა შეუძლია“,-აცხადებს ორლოვი.



გამოცემა ასევე აქვეყნებს სოციოლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლის ლეონტი ბიზოვის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „პუტინის ხელისუფლება დიდი ხნის განმავლობაში ეფუძნებოდა იმ მოსაზრებას, რომ „ნაკლები სიბოროტე სჯობია“, თუმცა ამ ბოლო პერიოდში ეს ბალანსი აშკარად დარღვეულია“.

„ლოიალურად განწყობილმა მოსახლეობის ნაწილმა ოპოზიციონერებთან გადაინაცვლა.იმისთვის, რომ ეს დანაკარგი შეივსოს, პუტინი აქტიურად ცდილობს მხარდამჭერების ძებნას, უფრო ზუსტად კი ცდილობს კონსერვატიულად განწყობილი მოსახლეობის მხარდაჭერის გაძლიერებას. ამისთვის გამოიყენება რიტორიკისა და კანონმდებლობის გამკაცრება.

თუ პოლიტიკური კარიერის დასაწყისში პუტინი „ბებერი ელცინის“ ფონზე გამოირჩეოდა, ახლა იმისათვის, რომ აღიდგინოს, როგორც „ერის ლიდერისადმი“ სიყვარული, აღარ არის საკმარისი ციმბირის წეროებთან ერთად ფრენა. მის მუდმივ ამომრჩეველსაც სულ უფრო ნაკლებად მოსწონს პუტინის პიროვნება, ამიტომაც იძულებულია პუტინი აჩვენოს მისი, როგორც პოლიტიკოსის შეუცვლელობა“, - აცხადებს ბიზოვი გამოცემასთან კომენტირებისას.

ვლადიმერ პუტინი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი იყო 2000-2008 წლებში. ამ პოსტზე შეცვალა ბორის ელცინი 1999 წლის 31 დეკემბერს. 2008 წლის 8 მაისს გახდა რუსეთის პრემიერ-მინისტრი, 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ კვლავ დაბრუნდა პრეზიდენტის პოსტზე.

# ევროკავშირი და ამერიკა ლიბანს ახალი მთავრობის შექმნისაკენ მოუწოდებენ

ამერიკამ და ევროკავშირმა განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ ლიბანში ახალი მთავრობის ფორმირებას.

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში საუბარია, რომ დადგა დრო ლიბანელებისათვის აირჩიონ ისეთი მთავრობა, რომელიც შეძლებს სირიის გავლენას გაუწიოს წინააღმდეგობა.

საგარეო საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა კეტრიკ ეშტონმა კი, ლიბანი სახელისუფლებო ვაკუუმის საშიშროების შესახებ გააფრთხილა.

ქეთრინ ეშტონი ლიბანში ჩავიდა და ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელობას შეხვდა. პირველ რიგში მათ დაზვერვის გენერლის ვისამ ალ -ჰასანის მკვლელობის საკითხი და ქვეყანაში ამ მკვლელობის შემდეგ განვითრებული სისხლიანი შეტაკებები განიხილეს.

ქეთრინ ეშტონი ქვეყნის პრეზიდენტს მიშელ სულეიმანს და პარლამენტის დეპუტატებს შეხვდება.

ეშტონი ბეირუთში იორდანიიდან ჩაფრინდა, სადაც ქვეყნის ხელმძღვანელობასთან სირიიდან დევნილების და მათი დაბინავების საკითხები განიხილა.

წუხანდელმა ღამემ ბეირუთში შედარებით მშვიდად ჩაიარა. სუნიტების კვარტლებში წუხელ მთელი ღამე სამხედროები მორიგეობდნენ.

შეგახსენებთ, რომ აფეთქების შედეგად მოკლულ გენერალ ვისამ ჰასანის დასაფლავების შემდეგ, ქვეყნის არა ერთ რაიონში სერიოზული შეტაკებები დაიწყო. ლიბანის ოპოზიციამ აფეთქების მოწყობაში სირია დაადანაშაულა.

# სირიის მთავრობა დროებით ზავს დათანხმდა

სირიის ხელისუფლება თანახმაა შეწყვიტოს ცეცხლი ბაირამობის დღესასწაულზე, რომელიც 26 ოქტომბრიდან 29 ოქტომბრის ჩათვლით გაგრძელდება – ამის შესახებ განცხადება გაერო-ს მშვიდობის ელჩმა ლახდარ ბრაჰიმიმ გააკეთა. მისი თქმით, დროებით ზავს დათანხმდებიან ოპოზიციის შეიარაღებული ამბოხებულებიც. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზავს სირიელ მეამბოხეთა ნაწილი უნდობლობით ეკიდება.

ცეცხლის შეწყვეტის ზუსტი დროის პერიოდი ბრაჰიმის არ დაუკონკრეტებია, თუმცა განაცხადა რომ აღნიშნულის შესახებ დამასკო დღეს ან ხვალ გამოაცხადებს.

„თუ ინიციატივა წარმატებული გამოდგა, მაშინ ჩვენ იმედი გვაქვს რომ უფრო გრძელვადიან და უფრო ეფექტურ ცეცხლის შეწყვეტის შესახებაც გვექნება საუბარი“, – აღნიშნა ბრაჰიმიმ, რომელიც სირიაში ცეცხლის შეწყვეტაზე მთავრობისა და ოპოზიციის დასაყოლიებლად გასულ კვირას ჩავიდა.



ჯერჯერობით, უცნობია ცეცხლის შეწყვეტის ზუსტი დრო და თარიღი.

მანამდე კი ქვეყნის დედაქალაქ ალეპოში კვლავ გრძელდება შეტაკებები. ბოლო აფეთქებას, რომელიც პურის საცხობზე განხორციელდა, 20 ადამიანი ემსხვერპლა. სირიის თავისუფალი არმიის წევრების განცხადებით, სამთავრობო ძალებმა ალეპოში ცეცხლი გაუხსნეს ადგილს, სადაც მშვიდობიანი მოსახლეობა იმყოფებოდა.

„საცხობზე თავდასხმა მთავრობამ განზრახ აირჩია, რათა მოსახლეობა მეტად დააშინოს“, – აცხადებენ ისინი.

საპირისპიროს ამტკიცებენ სახელმწიფო არხებზე, სადაც აცხადებენ, რომ „სამთავრობო ჯარებმა ალეპოში ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ტერორისტულ ჯგუფზე მიიტანეს იერიში“.

„ჰუმან რაითს უოჩი“ აგვისტოში აცხადებდა, რომ მხოლოდ ალეპოში ათი საცხობი დაიბომბა. ერთ-ერთ თავდასხმას 60 ადამიანი ემსხვერპლა.

– სირიელი მეამბოხეები უცხოური სახელმწიფოების საზენიტო სარაკეტო კომპლექსებს ფლობენ, მათ შორის ამერიკაში წარმოებულსაც – აღნიშნულის შესახებ რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის ხელმძღვანელმა ნიკოლია მაკაროვმა დღეს ჟურნალისტებს განუცხადა.

„გენშტაბს გააჩნია ინფორმაცია, რომ შეიარაღებულ მებძოლებს, რომლებიც სირიის სამთავრობო ძალებს ებრძვიან, სხვადასხვა ქვეყნების საზენიტო სარაკეტო კომპლექსები გააჩნიათ, მათ შორის ამერიკული „სტინგერებიც“, - განაცხადა მაკაროვმა.

შეკითხვაზე არის თუ არ ჩართული აღნიშნული შეიარაღების სირიის ოპოზიციისათვის მიწოდებაში ბარაკ ობამას ადმინისტრაცია, მაკაროვმა შემდეგი პასუხი გასცა: „ამერიკაში აღნიშნულს უარყოფენ, ამბობენ რომ ჩვენ მეამბოხეებს არაფერს არ ვაწვდით. თუმცა, ჩვენ გვაქვს სანდო ინფორმაცია, რომ სირიელი შეიარაღებული მერბძოლები ამერიკულ საზენიტო სარაკეტო კომპლექსებს ფლობენ. და თუ ვინ მიაწოდა ეს შეიარაღება მათ-ჯერ კიდევ გასარკვევია“,-დაამატა გენშტაბის ხელმძღვანელმა.

სირიაში პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადისა და ოპოზიციის მომხრეებს შორის შეიარაღებული კონფლიქტი წელიწადნახევარზე მეტია გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში, არაოფიციალური მონაცემებით, 30 ათასი ადამიანია დაღუპული.

# ავღანეთის პრეზიდენტი ნატო-ს ბავშვების მკვლელობაში ადანაშაულებს

ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ კარზაიმ ქაბულში გამოსვლისას დაგმო ნატო-ს უკანასკნელი სპეცოპერაცია, რომლის შედეგად მშვიდობიანი მოსახლეობა, მათ შორის ოთხი ბავშვი დაიღუპა. აღმოსავლეთ ავღანეთში, ლოდარის პროვინციაში ჩატარებულ ნატო-ს სპეცოპერაციას, პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებით, ემსხვერპლა ოთხი უდანაშაულო ბავშვის სიცოცხლე, რომლებიც საქონელს მწყემსავდნენ.



მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლის ხელყოფაზე ნატო-სა და ავღანეთის მთავრობას შორის დაპირისპირება უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს. „მიუხედავად ნატო-ს მხრიდან მრავალი დაპირებისა, უდანაშაულო ადამიანები, მათ შორის ბავშვები, კვლავაც იღუპებიან“, – განაცხადა პრეზიდენტმა კარზაიმ.

თავის მხრივ, ნატო აღიარებს, რომ 20 ოქტომბრის სპეცოპერაციას რამდენიმე მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე ემსხვერპლა. დაღუპულთა ოჯახებს ნატო-ს ჯარების მთავარსარდალმა ავღანეთში, გენერალმა ჯონ ალენმაც მიუსამძიმრა. „ავღანეთის მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა ჩვენი მისიაა. ყოველ ღონეს მივიღებთ, რათა მომავლისთვის მსგავსი შემთხვევების მინიმიზება მოვახდინოთ“, – ნათქვამია „აისაფის“ ოფიციალურ კომენტარში მომხდართან დაკავშირებით.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# ცფვუკჯდბფჰჯ უფყნ[ფლგ,გ,ბ

## ვახტანგ ბერაიას გახსენება

დღეს 70 წლის გახდებოდა და იუბილარი იქნებოდა ვახტანგ ბერაია. 10 წლის წინ ნაადრევად დასრულდა მისი ულამაზესი, ალალ-მართალი, კაცთმოყვარეობით აღსავსე სიცოცხლე, კაცისა, რომელმაც თავისი შეგნებული ცხოვრება განვლო სიკეთის კეთებაში. ის ბრწყინვალედ უთავსებდა ოჯახისადმი ზრუნვას თავის სამსახურებრივ საქმიანობას და ეს ცხოვრების წესი არ შეუცვლია სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. იყო საუკეთესო მეუღლე, მზრუნველი, უშურველი მამა, ბაბუა, მოსიყვარულე ძმა, მეგობარი, რომელთა შორისაც გამოირჩეოდა უსაზღვრო სიყვარულით, თავის უდიდეს ცოდნასა და მრავალმხრივ პრაქტიკულ გამოცდილებას თავდავიწყებით ახმარდა საქართველოს თევზის მრეწველობის განვითარების საქმეს. მისი სახელით ამაყობს დღესაც ქალაქ ფოთის საზოგადოება, ოჯახი, ახლობლები, ხოლო შვილები და შვილიშვილები ღირსეულად ატარებენ ყველასათვის უსაყვარლესი ვახტანგ ბერაიას სახელს.

მარადისობაში მყოფს ღვთიური მადლიერება ნუ მოგაკლოს. ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და მეგობრებს კი მუდამ გვემახსოვრები, ჩვენო დაუვიწყარო ვახტანგ.

*შენი ოჯახი და მეგობრები*

და-ძმების – ელენე, ფატი, ფაცია, პარმენ, გრიგოლ და იესე ლესელიძეების შთამომავლები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ მათ გამოაკლდათ კიდევ ერთი ყველასათვის საყვარელი ადამიანი, სანიმუშო მეუღლე, დედა და ბებია, ღვაწლმოსილი პედაგოგი, ქალბატონი

**ნაზი კვერენჩხილაძე-გოგუა**

და გულისტკივილით თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

თბილისის სახელმწოფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო ქიმიის დეპარტამენტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ციცი გუმბარიძის ოჯახს

**რობერტ ხარჩილავას**

გარდაცვალების გამო.

ცფვუკჯდბფჰჯ უფყნ[ფლგ,გ,ბ ვბბქგ,ფ .ჯდგკლქგ7
რდბპბს უფჰლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლგ8

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი 25 ოქტომბერი**

**7.30** "ჩვენი დილა" **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.10** მოამბე **10.30** "დილის საუბარი" **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.45** "პირადი ექიმი" **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** სერ. **"დეტექტივი" 17.00** დოკ.ფ. "100 უდიდესი აღმოჩენა" **18.00** სერ. **"პეპე და მეგობრები" 19.05** სერ. **"ცოდვა და სირცხვილი" 21.00** სერ. **"დეტექტივი" 22.00** "დიალოგი დ.პაიჭაძესთან" **23.00** თოქ-შოუ "არენა" **00.00** მხ.ფ. **"ბეწვი"** (ტიტ.) **02.30** მხ.ფ. **"გაფრენილი კოცნა"** (ტიტ.) **04.20** მხ.ფ. **"ხატი"**

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00** ბრიფინგის დრო **11.00** დოკ.ფ. "უძველესი აღმოჩენები". **14.00** დოკ.ფ. "სიცოცხლე ადამიანის შემდეგ". 1 **16.00** დოკ.ფ. "რომი, იმპერიის აღმავლობა და დაცემა". 1 **19.00** დოკ.ფ. "სიცოცხლე ადამიანის შემდეგ". 2 **22.00** დოკ.ფ. "რომი, იმპერიის აღმავლობა და დაცემა". 2 **01.00** მხ.ფ.**"სამახსოვრო დღიური"**

**08.20** ან.ფ. "ტიმონი და პუმბა" **09.00** დოკ.ფ. "ჰოლივუდის წყვილები" 2 **10.00** სერ. **"იღბლიანი მოახლე" 11.00** სერ. **"უკვდავი ამბავი" 12.00** სერ. **"მემკვიდრეები" 13.00** სერ. **"გაქცევა" 14.00** სერ. **"თვალი არ მომაცილო" 15.00** მხ.ფ. **"კარგი ქალი" 17.00** სერ. **"მოჯადოებული" 18.00** სერ. **"მეწამული ცა" 19.00** სერ. **"სახიფათო ვნება" 20.00** ქ.სერ. **"ყავა და ლუდი"** 7 **21.00** სერ. **"მემკვიდრეები" 22.00** ქ.სერ. **"ცხელი ქალი"** 6 **23.00** სერ. **"შერკინება"** 5 **00.00** მხ.ფ. **"შავი ორქიდეა"** (ჯ. ჰარტნეტი) **02.00** "რემონტი" **02.45** მხ.ფ. **"უკანასკნელი ლეგიონი"** (ბ. კინგსლი) **04.25** მხ.ფ. **"ცეცხლოვანი ველი"** (შ. ტერონი) **06.10** მხ.ფ. **"სასიყვარულო კერძები"** (პ. კრუსი) **07.45** მუსიკა.

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო. **10.00** სერ. **"ქალის მსხვერპლი". 11.00** სერ. **"ეჭვი და სიყვარული". 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი. **12.30** სხვა ამბები. **13.00** შუა დღე. **15.00** კომედი შოუ **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული" 18.45** სერ. **"მგზნებარე გული" 19.50, 20.05** სერ. **"ღირსება და ამბიცია" 22.00** პროფილი **00.30** MTV PUNK'D **01.00** მხ.ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**08.00** ან.ფ. "ფიფქია და **7** ჯუჯა". **08.55** სერ. **"მისი სულის მუსიკა" 09.45, 12.00, 15.00, 17.00** ტვ-მარკეტი **10.00** მხ.ფ. **12.15** სერ. **"შიშის კრუიზი" 13.00** მხ.ფ. **15.15** პულსი (გან.) **15.45** დოკ.ფ. "ექსტრემალური ამბები" **17.10** სერ. **"ვერონიკა მარსი" 18.00** მხ.ფ. **20.00** სერ. **"ტყუპები" 21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე" 22.00** მხ.ფ. **00.10** მხ.ფ.

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 19.30, 20.30, 22.30, 02.50** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** დოკ. ფ. **10.30** დოკ. ფ. **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.25** სერიალი **"საგა" 12.50, 19.35** სერიალი (გან.) **13.50** გადაცემა "სცენა" (გან.) **15.15** დოკ. ფ. **16.00** დოკ. ფ. **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფ. **23.00** მხ. ფ. **"იოლი ფული" 01.10** მხ. ფ. **"შურისძიება"**

**08.30** განთიადი. **10.00, 18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 00.30** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი. **10.35, 21.03** ლექსით ქებათა ქება **10.50** დოკ. ფილმი "სული ობოლი" ივანე მაჩაბელი. **11.20** ჩვენი ტრაპეზი. **11.30** გზა, რომლითაც ვიარე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **12.05** ამინდი. **12.15** მხ. ფილმი **"მოიტაცეს თამარ ქალი" 13.35** კონცერტი – სამი ტენორი. **15.05, 18.53** ერთი ნივთის ისტორია. **15.10** განთიადის სტუმარი **15.35** დოკ. ფილმი "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად". **16.00** დები ტრევისი საოცარი სახლი. **16.25** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **16.50** მხ. ფილმი **"დედუნა" 18.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას. **18.25** დიდ ხარ შენ, უფალო. **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი. **19.20** მხ. ფილმი **"აურზაური სალხინეთში" 20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება. **21.05** ერთსულოვნების სალონი. **22.25** უკეთ უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები. **23.00** საღამოს ლოცვა. **01.00** მხ. ფილმი **"მონანიება"** 2 ნაწ.

მაესტრო **07.00** ახალი ამბების კოლაჟი. **07.30, 08.20, 10.30, 12.30, 13.30, 14.30, 15.30, 16.30, 18.40, 06.30** უცხოეთის ამბები. **07.55, 10.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 06.55** უკომენტაროდ. ამინდი. **08.00, 09.00, 10.00. 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00, 21.00, 00.00. 02.00, 05.00, 06.00** ახალი ამბები. **08.30. 09.15** შალვა რამიშვილის დილა. **11.20, 22.00, 02.30** ყოველდღიური აბები. **11.35** მულტ.ს. "ბანანის რესპუბლიკა". **11.50, 14.50, 18.50** კვირის აზრები. **17.10, 05.30** თოქ-შოუ "პირდაპირი საუბარი". **19.05, 01.15** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი". **20.05, 02.50** თოქ-შოუ "არგუმენტები". **22.20, 03.30** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი". **23.45, 04.45** აკრედიტაციის გარეშე. **00.20** სტუდენტური თოქ-შოუ "ფაკულტეტი".

ghjuhfvt,b b,tzlt,f
cffutynj 3byajpfdhbc4
yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba

25 oqtomberi


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6590

ევრო —2,1768

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5779

რუსული რუბლი — 0,0512

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 24-27, ღამით — 10-12

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 22-24, ღამით — 14-16

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 20-22, ღამით — 6-8

**ამინდის პროგნოზი 25 ოქტომბრისთვის**





# 29 ოქტომბრიდან!

„ახალ თაობასთან“ ერთად

„საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის“ ოთხტომეულის მე-2 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად - 8 ლარი

# 22 oqtombridan!

ახალ თაობასთან“ ერთად

hxtekb mfhsekb pqfght,b

ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად — 3 ლარი


# სანდრო ბაზაძემ საერთაშორისო ტურნირი მოიგო



19-21 ოქტომბერს სპორტკომპლექსმა „არენამ“ ფარიკაობაში ევროპის თასის გათამაშებას უმასპინძლა 23-წლამდელ ვაჟთა და გოგონათა შორის. ევროპის თასზე მონაწილეობა 8 ქვეყნის 60-მდე მოფარიკავემ მიიღო. ქართველ მოფარიკავეებთან ერთად მედლებისათვის გერმანიის, ბელარუსის, უკრაინის, რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ირანის მოფარიკავეები იბრძოდნენ.

ევროპის თასის თბილისის ეტაპი ბოლო მოსამზადებელი ტურნირი იქნება ახალგაზრდა ქართველი მოფარიკავეებისათვის, რომლებიც ნოემბერ-დეკემბერში უკრაიანში, პოლონეთში, გერმანიასას და ირანში გასამართ მსოფლიო თასის ეტაპებზე გამოვლენ.

თბილისში გამართულ შეჯიბრებაზე კი ვაჟთა ფინალი ქართული გამოვიდა — სანდო ბაზაძემ ბექა ბაზაძეს მოუგო, ბრინჯაოს მედლები კი მიხეილ მარდალეიშვილმა და უკრაინელმა ივან ბიონკომ გადაინაწილეს. გოგონათა შორის ოქროს მედალი აზერბაიჯანელმა სევილ ბუინიტუამ დაისაკუთრა, ვერცხლი უკრაინელ ვალერია ჩუდიკოვას ერგო, ბრინჯაოები კი ასევე უკრაინელ ალიონა კრავცოვას და აზერბაიჯანელ აიდა ასიასკაროვას.

ქართველი გოგონებიდან საუკეთესო შედეგი ანა სინათაშვილს ჰქონდა, ვინც მე-8 ადგილი აიღო. გუნდურ შეჯიბრში გოგონათა შორის აზერბაიჯანმა იმარჯვა, მეორეზე საქართველო გავიდა, მესამეზე კი თბილისის ნაკრები და ირანის ნაკრები. ვაჟებში ჩემპიონი ბელარუსი გახდა, ვინც ფინალში აზერბაიჯანს აჯობა, საქართველოს ნაკრები და ქუთაისი ნაკრები კი მესამე ადგილს დასჯერდნენ.

**ვაჟები. ხმალი**

1.სანდრო ბაზაძე (საქართველო); 2.ბექა ბაზაძე (საქართველო); 3.მიხეილ მარდალეიშვილი (საქართველო); 3.ივან ბონკო (უკრაინა);

**ვაჟები. ხმალი გუნდური**

1.ბელარუსი; 2.აზერბაიჯანი; 3.საქართველო; 3.ქუთაისის ნაკრები;

**გოგონები. ხმალი**

1.სევილ ბუინიტუმა (აზერბაიჯანი); 2.ვალერია ჩუდიკოვა (უკრაინა); 3.ალიონა კრავცოვა (უკრაინა); 3.აიდა ასიასკაროვა (აზერბაიჯანი);

**გოგონები. ხმალი გუნდური**

1.აზერბაიჯანი; 2.საქართველო; 3.თბილისის ნაკრები; 3.ირანის ნაკრები.

მ. ჟ.

## .დტაფვ უფბსღფჯაბცობყტს=

fcnhjkjubf @% xdbxb,ბცსდბc

### წარმატებული დღეა

**ვერძი** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კურო** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, თავს საუკეთესოდ წარმოაჩენთ. **კირჩხიბი** — სიტუაცია თქვენ უნდა გამოასწოროთ, შეეცადეთ მაინც. **ლომი** — თავს კარგად გრძნობთ, გელით ახალი შემოთავაზება. **ქალწული** — შეხვედრაზე არ დაიგვიანოთ, თქვენი ბედი წყდება. **სასწორი** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **ღრიანკალი** — შემოსავლის ახალ წყაროს იპოვით, სიტუაცია გამოსწორდება. **მშვილდოსანი** — ახალ საქმეში ჩაერთვებით. **თხის რქა** — წვეულებაზე არაჩვეულებრივ დროს გაატარებთ, იქ საინტერესო პიროვნებას გაიცნობთ. **მერწყული** — პატარა პრობლემას ადვილად მოაგვარებთ, მთავარია, არ შეშინდეთ. **თევზები** — წარმატებული დღეა, სიახლის შეგრძნება დაგეუფლებათ.

უბცეჰღტ,ს ,ტცყბტჰ ცქტს=

## hჰxცღxჰcბ ფ

**შვეულად:** 1. მაროკოს ქალაქ ფესში განთავსებული მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტი; 2. ბაღჩეული კულტურა, გრძელყელიანი გოგრა; 3. ფილატელისტის ალბომი; 4. თერმოდინამიკის ფუძემდებელი ინგლისელი ფიზიკოსი; 5. ქართველი კინომსახიობი მამაკაცი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 9. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 12. ხორვატიის დედაქალაქი; 14. თვითბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური სამხრეთ კორეაში; 15. უკრაინის პარლამენტი; 17. აზროვნების ორგანო; 18. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი.

**თარაზულად:** 6. ნაკეთობის შესამკობად გადაკრული ოქროს თხელი ფენა; 7. აზრის არაპირდაპირი ხერხებით, იგავურად გამოხატვა ლიტერატურასა და სახით ხელოვნებაში; 8. ფულის ერთეული ერაყში; 10. ფინური ელექტროტექნიკური კომპანია; 11. ატლანტიკის ოკეანესა და ხმელთაშუა ზღვის დამაკავშირებელი სრუტე; 13. საცხენოსნო სარბიელი; 16. აღმოსავლური ხელჩართული ორთაბრძოლის ერთ-ერთი სახეობა; 19. ნახევარკუნძული კასპიის ზღვაში; 20. მხედველობის მოშლა, რომლის დროსაც საგნები ორად ეჩვენებათ.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



# აჩიკო გულედანი მუსიკალურ ბენდებს ეძებს

ეკა ირემაშვილი

აჩიკო გულედანი უკვე მეოთხე წელია ახალ მუსიკალურ ბენდებს ეძებს და მათ პროექტში „ნიუქამერს“ აერთიანებს. 26 ოქტომბერს „რკინის დარბაზში“ (რკინიგზელთა სასახლე) პროექტის დასკვნით გალაკონცერტი გაიმართება, თუმცა მანამდე მისმა ორგანიზატორებმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართეს და ჟურნალისტებთან ყველა იმ დეტალსა თუ სიახლეზე ისაუბრეს, რომელიც წელს საზოგადოებას დასკვნით კონცერტზე ელოდება.



როგორც პრესკონფერენციაზე გახდა ცნობილი, წელს პროექტში საწყის ეტაპზე 50-მა სხვადასხვა მიმდინარეობის ბენდმა მიიღო მონაწილეობა, თუმცა „ნიუ ქამერის“ პროდიუსერების გადაწყვეტილებით, ორდღიანი მოსმენების შედეგად, დასკვნითი კონცერტისთვის მხოლოდ 10 ჯგუფი შეირჩა, მათ შორის ერთ-ერთი „ფეისბუქზე“ მიღებული „ლაიქების“ საშუალებით.

აჩიკო გულედანის თქმით:

— ამ პროექტის მიზანი თავიდანვე ის იყო, რომ დავხმარებოდით მუსიკოსებს და მათ ჰქონოდათ საშუალება, მოტივაცია, წარმსდგარიყვნენ ფართო საზოგადოების წინაშე. ახალი იდეების ავტორები მოხვდებიან ნამდვილ პროდაქშენში და მათი მუსიკალური კარიერა აუცილებლად გაგრძელდება. წელს ჩვენ მსმენელთან ერთად შევარჩიეთ ერთი ჯგუფი, რომელიც „ფეისბუქზე“ „ლაიქების“ საშუალებით გამოვლინდა. თუმცა მსმენელი წელს საკმაოდ აქტიურობდა. ნებისმიერ მსურველს შეუძლია ჩვენს სპეციალურ საიტზე შევიდეს და მოისმინოს ყველა ის მუსიკალური ბენდი, ვისაც ჩვენს პროექტში მოხვედრის სურვილი გაუჩნდა.

როგორც პროექტის ორგანიზატორებმა განმარტეს, ეს კონკურსი ახალბედა ჯგუფების დახმარებასა და მათ პოპულარიზაცია ისახავს მიზნად. პროექტის დასკვნითი კონცერტი 26

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# ევროპარლამენტმა კიდევ ერთხელ დაუჭირა მხარი მაგნიტსკის სიას“

ევროპის პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ევროკავშირის საბჭოს ევროკავშირში იმ რუსი მაღალჩინოსნების შესვლის აკრძალვას სთავაზობს, რომლებიც იურისტ სერგეი მაგნიტსკის მკვლელობის საქმესი ფიგურირებენ.



დოკუმენტში რუსი მაღალჩინოსნებისათვის ევროპის ბანკებში აქტივების გაყინვის შესახებაც არის საუბარი. ევროპარლამენტის დეპუტატების მოსაზრებით, სერგეი მაგნიტსიკის დაპატიმრება და შემდგომში მისი სიკვდილი რუსეთში ადამიანის უფლებების უპატივცემულობის დადასტურებაა.

ევროპარლამენტარები ასევე თვლიან, რომ მაგნიტსკის მისამართით გამოყენებული სასამართლო პროცედურები „საერთაშორისო სამართლის ნორმების აშკარა დარღვევაა“.

ევროპარლამენტარები უკვე მესამედ ურჩევენ ევროკავშირის საბჭოს მიიღოს ზომები „მაგნიტსკის

გაგრძელება მე-10 გვერდზე

კევ]ბ ობსტკბ .დბსტკბ იფდბ